ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 155 (12 531) 4 ივლისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 35 დღე



## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

ჰელსინკიდან-პეკინამდე! »»» 11

## პრობლემები გერმანელთა ბანაკში

ბუნდესნაკრები »»» 8



# მანჩესტერმა კრისტიანოს მწვანე შუქი აუნთო

## სერ ალექს ფერგიუსონის პროტესტის მიუხედავად, კრისტიანო რონალდო სამეფო კლუბს უახლოვდება





## გია გიორგაძის ფიქრში ყველას იმედი აქვს

არეული ქართული საჭადრაკო სამყარო ლაგდება »»» 13



## ახალგაზრდობა, იმედი ხვალის...

კალათბურთი. U 20 ნაკრების ღია ვარჯიში »»» 12



## რუსთავის ოლიმპის მწირალა ტრანსფერები

»»» 2

# შოთა არველაძე

## ფრაგმენტი ავტობიოგრაფიული წიგნიდან

»»» 5



ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# იენური ორინი თბილისელებს

**კარლ ცაისი–დინამო 2:1**

0:1 გველესიანი (40), 1:1 ამირანტე (58), ამირანტე (66)

დინამო: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია (55. ინწკირველი), კრშკო, შირანეცი (55. ნესვადბა, 72. ნერგაძე), ოდიკაძე, ფირცხალავა (60. დილმელაშვილი), ხმალაძე, გველესიანი, ქანთარია, სპასოევიჩი (30. თომაშვილი).

ქვედალიგოსანი "ბლაუ ვაისის" გაცამტვერების შემდეგ, გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და მესამე ბუნდესლიგის "კარლ ცაისთან" დამარცხდა.

ტრავმირებულ **გიორგი მერებაშვილს და მათე ვაწაძეს, ილია სპასოიევიჩიც** დაემატა. ჩერნოგორიელი ფორვარდი 30-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამო, გაბონელებს, მეკარე **დიდიე ოვონოსა** და ფორვარდ **ჯორჯ აკირემს** მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს. სპასოევიჩის ტრავმის შემდეგ "დინამო", ფაქტობრივად, უფორვარდოდ დარჩა. წინ მხოლოდ ახალბედა **ქანთარია** იყო, რომელსაც უმაღლეს ლიგაში ჯერ არც უთამაშია. არბიტრმა თბილისელთა ოთხ ფეხბურთელს უჩვენა ყვითელი ბარათი - **გველესიანი (21), ოდიკაძე (35), ფირცხალავა (43) და ხმალაძე (77).**

"დინამოს" პრესსამსახურის ცნობით თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. იენელებმა მეორე ტაიმი კარგად დაიწყეს და ორი გოლის გაიტანეს. **ოლეგ გველესიანმა** სამი მეურვე ჩამოიცილა და ეფექტური დარტყმით გაიტანა. მიღებული ორი გოლის შემდეგ, დინამოელებმა თამაშის გდარჩენა კი სცადეს, მაგრამ...

შეგახსენებთ, რომ "დინამო" იენის "კარლ ცაისს" ამხანაგურად შარშანაც გაეჯიბრა და მერებაშვილის გოლით 1:0 დაამარცხა.

თბილისელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს ხვალ გამართავენ მესამე ბუნდესლიგის "ერფურტთან".

**დავით ცაბაძე**

# ზესტაფონმა თურქებს სძლია

წესითა და რიგით, თურქულ შეკრებაზე მყოფ "ზესტაფონს" პირველი საკონტროლო მატჩი ბაქოს "ინტერის" წინააღმდეგ უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ საორგანიზაციო პრობლემების გამო, ქართულ-აზერბაიჯანული დაპირისპირება არ შედგა. ფეროელებს დრო უქმად არ დაუკარგავთ და გუშინვე თურქეთის ერთ-ერთი ქვედა ლიგის ბინადარ "ბელედიესფორს" გაეჯიბრნენ. **თემურ მახარაძის** გუნდმა მეტოქე 5:0 გაანადგურა.

ზესტაფონი: **რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე (57. ბუკია), ს. თოდუა (70. გორგიაშვილი), ბოიომო (55. ხაჩიძე), სანტოსი (46. შ. ლონლაძე), რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე (46. ხიხაძე), ძარია (60. საცერაძე), ვიეირა (46. მაკარიანი), ბ. გოცირიძე, გელაშვილი (46. იონანიძე).**

გოლები: **ვიეირა (10), ნ. კვასხვაძე (14), გელაშვილი (22), იონანიძე (54), იონანიძე (62).**

გუნდს ჯერაც არ შეერთებიან გაბონელი ლეგიონერები, რომლებიც სანაკრებო შეკრებაზე იმყოფებიან. "ზესტაფონის" რიგებში დებიუტი ჰქონდა კამერუნელ **ბოიომო ფრიდოლინის**. არ უთამაშია კიდევ ერთ ექსსიონელს, მის თანამემამულე **ერიკ რომეო ჩასემს**. იმერელეთა ღირსება ასევე პირველად დაიცვეს **გივი ხაჩიძემ, კარენ მაკარიანმა** და **თამაზ ხიხაძემ**. ხაჩიძე ბოლოს "ბორჯომში" ასპარეზობდა, მაკარიანი "ბათუმში", ხიხაძე კი "ზესტაფონის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. "ზესტაფონს" ცხინვალის "სპარტაკიდან" დაუბრუნდა **ირაკლი ძარია**.

"ზესტაფონი" ანკარაში, სავარაუდოდ, კიდევ სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# ფრე ჩერნომორეცთან

უკრაინულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" ძალები პირველად ოდესის "ჩერნომორეცთან" მოსინჯა. "ჩერნომორეცმა" ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ითამაშა, ასე რომ, ვეტერინართა 2:2 დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს.

"ჯორჯია" 27-ე წუთზე **გიორგი დათუნაიშვილმა** დააწინაურა, მაგრამ **ვლადოვისა** და **კორიტკოვის** გოლებით უკრაინელებმა პირველი ტაიმი მოიგეს. **ჯაბა ლიპარტიამ** ანგარიში 48-ე წუთზე გაათანაბრა. ქართველებს გამარჯვებაც შეეძლოთ, მაგრამ დარჩენილ დროში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. აღსანიშნავია, რომ "ვიტ ჯორჯიამ" შეხვედრაში 9 კუთხური ჩააწოდა, "ჩერნომორეცმა" კი მხოლოდ ორი.

ვიტ ჯორჯია: **ბედიაშვილი, ხურცილავა (46. ჯაფარიძე), დ. ლომაია, ა. კვახაძე, ბეჟვაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (46. კვალინიძე), ლუჭაშვილი (46. ვ. კვარაცხელია), 76. ბერიაშვილი), ლიპარტია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მელქაძე გაგრაშია

"გაგრის" შემადგენლობაში **ლევან მელქაძე** ვარჯიშობს. თბილისის "ვიტ ჯორჯიას", "დინამოს", ნორვეგიული "ვალერენგასა" და ყაზახური "შახტიორის" ყოფილი ფორვარდი ახალი კლუბის ძიებაშია, მაგრამ თუ სხვა ვარიანტი არ გამოუჩნდა, კარიერას უმაღლესი ლიგის დებიუტანტში განაგრძობს.

გუშინ "გაგრამ" მუხრანში აზერბაიჯანულ "სიმურგს" უმასპინძლა და 2:3 დამარცხდა. ანგარიში ზაქათალელებმა გახსნეს, **გაბუნიამ** წონასწორობა აღადგინა, რის შემდეგაც ქართულ შეკრებაზე მყოფმა სტუმრებმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს. მატჩის ბოლო გოლი **ლევან მელქაძის** ანგარიშზეა.

გაგრა: **ხომერიკი, ა. ტეტუნაშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, ნ. მგელაძე, გაბუნია, ცხადაია, ჩარგეიშვილი, ლ. სეთურიძე, ფილია, შარიქაძე, ყაზარაშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ნაჭყებია, კორიფაძე, ქუცურუა, ლალიანი, ქვრივიშვილი, ლ. მელქაძე.**

სავარაუდოდ, "გაგრასთან" კონტაქტს გააფორმებს ნახევარმცველი **გიორგი ქუცურუა**, რომელიც წინა სეზონში "სიონისა" და "ლოკომოტივის" ღირსებას იცავდა. გუნდის კიდევ ერთი სავარაუდო ახალწვეული **ნიკა მგელაძეა**, რომელიც ბოლოს "ოლიმპში" გამოდიოდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რუსთავის ოლიმპის მყვირალა ტრანსფერები

## ქასრაშვილის გუნდში სერიოზული შემადგენლობა იკრიბება



დენის დობროვოლსკის (მარჯვნივ) ორთაბრძოლებში ბევრი დაუჯაბნია



გიორგი სეთურიძე ოლიმპში მეორე ბუნდესლიგიდან დაბრუნდა

**რუსთავის "ოლიმპი" საჩემპიონო გუნდად რომ ყალიბდება, ამას ჩვენი ინფორმაციებიც ადასტურებს.**

### სეთურიძე გერმანიიდან ოლიმპში ბრუნდება

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კანდიდატი **გიორგი სეთურიძე** გასული წლის ზაფხულში იენის "კარლ ცაისში" ჩაირიცხა. სამწუხაროდ, სეზონი კლუბისთვისაც წარუმატებელი გამოდგა და თავად ფეხბურთელისთვისაც. ჩემპიონატის დაწყებამდე სეთურიძემ მუხლის ისეთი მძიმე ტრავმა მიიღო, რომ მეორე ბუნდელიგაში თავის გამოჩენა ვერ მოახერხა და ორიოდე თამაში ჩაატარა.

"კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგიდანაც გავარდა და გიორგიმ იენა დატოვა. "ლელო" ორი კვირის წინ გაუწყებდათ, რომ მას მეორე ბუნდესლიგის "ფიურტში" ელოდნენ. გუშინ შევიტყვეთ, რომ გიორგი 21 ივნისს გერმანიაში გაემგზავრა და "ფიურტში" ემზადებოდა. გვითხრეს, თითქოს, გიორგიმ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება ისურვა, "ფიურტმა" სამწლიანი შესთავაზა და ამაზე ვერ შეთანხმდნენო. სეთურიძე ხანგრძლივი კონტრაქტების წინააღმდეგი იყო და რადგან სასურველ გარიგებას ვერ მიაღწია, "ფიურტის" დატოვება გადაწყვიტა.

სეთურიძეების ოჯახში გვამცნეს, რომ ამის შემდეგ გიორგის ასევე მეორებუნდესლიგელი "ობერჰაუზენი" შესთავაზეს. მოლაპარაკებას მისი გერმანელი მენეჯერი აწარმოებდა, მაგრამ კლუბი ფეხს ითრევდა – პასუხისთვის მენეჯერმა ათ დღით დალოდება სთხოვა, რაც ქართველ ნახევარმცველს აღარ მოეწონა, მოსამზადებელ ეტაპზე ამხელა პერიოდის გაცდენა არ სურდა და საქართველოში დაბრუნება ამიტომ გადაწყვიტა.

რუსთავის "ოლიმპს" სეთურიძის დაბრუნება ჯერ კიდევ მაისის ბოლოს სურდა, მაგრამ მაშინ გიორგიმ საქართველოს ექსჩემპიონი უარით გაისტუმრა.

ახლა კი გიორგი თანახმაა, ნახევარი სეზონი საქართველოში ითამაშოს, ფორმა აღიდგინოს და მერე ისევ უცხოეთში წავიდეს.

სად და რომელ კლუბში, ეს ჯერ კიდევ უცნობია, მაგრამ მენეჯერ **მამუკა ჯულელს** უკვე ესაუბრა. ჯულელი ამჟამად მახაჩყალის „ანჟის" სპორტული დირექტორია და ამ გუნდს რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლის ეიმედება. ასეთ შემთხვევაში ჯულელი 23 წლის ნახევარმცველს დაღესტნის კლუბში გადაყვანას ჰპირდება.

სეთურიძის გადაბირება ბაქოს "სტანდარტში" **კახა ცხადაძის** გეგმებშიც იყო, მაგრამ გიორგი "ოლიმპში" ნახევარი წლით დარჩენას და რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლის პერსპექტივას ამჯობინებს.

ტრანსფერის შესაძლებლობა "ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემაც** დაგვიდასტურა: *"გიორგის ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია. მართალია, გარკვეული საკითხები ჯერ კიდევ შესათანხმებელია, მაგრამ თანხმობა მოგვცა და ალბათ, კონტრაქტს მალე გავაფორმებთ."*

### დობროვოლსკი: სამი წლით რუსთავში

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ გვარიანი დროა დარჩენილი. მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე (როდესაც სხვა კლუბები სასურველ მოთამაშეებს ეძებდნენ ან უკეთეს შემთხვევაში, მათთან მოლაპარაკებებს იწყებდნენ), რუსთაველებმა საკადრო პრობლემების დიდი ნაწილი გადაჭრეს და მყვირალა ტრანსფერებით გაგვაოცეს: **გია მეგრელაძე, შოთა ბაბუნაშვილი, კოკა მიკუჩაძე, გაგა ჩხეტიანი და გიორგი ფეიქრიშვილი** უკვე ოლიმპელები არიან.

ქარქაშაძემ "ოლიმპის" კიდევ ერთი სენსაციური შენაძენი გაამხილა: საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული საყრდენი ნახევარმცველი **დენის დობროვოლსკი** რუსთავის "ოლიმპში" ითამაშებს.

- დენის დობროვოლსკის "ამერთან" კონტრაქტი დაუსრულდა, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და ჩვენთან გადმოვიდა, - გვითხრა ქარქაშაძემ.

**- კონტრაქტი რამდენწლიანია?**

- სამწლიანია. ვფიქრობ, დობროვოლსკის მოსვლით "ოლიმპის" ნახევარდაცვა სერიოზულად გაძლიერდება.

თურქეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და ჰოლანდიურ "მაასტრიხტის" ყოფილი ნახევარმცველი **გიუქან ბალსლი** კი "ოლიმპში" არ დაიტოვეს. მისი შესაძლებლობები კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ფორმადაკარგულმა ფეხბურთელმა რუსთაველთა მთავარ მწვრთნელ **ხვიჩა ქასრაშვილს** თავი ვერ მოაწონა. რუსთაველებს იმის ფუფუნებაც არ გააჩნიათ, ბალსლისთვის ხელფასი ეხადათ და თან დალოდებოდნენ, თურქი ნახევარმცველი ფორმას როდის აღიდგენდა.

ქარქაშაძემ დაგვიდასტურა, რომ გიორგი სეთურიძესთან ერთად, შესაძლოა, იენის "კარლ ცაისის" კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი **გიორგი ონიანი** დაიმატონ: *"გიორგი უცხოეთში კლუბს ეძებს და თუკი მამუკა ჯულელმა ვერსად ვერ მოაწყო, ისევ "ოლიმპში" ითამაშებს."*

ქარქაშაძეს ჯერ კიდევ ვერ ამბობს, "ზესტაფონის" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, **გიორგი ხიდეშელის** "ოლიმპში" გამოჩენა რამდენად რეალურია. "ზესტაფონის" კიდევ ერთი ახალგაზრდა ნახევარმცველის, **ბუბა დაუშვილის** დამატება კი გამორიცხა.

*"დაუშვილს კარგად არ ვიცნობთ და მისი გადმოყვანაზე ჯერ არ გვიფიქრია. რაც შეეხება ხიდეშელს, მას "ზესტაფონთან" კონტრაქტი უმთავრდება და ძალიან გაგვიხარდება, ჩვენთან თუ ითამაშებს თუმცა ჯერ ამ ტრანსფერზე კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია."*

რუსთაველები უახლოეს დღეებში კიდევ ორ გასასინჯ ფეხბურთელს ელიან – გაბონელ ცენტრალურ მცველს და თავდამსხმელს.

„ოლიმპმა" სეზონისთვის მზადება ორი კვირის წინ დაიწყო და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართა. უახლოეს დღეებში კიდევ ორია დაგეგმილი და ორივე აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ "სიმურგთან". ზაქათალელები საქართველოში უკვე მეოთხე მოსამზადებელ შეკრებას ატარებენ და ეტყობა, აქაური პირობები მოსწონთ. "სიმურგს" "ოლიმპი" 7 და 10 ივლისს რუსთავში უმასპინძლებს.

რუსთაველებმა უცხოეთში შეკრება იმ მარტივი მიზეზით არ დაგეგმეს, რომ თანხის ტრანსფერებზე დახარჯვა ამჯობინეს. მეორე მოსამზადებელ ეტაპს კი, 18-დან 30 ივლისამდე ურეკში ჩაატარებენ.

საქართველოს თასისთვის ბრძოლა 2 აგვისტოს იწყება, მაგრამ თასზე ბევრი შეხვედრა არაა დაგეგმილი. ჩემპიონატის პირველი ტური 23 აგვისტოს გაიმართება და მანამდე გუნდის შეთამაშებას რუსთავში საკონტროლო მატჩებით შეეცდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ უნდა გავხდე სელებრითი

## სტანდარტული დარტყმები ქართველებმაც ისწავლეს




დავით თავართქილაძე

გახსოვთ სკაბრეზული ლექსი პავლეზე და დომენტიზე? ალბათ, ის მაინც გახსოვთ, გაიოზ დარსაძე რომ დაინიშნა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად და გუნდში 17-18 წლის ბიჭებს უხმო, იმ დროისთვის ერედივიზიონის ბომბრდირებში დაწინაურებულ შოთა არველაძეს კი ნაკრების კარი მიუხურა. დარსაძის ექსპერიმენტმა თუ რაღაც ამდაგვარმა, არ დიპლომს დარსაძე არველაძეს. ალბათ, განსაკუთრებული არაფერი მოხდება, ქარტეხილის დრო წავიდა და ყველას თავისი ადგილი შეხვდა - ქართული ფეხბურთი უკვე რაღაც სტანდარტებში ექცევა და ეს, ზოგადად, კარგია. ზოგი ოდიოზურ პერსონად დარჩა, ზოგს ვან გაალთან და კლუივერტთან აქვს საქმე, ზოგი კი ჯუჯა ქვეყნის ჯუჯა გუნდთან აგებს და პრესკონფერენციას ეჭვების გასაქარწყლებლად აწყობს - ერთმანეთში რომ აგერევა, "ეტცელასთან" წაგება სწორედაც რომ ჩვეულებრივი ამბავია. კახა კალაძე წინ მიდის, ის აღარაა მხოლოდ ფეხბურთელი, ბიზნესშიც დაწინაურდა და იტალიელ პარტნიორებთან ერთად საქველმოქმედო ფონდიც შექმნა. ავტობიოგრაფიული წიგნიც დაუწერია. კალაძე ვერ გახდება დევიდ ბექჰემი, თუმც მის იმიჯს ალბათ, ძალიან მოუხდება ანუკი



გაამართლა, დარსაძე ლექტორი იყო და მწვრთნელობაში ხელი მოეცარა. დარსაძე უფროსი ნოდარ ახალკაცის ჯილა იყო, ყველა სამწვრთნელო სემინარზე მას უშვებდა უცხოეთში და რიგიანი თეორიული განათლებაც მიალებინა. მერე უმცროსი ახალკაცი დადგა ქართული ფეხბურთის თავად და დარსაძე ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი შეიქნა. ყოველივე ეს უკვე ძველი ამბავია, ისიც, რომ ახალკაცი-ჯუნიორს მწვრთნელთა განათლების კურატორად დარსაძის ნაცვლად რალფ მინგეს დანიშვნა სურდა, მაგრამ ჰერ მინგე ტოპის კუდი იყო და თან გაჰყვა მას. დარსაძე კი დარჩა ქართველ მწვრთნელთა მასწავლებლად და შემფასებლად.
ახლა შოთამ B ლიცენზია უნდა აიღოს, გამოცდა გაიოზ დარსაძეს უნდა ჩააბაროს. ერთ კვირაზე მეტი არ დასჭირდება იმის გარკვევას, მისცემს თუ არა სამწვრთნელო ტოტალიზატორს კი არა, ფეხბურთს ვთამაშობო.
ქართულ-ხალხური სკაბრეზი პავლეზე და დომენტიზე მაინც პირობითია, თუმც დრო ბევრს ცვლის და ყოველთვის იძლევა ფიქრის სტიმულს. ცხოვრება შეცდომებს არ პატიობს, ფეხბურთში კი სხვანაირადაა, მეტი შანსია იალლიშის გამოსწორება-შელამაზებისა.
"ლკომოტივს" რაც მოუვიდა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. როცა კლუბი დირექტორად ცნობილ ტელეჟურნალისტ დიმიტრი ობოლაძეს მიიწვევს და ეტყვის, კომენტატორობაც გააგრძელე და დირექტორიც იყავიო, ასეთ კლუბში ხეირიანი საქმე არასდროს გამოვა. როცა კლუბის პრეზიდენტი იმაზე წავა, რომ ფეხბურთელს უხელფასოდ აიყვანს გუნდში, ვერც ასე გამოვა საქმე - მასობრივი და პროფესიონალური სპორტი არეშიძეზე დაქორწინება, ვინც ფეშენმილეთიდანაა. კალაძე სელებრითი უნდა გახდეს და კარგია რომ იცის, ეს როგორ გააკეთოს.
მალე უნდა გაირკვეს, სად გააგრძელებს ფეხბურთის თამაშს ლევან მჭედლიძე. მისი "ემპოლი" სერია B-ში ჩაქვეითდა და მჭედლიძე ალბათ, უკეთეს გუნდსა და სიტუაციას იმსახურებს. ლევან ყენია უკვე "შალკეს" პირველ გუნდშია, დავით თარგამაძე მალე "ფრაიბურგთან" გააფორმებს პროფესიონალურ კონტრაქტს და ვინ იცის, იქნებ ლუკა ტონის აგენტმა დავიდე ტორკიამ "ბაიერნში" 18 წლის მჭედლიძეც მიიყვანოს.
ნაკრების მწვრთნელის საკითხი კი იმ საპნის ოპერასავით გაიწელა, სასოწარკვეთილი დიასახლისებიც რომ აღარ უყურებენ. ოსკარ უაილდი ამბობდა, კაცები ცოლს დაღლილობის გამო ირთავენო - ფეხბურთის ფედრაციამ იქნებ ახლა მაინც დასწეროს ჯვარი ვინმეს ჩვენს ნაკრებზე.

სამწვრთნელო საკითხი

# ექტორ კუპერი პორტუგალიას უცდის



ექტორ რაულ კუპერი

## გრანტი და ფინკე აქეთ გველოდებიან

ფედერაციის ხელმძღვანელობა ეროვნული ნაკრებისთვის თავკაცის შერჩევას განაგრძობს. ამ თემაზე არაერთხელ ვწერდით და რამდენიმე მწვრთნელიც ვახსენეთ. მათ შორის **ექტორ რაულ კუპერი, ზიკო, დონადონი, გრანტი, ფინკე, სეგრტი**... ერთი სიტყვით, მწვრთნელი არაერთი დასახელდა, მაგრამ საინტერესოა, თუ რა ეტაპზეა ამჯერად ნაკრებში მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. ჩვენი ინფორმაციით, ავრაამ გრანტთან და ფოლკერ ფინკესთან თანამშრომლობის პირობებზე შეთანხება, პრაქტიკულად, მიღწეულია. ამჟამად ფედერაცია რობერტო დონადონისგან, ზიკოსა და ექტორ რაულ კუპერისგან ელის პასუხს - თანახმანი არიან თუ არა დაიწყონ კონკრეტული მოლაპარაკებები. საგულისხმოა ისიც, რომ პორტუგალიის ნაკრების თავკაცობის კანდიდატთა შორის კუპერიცაა დასახელებული. ჰოდა, არგენტინელი სპეციალისტი ჯერ პორტუგალიელთა პასუხს უცდის. თუ მას კონტრაქტს არ შესთავაზებენ, ბუნებრივია, ქართული მხარის წინადადებით უფრო მეტად დაინტერესდება. ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემაც** დაგვიდასტურა.

*"პორტუგალიელებმა ლუიშ ფელიპე სკოლარის შემცვლელად კუპერი, პეკერმანი და კეიროში გამოარჩიეს. ასე რომ, კუპერი პორტუგალიელებისგან კონკრეტულ შეთავაზებას უცდის. ჩვენ დონადონისა და ზიკოსგან ველით პასუხს. გრანტთან და ფინკესთან, პრაქტიკულად, მიღწეულია შეთანხმება და ისინი უკვე ჩვენს გადაწყვეტილებას ელოდებიან. ფედერაციის აღმასკომს რამდენიმე მწვრთნელის კანდიდატურას წარვუდგენთ და არჩევანიც იქვე გაკეთდება"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გოგი ქავთარაძემ.

დავით ცაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# ჩვენებურთა აქეთურ-იქითური



ვლადიმერ დვალიშვილი და სკონტო ნახევარფინალში გასვლამ გაახარა

## ქართველები ბალტიურ ნახევარფინალში

ბალტიის ლიგა სამი მეგობარი ქვეყნის (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) საერთო ტურნირია, რომელიც შარშან პირველად გაიმართა და ის სკანდინავიური ქვეყნების „როიალ ლიგის" ანალოგია. ბალტიის ლიგაში 12 გუნდი მონაწილეობს, 4-4 თითოეული ქვეყნიდან. შარშან ჩემპიონი ლატვიის ქალაქ ლიეპაიას „მეტალურგსი" გახდა. წლევანდელ ტურნირში დასრულდა მეოთხედფინალური ეტაპი, საპასუხო მატჩებმა ოთხი ნახევარფინალისტი გამოავლინა. ოთხიდან სამ გუნდში ქართველი ლეგიონერები თამაშობენ.

ლატვიის დედაქალაქის „სკონტო" საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ლიტვის „ჟალგირისს" მასპინძლობდა, პირველი შეხვედრა „სკონტომ" სტუმრად 4:2 მოიგო, ასე რომ, მომავალი ნახევარფინალისტის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. „სკონტომ" საპასუხო შეხვედრაც გაიმარჯვა (არადა 35-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდა) – 2:1 და ნახევარფინალში, რომელიც 27 ივლისს გაიმართება, თანაქალაქელ „რიგას" დაუპირისპირდება. „ჟალგირისთან" მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ „სკონტოს" ქართველი ლეგიონერები დავით გამეზარდაშვილი და ვლადიმერ დვალიშვილი. რაც შეეხება ზაალ ელიავას, მან რუსულ „ამკართან" ერთად გაიარა შეკრება პოლონეთში, თუმცა უშედეგოდ. ქართველი მცველი იძულებულია კვლავ „სკონტოს" მიუბრუნდეს. გამეზარდაშვილმა და დვალიშვილმა 90-90 წუთი ითამაშეს, თუმცა თავი არაფრით გამოუჩენიათ.

ლიტვურ დერბიში „კაუნასმა" 4:1 გაანადგურა „ეკრანასი" და ორი მატჩის ჯამში 8:3 მოიგო. აკაკი ხუბუტიამ და ზაკრი მანჩხავამ გამარჯვებულთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს. „კაუნასის" მეტოქე ნახევარფინალში ლატვიური „ვენტსპილსია". მოკლედ, 27 ივლისს ორი ქვეყნის ჩემპიონთა პირველი დაპირისპირებაა. ვენტსპილსელ ზურაბ მენთეშაშვილს არ უთამაშია „სუდოვასთან" სტუმრად 1:0 მოგებულ მატჩში. ლატვიელთა მწვრთნელმა მეზობელ ქვეყანაში მთლიანად ექსპერიმენტული შემადგენლობა წაიყვანა, რადგან პირველი მატჩი 3:0 ჰქონდა მოგებული.

## გაგამ არარატი დაამარცხა

სომხეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში სენსაციის ავტორი კაპანის „განძასარი" და მისი ლიდერი გაგა თიბილაშვილი გახდნენ. „განძასარი" ჩემპიონატის ლიდერ „არარატს" ესტუმრა და ქართველი ნახევარმცველის გოლით დაამარცხა – 1:0. გაგამ მე-4 წუთზე გაუტანა მასპინძლებს. 23 წლის თიბილაშვილს 13 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. „არარატი" მაინც პირველ ადგილზეა, თუმცა დაკარგული ქულებით პოტენციური ლიდერი ზაზა სახოკიას „მიკაა", რომელმაც სტუმრად 2:0 დაამარცხა „ულისე". ზაზას თავი არ გამოუჩენია.

## მოლდოვა დაიწყო, ისევ თარხნიშვილით

მოლდოვაში ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. ეს პირველი ევროპული ლიგაა, სადაც სეზონი გაიხსნა (იგულისხმება ის ტურნირები, სადაც შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით თამაშობენ). მოლდოვის ჩემპიონატი 11-გუნდიანია. ჯერ პირველი ტურის ოთხი მატჩი გაიმართა.

მძიმე სტარტი გამოუვიდა ქვეყნის მარადმწვანე ჩემპიონ „შერიფს". ტირასპოლელები დებიუტანტ „აკადემიას" ილებდნენ და საკმაოდ საეჭვო სიტუაციაში გატანილი გოლის წყალობით ჩაიწერეს პირველი სამი ქულა – 1:0. „შერიფი" მოედანზე ტრადიციულად, ქართველმა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა გაიყვანა. მას დაცვაში საქმე ფაქტობრივად არც ჰქონია, „შერიფი" 90 წუთის განმავლობაში უტევდა. თარხნიშვილი, რომელიც მალე 37 წლის გახდება, მე-11 სეზონს იწყებს „შერიფში". ვაჟა მოლდოვის 8-გზის ჩემპიონი, თასის 5-გზის და სუპერთასის 4-გზის მფლობელია. 2003 წელს მან გუნდთან ერთად თანამეგობრობის თასიც მოიგო, ვაჟა ერთხელ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, სამჯერ კი – საუკეთესო მცველად.

კიშინოვში „ზიმბრუმ" 2:0 დაამარცხა „ტილიგული". „ზიმბრუს" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა უკრაინული სინჯებიდან დაბრუნებულმა მამუკა ლომიძემ.

ხოლო დედაქალაქის მეორე გუნდის, „დაჩიას" პირველი ტურის მატჩი გადაიტანეს, მიზეზი მეტოქე, „ტირასპოლის" მონაწილეობაა ინტერტოტოს თასზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ოლეგის ხსოვნას მიეძღვნა

ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ზაზა დარასელის ხსოვნას მიეძღვნა მინიფეხბურთელთა ტურნირი, რომელსაც ვაკეში სასპორტო კომპლექსმა „ირაომ" უმასპინძლა. მედიელთა 13 გუნდი იბრძოდა პირველობისთვის. გადამწყვეტ პაექრობაში მე-2 არხის ფეხბურთელებმა 6:1 სძლიეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდს და მთავარი პრიზი მერვედ მოიპოვეს. მესამე ადგილისთვის ტელეკომპანია „მზის" და გაზეთ „24 საათის" წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ (3:3). თერთმეტმეტრიან დარტყმებში უფრო ზუსტი „მზის" ფეხბურთელები აღმოჩნდნენ და "ბრინჯაოც" მათ ერგოთ.

**ვაჟა დანელია**

სპეციალისტის აზრით. ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

# თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის როლი უმთავრესია

**ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ევროპის 1972 წლის პირველობის ვიცე-ჩემპიონია. საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ის ევრო 2008-ზე. მით უმეტეს, ძოძუაშვილი ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. საუბრის ბოლოს, რევაზ ძოძუაშვილს სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ.**

**- უპირველეს ყოვლისა, ევრო 2008 კონტინენტის წინა პირველობებს შეადარეთ. რა განსხვავებები დაინახეთ?**

- ორგანიზაციულ მხარეს ალვნიშნავდი. მეტად ჩანდა მწვრთნელების ხელწერა. უფრო მეტიც, აშკარად გამოჩნდა, რომ გუნდის შედეგიანობაში მწვრთნელის როლი უდიდესია. ერთსაც ალვნიშნავდი, იტალიისა და პოლონეთის ნაკრებების გარდა, თითქმის ყველა გუნდს აქცენტი თავდასხმაზე ჰქონდა გაკეთებული. ადრე ხშირად იყო, გუნდი 1:0-ს რომ იგებდა, მერე ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. ამჯერად კი მსგავსი თითქმის არ ყოფილა.

**- ჩემპიონატის სენსაციად რუსეთის მიერ ჰოლანდიის დამარცხება იყო. ამ მატჩს როგორ ანალიზს გაუკეთებდით?**

- ორივე გუნდმა შემტევი და ღია თამაში აჩვენა. ვერავინ იტყვის, რომ რუსებს ჰოლანდიელებზე უკეთესი შემსრულებლები ჰყავთ. რუსების მწვრთნელის წისქვილზე ისიც ასხამდა წყალს, რომ ის უკეთ იცნობდა მეტოქეს, ვიდრე მარკო ვან ბასტენი რუსეთს. ამ ბრძოლაში გუუს ჰიდინკმა ახალგაზრდა კოლეგას ცოდნა-გამოცდილების ხარჯზე მოუგო. ამასთან რუსები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უკეთ აღმოჩნდნენ მომზადებულები. საერთოდ კი, გუნდი, რომელიც ასე ღია და შემტევ თამაშს ირჩევს, ყოველთვის დიდ რისკზე მიდის. იმას არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად დაცვიდან უნდა ითამაშო - შეტევა და დაცვა დაბალანსებული უნდა იყოს.

**- ვის გულშემატკივრობდით, ვინ დაიმსახურა თქვენი სიმპათიები?**

- კარგი იქნებოდა, ამ დიდ საფეხბურთო ფორუმზე საქართველოს ნაკრები ყოფილიყო. ლატვიას რომ ესპარეზა, მათაც ვუქომაგებდი... ავსტრია-შვეიცარიაში კონკრეტულად რომელიმე გუნდის საგულშემატკივროდ არ ჩავსულვარ. მინდოდა ფეხბურთის პროგრესი შემეგრძნო, თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნები და სიახლეები დამენახა. მომეწონა რუსეთის ნაკრები, მაგრამ იდეალური არ იყო, რადგან შეტევაზე იმდენად იყო ჰიდინკის გუნდი გადართული, დაცვას სათანადო ყურადღებას ველარ უთმობდა. ასე იყო ჰოლანდიაც და ორივე დაისაჯა კიდეც. ყველაზე ძალიან ესპანეთის ნაკრები მომეწონა.

ლუის არაგონესის მაგალითმა დაგვანახა, რომ ნაკრების თავკაცი დიდი პრაქტიკოსი უნდა იყოს. 70 წლის არაგონესმა აჩვენა, რომ ასაკოვან და გამოცდილ მწვრთნელს მეტის მიღწევა შეუძლია და ახალგაზრდებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი. რაც შეეხება სიმპათიებს, მომეწონა ხორვატიაც, თურქეთიც...

**-რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდით?**

- მომეწონა რუსეთის ნაკრების მეკარე აკინფეევი. კარგი იყო ტორესი, ჩავი, ლი. ერთმა ჩემმა კოლეგამ და ფეხბურთის სპეციალისტმა მითხრა, ევროპის ჩემპიონატზე მივდივარ, რათა მაგარი ფეხბურთელები და მათი ლამაზი თამაში ვნახოო. ასეთ დიდ საფეხბურთო ფორუმებზე მთავარი მწვრთნელია, ტაქტიკა, სტრატეგია, სიახლეები, ფეხბურთის პროგრესი... რამდენჯერ ყოფილა ესა თუ ის ვარსკვლავი მწვრთნელებს რომ ვერ გამოუყენებიათ.



ავტორის ფოტო

კასილიასი, სნეიდერი, კასანო... ყველაზე კარგი კი მაინც მარკოს სენა იყო.

**- ვინ ვერ გაამართლა თქვენი იმედები?**

- უპირველესად საფრანგეთმა და იტალიამ... დონადონის გუნდის ტაქტიკა ყველასათვის იოლად გასაშიფრი იყო.

**- უეფამ ევროპის ჩემპიონატის რჩეულად ესპანელი ჩავი დაასახელა. მასზე რას იტყოდით?**

- არაგონესმა დაამტკიცა, რომ ფლანგზე სასტარტო სისწრაფის არმქონე ფეხბურთელის გამოყენებაც შეიძლება, მთავარია მან თამაში გაამწვავოს. ესპანელთა მწვრთნელმა საშუალო სისწრაფესა და ჰარმონიულ თამაშზე გააკეთა აქცენტი.

**- მსაჯობაზე რას იტყოდით?**

- ყველაზე მეტად იტალიელი არბიტრი როზეტი მომეწონა. ერთი-ორი შეცდომა მასაც ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონატზე ყველაზე კარგი არბიტრი იყო. საერთოდ კი ევროპის ჩემპიონატის მსაჯობას დადებითად შევაფასებდი.

**- ესპანეთისა და გერმანიის ფინალური მატჩიც გავიხსენოთ. რის ხარჯზე მოიგო არაგონესის გუნდმა?**

- გადამწყვეტი როლი მწვრთნელმა და მისმა გამოცდილებამ ითამაშა. თანამედროვე ფეხბურთში შედეგზე მწვრთნელის წვლილი 70%-ია, ფეხბურთელებისა კი 30%. სამწუხაროდ, ჩვენში ეს ბევრს არ აქვს გათავისებული.

**- ამ ბოლო ხანს ყველა ჩემპიონატს ტოტალიზატორებს უკავშირებენ. იქნებ გარკვეული პარალელი გაავლოთ საბუკმეიკერო კანტორებსა და ევროპის ამ პირველობას შორის...**

- ვფიქრობ; ეს ჩემპიონატი ამითაც განსხვავდებოდა. მოულოდნელობა ბევრი იყო, თურქეთისგან, იტალიისგან, საფრანგეთისგან ასეთ შედეგებს ბევრი არ ელოდა .. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში ტოტალიზატორი უფრო მოგებული დარჩა, ვიდრე ხალხი.

**- სანახაობრივად, რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

- ჰოლანდია-რუსეთის, ასევე დამამახსოვრდა თურქეთის ნაკრების მოგებული მატჩები.

**- ვის შეხვდით ევროპის ჩემპიონატზე?**

- უმთავრესად პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩემი თაობის წარმომადგენლებს, სტარკოვსი, ტარხანოვი, სურკისი, გერშკოვიჩი...

**- თქვენს მომავალზე რას გვეტყოდით?**

- ამ ეტაპზე ჩემი უმთავრესი მიზანი პროფლიცენზიის აღებაა, რისთვისაც სექტემბერში კიევში მიმიწვიეს.

**- გუნდებისგან შემოთავაზებები არ გაქვთ?**

- რუსეთის, უკრაინისა და თურქეთის კლუბებზეა საუბარი და ვნახოთ, რა შედეგით დასრულდება.

**დავით ცაბაძე**

# ლოკომოტივი საგურამოში გადადის

## სიმურგში ზვიად ჩხეტიანიც მიიწვიეს

თბილისის "ლოკომოტივი" ინტერტოტოს გათამაშებას დაემშვიდობა. რა ცვლილებები მოჰყვება ამ მარცხს, ჯერ კიდევ უცნობია. ერთი სიახლე კი უკვე არის: "ლოკომოტივი" საყრდენ ნახევარმცველ ზვიად ჩხეტიანს შეელია. 24 წლის ნახევარმცველი, ალბათ, აზერბაიჯანულ "სიმურგში" ჩაირიცხება, სადაც მისი ძმა კახა ჩხეტიანი თამაშობს.

ინტერტოტოდან გამოვარდნამ და ეროვნული ჩემპიონატის გვიან დაწყებამ (23 აგვისტოს იმართება პირველი ტური), თბილისის "ლოკომოტივს" დასვენების და მოსამზადებელი ეტაპის ნორმალურად დაწყების საშუალება მისცა.

ერთ თვეში "ლოკომოტივი" ახლადაშენებულ საგურამოს ბაზაზე გადასახლდება. გუნდის ადმინისტრატორ ირაკლი ჩოთალიშვილის თქმით, საგურამოში სამუშაოების დიდი ნაწილი დასრულებულია და გუნდის განკარგულებაში იდეალური სავარჯიშო პირობებია - ორსართულიანი შენობის პირველი სართული კეთილმოეწყო და უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. საშხაპეებზე, გასახდელებზე, მოსასვენებელ ოთახებზე ალარაფერს ვამბობთ. ჩოთალიშვილის თქმით, უკვე გააკეთეს ორი სტანდარტული ბალახის საფარიანი მოედანი.

საგურამოს ბაზაზე პატარა სტადიონიც გაკეთდება და ტრიბუნები აშენდება. ამას გარდა, მალე მზად იქნება სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი და ორი შედარებით მცირე ზომის მოედანი.

"ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა დღეს ჟურნალისტებს საგურამოს ბაზის დათვალიერებას და იქ მისასვლელად 17.30 საათზე "მიხეილ მესხის" სტადიონთან ტრანსპორტს სთავაზობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# კიჭების თავგადასავალი მიუნხენიდან სოხუმამდე



**შოთა არველაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, ავტობიოგრაფიული წიგნი რომ დაწერა. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ეს წიგნი შოთას გამოსათხოვარი მატჩისთვის დაბეჭდილიყო, მაგრამ წიგნის პორეზენტაცია სექტემბრამდე გადაიდო.**

**ვფიქრობთ, გულშემატკივრთა ინტერესი ამ წიგნის მიმართ დიდი იქნება და შოთას ვთხოვეთ, წიგნის ერთი ფრაგმენტის გამოქვეყნების ნებართვა "ლელოსთვის" მოეცა.**

**მოკლედ, გთავაზობთ შოთას ჯერაც გამოუქვეყნებელი ავტობიოგრაფიული წიგნის ერთ ეპიზოდს.**

**დავით თავართქილაძე**

...თბილისის „დინამოში" პირველად არველაძეებიდან რეზიმ ითამაშა. მის საყურებლად სიარული ჩვენთვის ზეიმი იყო და სულმოუთქმელად ველოდი იმ დღეს, როდესაც ძირითადში ათამაშებდნენ. ეს დღეც მალე მოვიდა და სსრკ თასის მატჩში ხარკოვის „მეტალისტთან" მისი დებიუტი ულამაზესი გოლით აღნიშნა, ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ ძნელი გადმოსაცემია. პირველად დაიწერა ელექტრო ტაბლოზე დიდი ასოებით არველაძე, ეს ფაქტი უდიდესი სტიმული აღმოჩნდა ჩემთვის და ძალიან მალე ოცნებაც ამისრულდა.

დავით ყიფიანმა 1989 წლის 16 დეკემბერს „დინამოში" პირველ ვარჯიშზე დამიბარა. აჩის ამ პერიოდში უმძიმესი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, რომელიც კეთილი ადამიანების დახმარებით მიუნხენში გაიკეთა. ეს ყველაფერი ახლა არცთუ ძნელია, საბჭოთა პერიოდში კი ამის მოგვარება წარმოუდგენლად ძნელი იყო. მამაჩემის მეგობრების, ნიკო ლეკიშვილის, ვიკა გელოვანის, ომარ სიამაშვილის უშუალო დახმარებით მოხერხდა ჩვენი გერმანიაში წასვლა – ეს ის ადამიანები არიან, ვისი მადლიერნიც ცხოვრების ბოლომდე დავრჩებით და ამ სიკეთეს არასოდეს დავუვიწყებთ. ფულიც ამ ხალხის დახმარებით ვიშოვეთ, მოკლედ, ვიზებიდან დაწყებული, ოპერაციით დამთავრებული, ყველაფერი მოგვიგვარეს. კიჭამ მთელი ქვეყანა შეძრა და აჩის ფეხი გადაურჩინა. მაშინ ატროსკოპიით ოპერაციებს მხოლოდ გერმანიაში აკეთებდნენ.

მე კიჭას და აჩის მოსკოვამდე უნდა გავყოლოდი, იქიდან მიუნხენში გამეცილებინა ისინი, რადგან ვიზას მე არ მაძლევდნენ. მოსკოვში მატარებელში დასამშვიდობებლად როცა შევედი, კიჭას ჩემი ვიზა გამზადებული ჰქონია და სიურპრიზს გვიმზადებდა. მატარებელი უნდა დაძრულიყო, როცა კიჭამ მითხრა, შოთი, იქნებ დაიმალოო. დავიბენი, ცოტა შემეშინდა კიდეც და იქვე ჩავიცუცქე. ამის მერე გავიგე, ვიზა რომ მქონდა. მატარებელი დაიძრა, სისწრაფე აკრიფა და მეც მათთან ერთად გავემგზავრე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მე ჩემი აჩის გვერდით ვიქნებოდი მისთვის ურთულეს წუთებში და ყველა პრობლემას ადვილად მოვაგვარებდით. 1988 წელი იდგა და გაგანია კომუნიზმიდან დემოკრატიულ გერმანიაში მოხვედრა სასწაულის ტოლფასი იყო.

გერმანიაში ჩვენი სათვისტომოს უფროსი ქრისტეფორე კირკიტაძე დაგვხვდა და თან გადაგვყვა, ქალაქი დაგვათვალიერებინა და საღამოს რესტორანში დაგვპატიჟა.

მეორე დღეს აჩიმ ოპერაცია გაიკეთა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მე მასთან ვრჩებოდი. ყველაფერი კარგადაა, იკითხავდნენ გერმანელი ექიმები და ოთახის ნათურას, რა თქმაუნდა, ანთებულს ტოვებდნენ. ტელევიზორს გვიანობამდე ვუყურებდით და შუაღამემდე არ ვიძინებდით, ამიტომ მათი გამოჩენა ძალიან არ მიყვარდა, რადგან ერთი-ორი კითხვის გამო გვაღვიძებდნენ. ექიმები აჩის ყავარჯნებით სიარულს უკრძალავდნენ, მას კი ეზარებოდა, ხოდა ერთ-ერთი შემოვლის შემდეგ აჩის ავადმყოფის მოსასხამი გამოვართვი, მისი ხალათი ჩავიცვი და კორიდორში გამოვედი, ძალიან ადრე იყო და რომ დამინახეს, ძალიან გაუხარდათ, ყოჩაღ თავისით გამოვიდაო: იავოლ აჩი იავოლ, ზერ გუთ, შპაცირენ, შპაცირენ, მოკლედ, ძალიან გაუხარდათ. მე კი ჩემთან ახლოს მყოფ მედდას ყავარჯნების დაჭერა ვთხოვე და გამომართვა თუ არა, მეორე მხარეს გავიქეცი, გავრბივარ მაგრამ რას გავრბივარ, მთელი კლინიკა მომსდევს: ფუტ კაპუტ, ფუტ კაპუტე ერთხმად მეძახიან, ამ დროს კიჭა ხილით დატვირთული მოდის და რას ხედავს, მთელი ექიმები მე დამსდევენ, მიუხედავად იმისა, რომ მას არასდროს არ ავრევივართ მე და აჩი, ზურგიდან ნამდვილად ვერ მიცნო, იფიქრა, ბავშვმა ნარკოზის შემდეგ ხომ არ გააფრინაო, მთელი მსოფლიო შევძარი და ყველაფერი წყალში გვეყრება, ფეხს აღარავინ ჩიოდა, ყველამ იფიქრა, ნამდვილად გაგიჟდაო. ამ დროს ერთ-ერთი ექთანი ჩვენს პალატაში შევარდა ჩემს დასაძახებლად, იქნებ ძმამ მაინც გააჩეროსო და ოთახში მძინარე აჩი რომ დახვდა ფეხაწეული, ჭკუიდან გადაირია, ყველა სიცილით ძირს ეყარა, საწყალი მამაჩემი კი გაქვავებული იდგა სანამ მიხვდა, რაში იყო საქმე, მერე კარგად გაგვიარ-გამოგვიარა ჯიშ-ჯილაგში და ეგ იყო.

ასე ლამაზად და მხიარულად მოვიარეთ გერმანია და უკან დავბრუნდით, აჩის მძიმე პერიოდი ჰქონდა გასავლელი, რეაბილიტაცია გრძელი და საკმაოდ რთული იქნებოდა, მაგრამ რაც მთავარია, იცოდა რა უნდა ექნა, ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული.

■ ■ ■

„დინამოს" დილმის ბაზაზე მოხვედრა, რა თქმა უნდა, ყველა ახალბედა ფეხბურთელის ოცნება იყო. შევედი თუ არა დუბლების მხარეს გამიშვეს, შენობაში შესვლა მხოლოდ პირველი გუნდის წევრებს შეეძლოთ. დუბლებს ნოდარ აკობია წვრთნიდა, ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი იყო ყველასთვის საყვარელი „იროდიჩი". ისე ვნერვიულობდი, რომ აღარ მახსოვს, როგორ ვივარჯიშე, მხოლოდ ის მახსოვს, რომ კარგი მინდორი და ჩემთვის მძიმე და მაგარი ბურთები იყო. მალე „დინამო" გაფართოვებული შემადგენლობით ლესელიძეში გაემგზავრა, მე, სამწუხაროდ, სიაში ვერ მოვხვდი, რაზეც ბევრი არ მინერვიულია, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი დრო აუცილებლად დადგებოდა.

ჩვენდა საუბედუროდ, ლესელიძის ეს შეკრება არა მარტო „დინამოსთვის" არამედ ყველა ქართული გუნდებისთვის ბოლო აღმოჩნდა, მაშინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა, საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაჟინებული მოთხოვნით ქართული გუნდები სსრკ ჩემპიონატიდან უნდა გამოსულიყო... მემგონი ვიჩქარეთ, იმ დროისთვის საქართველოს ორი გუნდი გვეყოლებოდა უმაღლეს ლიგაში, „დინამო" და "გურია". საფეხბურთო სამყარო ორად გაიყო, ზოგი უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ორი გუნდის დატოვებას და დანარჩენი ლიგის გუნდებისგან შემდგარ საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას მოითხოვდა, მეორე მხარე კი დაუყოვნებლივ ყველა ქართული გუნდის საბჭოთა ჩემპიონატიდან გამოსვლას მოითხოვდა და ასეც მოხდა. ეს უფრო პოლიტიკური პროტესტი იყო, ვიდრე სწორი პოზიცია, ეროვნულ მოძრაობას ასე სურდა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები მტრებადაც კი შეიძლება გამოეცხადებინათ.

ჩემთვის ეს შოკის მაგვარი იყო, მთელი ცხოვრება რაზეც ვოცნებობდი და თითქოს ამიხდა კიდეც, უცაბედად გაქრა, თუმც ეს უფრო დიდი ოცნების დასაწყისი გახდა...

თბილისის „დინამო" პირველი პროფესიონალური გუნდი გახდა სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებში და მისი პირველი პრეზიდენტი. ოთარ წეროძე იმ ურთულეს პერიოდში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ „დინამოს" წინსვლა არ შეეჩერებინა, მაგრამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია ამის საშუალებას არ იძლეოდა.

ეროვნული მოძრაობა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, მაგრამ... „დინამო" დაიშალა, სახელიც კი გადაარქვეს და „იბერია" უწოდეს, აქაოდა, "დინამო" კომუნისტურიაო. "დინამოს" ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდებში გადანაწილდნენ, ზოგი რაიონში წავიდა და იქ დაამთავრა კარიერა, ბევრმა საერთოდ ხელი ჩაიქნია ფეხბურთზე. ერთი სიტყვით, საქართველოს ფეხბურთმა დიდი დარტყმა განიცადა. დაინგრა და გაპარტახდა სტადიონები, ხალხს ინტერესი გაუქრა, აბა, ვის აინტერესებდა ზესტაფონი მოუგებდა რუსთავს თუ პირიქით, მოკლედ რომ ვთქვათ, უფრო უკეთ შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს რომ ავღნიშნო, წინააღმდეგობის გაწევა, როგორც უკვე ვთქვი, ღალატის ტოლფასი იყო და ყოველივე იმის განჭვრეტა თუ რა მოხდებოდა, ძალიან რთული გახლდათ.

კოტე გაბაშვილის თაოსნობით დაარსდა საფეხბურთო კლუბი „მართვე", სადაც მთელი ჩვენი 35-ე სკოლის გუნდი გადავედით და რეზიც - საქართველოს პირველობის მეორე ლიგაში ჩავერთვეთ. "მართვეში" ავიღე ჩემი პირველი ხელფასი, რადგან „დინამოში" მისი აღება ვერ მოვასწარი. 30 მატჩში 33 გოლი გავიტანე და საკმაოდ მოვლონიერდი, აჩიმაც ტრავმა მოიშუშა და სამივე ერთად წინ მივიწევდით.

1991 წელს „დინამოში" დავბრუნდით. ქვეყანაში ურთულესი პერიოდი იდგა, არავის ეფეხბურთებოდა, სამოქალაქო ომი, ოსეთი, მერე აფხაზეთი, ქვეყანა ისევ ომის მოლოდინში იყო. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩემპიონატი არ ჩაშლილიყო, თან ფიფას და უეფას ყოველ დღე აწუხებდა ჩვენი გაწევრიანების თხოვნით. ეროვნული ჩემპიონატის წყალობით ვითამაშე სოხუმში და გაგარაში, სადაც მანამდე არასდროს ვყოფილვარ და ვინ იცის, კიდევ როდის ჩავალ, სოხუმში ლამაზი გოლიც გავიტანე რომელიც განსაკუთრებულად მახსოვს.

ჩვენი, ფეხბურთელების უშუალო თხოვნით „დინამოს" სახელი დავუბრუნეთ, რადგან ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მისი სახელი უდიდეს ემოციასა და ისტორიას იტევს, ამ სახელს უკავშირდება ჩვენი ერის დიდი გამარჯვებები და სასირცხვილო მას არაფერი აქვს, პირიქით, ყველასათვის საამაყო იყო და არის.

პირველი მატჩი ყიფიანმა მათამაშა ქუთაისის "ტორპედოსთან" და ჩემი დებიუტი გოლით აღვნიშნე - თემურ ქეცბაიამ, რომელსაც თვითონ შეეძლო კარში დარტყმა, პასი მე გადმომაწოდა და ერთი შეხებით ბურთი ბადეში გავახვიე.

ყოველი ვარჯიშის შემდეგ ინდივიდუალურად ძალიან ბევრს ვშრომობდით, ნოდარ აკობია დაღამებამდე დიღმის ბაზაზე იყო და გვავარჯიშებდა, ჩვენს გოლებს ქულებს უწერდა, ეს ყველაფერი მაშინ მთავრდებოდა, როცა რომელიმე ჩვენთაგანი გოლის გატანის შემდეგ „იროდიჩისგან" 10 ქულას მიიღებდა. იყო შემთხვევა, როცა ყიფიანს კარიდან მეკარე გაუყვანია, რათა ვარჯიში შეჰვეწყვიტა - "დინამოში" ვარჯიში განსაკუთრებულად მსიამოვნებდა.

1992-93 წლების სეზონის ბოლოს საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელიც გავხდი, მსოფლიო ფეხბურთის მესვეურებმაც შეისმინეს ჩვენი თხოვნა და საქართველო ფიფაუეფაში გაწევრიანდა. ეს ქართული ფეხბურთის ახლიდან დაბადებას ჰგავდა, ყველა უზომოდ ბედნიერი და პირველი საერთაშორისო თამაშის მოლოდინში იყო. ყველა იმას ამტკიცებდა, რომ სამი წლის წინანდელი გადაწყვეტილება სწორი იყო, მაგრამ ის, რომ ინფრასტრუქტურა საერთოდ დაინგრა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლები დაიხურა, ფეხბურთელებმა ფეხბურთს თავი დაანებეს და სტადიონებზე ხალხი საერთოდ აღარ დადიოდა – ამაზე არავინ ლაპარაკობდა. ამის შედეგები ძალიან მწარედ მოგვიანებით მოვიმკეთ...

პეკინი 2008. იტალია

# კაზირაგიმ დიდებიდან როკი გამოიძახა

იტალიის ოლიმპიური ნაკრები პეკინისთვის მკლავებს იკაპიწებს. გუშინ, **პიერლუიჯი კაზირაგიმ** დაასახელა წინასწარი (22 ფეხბურთელი) შემადგენლობა, რომელსაც 6 ივლისიდან რომში მოამზადებს. ნაკრებში, რომელშიც 23-წლამდე ფეხბურთელები არიან თავმოყრილი, მხოლოდ ერთი "გადაზრდილი" მოთამაშეა: "ლაციოს" 31 წლის ფორვარდი **ტომაზო როკი**.

კაზირაგის კონკრეტული მიზანი აქვს. მან იტალიას ჭრილობა უნდა მოუშუშოს და ევრო 2008-ზე "სკუადრა აძურას" ფიასკო გადაფაროს. ამისთვის პეკინის ოქროა საჭირო. ამოცანა მეტად რთულია, რადგან ოლიმპიადაზე არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებებიც ითამაშებენ. ცხადია, მათაც ანალოგიური მიზანი ამოძრავებთ. მით უმეტეს, ბრაზილიას ოლიმპიური ოქრო დღემდე არ ღირსებია, არგენტინა კი წინა თამაშების გამარჯვებულია და ტიტულის დასაცავად ყველა ღონეს იხმარს. თანაც, "ალბისელესტეს" შემადგენლობაში **ლიონელ მესი** ეყოლება...

დავუბრუნდეთ იტალიას. კაზირაგის გუნდს მზადების პროგრამით გათვალისწინებული ბოლო საკონტროლო მატჩი 22 ივლისს, პისტოიაში, რუმინეთთან ექნება. გარდა 22-კაციანი წინასწარი შემადგენლობისა, ოლიმპიური "აძურას" თავკაცმა შეარჩია კიდევ 15 ფეხბურთელი, რომელთაც ასევე უნდა ჰქონდეთ ჩინეთში გამგზავრების იმედი, მცირე, მაგრამ მაინც. თუმცა კაზირაგის ჯერ ის აქვს გასარკვევი, ვინ იქნება მთავარ შემადგენლობაში ის ზედმეტი ორი მოთამაშე, რომელთაც შინ დარჩენა მოუწევთ.

მწვრთნელის პირველი არჩევანი ასე გამოიყურება: **აბატე** (მილანი), **აკვაფრესკა** (კალიარი), **ბოკეტი** (ჯენოა), **კანდრევა** (უდინეზე), **ჩიგარინი** (პარმა), **კოდა** (უდინეზე), **კონსილი** (ატალანტა), **კრიშიტო** (ჯენოა), **დე ჩელიე** (იუვენტუსი), **დე სილვესტრი** (ლაციო), **დესენა** (პარმა), **ჯოვინკო** (იუვენტუსი), **მარკიზიო** (იუვენტუსი), **მონტოლივო** (ფიორენტინა), **მოტა** (უდინეზე), **ნოჩერინო** (პალერმო), **რანოკია** (არეცო), **როკი** (ლაციო), **ჯ. როსი** (ვილიარეალი), **რუსოტო** (ტრევიზო), **სირიგუ** (პალერმო), **ვივიანო** (ბრეშა).

სათადარიგო არჩევანი: **ალფონსო** (ვენეცია), **ბასი** (ემპოლი), **კურჩი** (სიენა), **ანდრეოლი** (ვიჩენცა), **კანინი** (კალიარი), **მარძორატი** (ემპოლი), **ფ. პიზანო** (კალიარი), **მ. როსი** (პარმა), **ბოლცონი** (ინტერი), **გალოპა** (სიენა), **გუარენტე** (ატალანტა), **მოროზინი** (ვიჩენცა), **ლანცაფამე** (პალერმო), **ოსვალდო** (ფიორენტინა), **პელე** (ალკმაარი).



ტომაზო როკი ოლიმპიურ თამაშებზე, შესაძლოა, ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი იყოს

არგენტინა

# მესი პეკინში მიდის

## ალბისელესტეს აგუერო და რიკელმეც ეყოლება

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთი ისეთი მივიწყებული არ იქნება, როგორც სხვა ოლიმპიადების დროს იყო ხოლმე. დასამალი არ არის, რომ ოლიმპიადაზე სპორტის სხვა სახეობები უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. თუმცა ამჯერად სულ სხვაგვარადაა საქმე. პეკინში თვით **ლეო მესის** თამაშით დატკბებიან. "ბარსელონის" ვარსკვლავმა გუშინ სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ "ალბისელესტეს" ჩინეთში მიჰყვება. ლეო, რა თქმა უნდა, ოქროს მედალს უმიზნებს. ერთი შეხედვით, მისი კლასისა და გაქანების მქონე ვარსკვლავისთვის ოლიმპიადა მიმზიდველი არ უნდა იყოს, მაგრამ მესი სულით ხორცამდე პატრიოტია და არგენტინას ყოველთვის უნდა დაეხმაროს.

სასიხარულოა, რომ "ალბისელესტეს" შემადგენლობაში ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებიც იასპარეზებენ. მათ შორის იქნებიან "ატლეტიკოს" ფორვარდი **სერხიო აგუერო** და გენიალური **ხუან რომან რიკელმე**. არგენტინელთა სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** უსტარი (ხეტაფე), რომერო (ალკმაარი).

**მცველები:** საბალეტა (ესპანიოლი), მონსონი (ბოკა ხუნიორსი), გარაი (რეალი), ბურდისო (ინტერი), ფასიო (სევილია), აკოსტა (სევილია).

**ნახევარმცველები:** გაგო (რეალი), რიკელმე (ბოკა ხუნიორსი), ბანეგა (ვალენსია), მასკერანო (ლივერპული), სოსა (ბაიერნი).

**თავდამსხმელები:** ბონანოტე (რივერ პლეიტი), აგუერო (ატლეტიკო), მესი (ბარსელონა), ლავეცი (ნაპოლი) დი მარია (ბენფიკა).

**სათადარიგოები:** ბილია (ანდერლეხტი), ნავარო (ნაპოლი), პარეხა (ანდერლეხტი), ინსუა (ლივერპული).

**ილია ნიკოლაიშვილი**



ლეო მესი და სერხიო აგუერო ოლიმპიადაზე მიემგზავრებიან

მოსალოდნელი ტრანსფერები

# არშავინმა ჩელსისკენ გაიხედა

## სკოლარი დროგბას გაყიდვას ითხოვს, ბრაზილიელმა ეტოოს დაადგა თვალი

"ჩელსი" **ანდრეი არშავინის** ტრანსფერისათვის ძალღონეს არ იშურებს. რუს ნახევარმცველს "ბარსელონაც" ეპატიჟება. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, "არისტოკრატებს" წარმატების მიღწევის უკეთესი შანსი აქვთ. **რომან აბრამოვიჩისათვის** ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის შეძენა ღირსების საქმეა. **ლუიშ ფელიპე სკოლარი** "სტემფორდ ბრიჯზე" ახალ კლუბს აშენებს. არშავინი მისი რევოლუციის მთავარი გმირი უნდა გახდეს.

რუსი ნახევარმცველის ტრანსფერს წმინდა პრაგმატული საფუძველიც აქვს. **შონ რაიტ-ფილიპსი** "ჩელსიდან" აბარგებას აპირებს. ლონდონელებს მისი შემცვლელი სჭირდებათ. არშავინი შესანიშნავი კანდიდატია. რაიტ-ფილიპსს "პორტსმუთისაკენ" აქვს გეზი აღებული. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია.

გუშინდელ "დეილი მეილში" ასეთი ინფორმაციაც ამოვიკითხეთ. სკოლარიმ **დიდიე დროგბას** გაყიდვა მოითხოვა. ბრაზილიელ მწვრთნელს კოტდივუარელი ვარსკვლავი არ სჭირდება, სამაგიეროდ, კამერუნელი **სამუელ ეტოოს** შეძენა სურს და მის ტრანსფერში დროგბას სანაცვლოდ მოხვეჭილი ფულის დახარჯვას აპირებს. ამ დღეებში უნდა გადაწყდეს **ფრენკ ლემპარდის** საკითხიც. მას "ინტერში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

ესპანური სააგენტოები გუშინაც ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ არშავინი ცალი ფეხით ბარსელონელია. "ზენიტის" სპორტულმა დირექტორმა **კონსტანტინე სარსანიამ** "დიარიო სპორტის" ჟურნალისტს განუცხადა: *"მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არშავინს უცხოეთში თამაში სურს. მას რამდენიმე შეთავაზება აქვს. ზუსტად ვიცი, რომ "ბარსელონა" ანდრეისთვის უალტერნატივო ვარიანტი არ არის."*

სარსანიამ დაადასტურა, რომ არშავინის აგენტს ლონდონიდან შეეხმიანნენ. რუსმა ჟურნალისტებმა "ზენიტის" ვარსკვლავთან გასაუბრებაც მოახერხეს. ანდრეიმ კომენტარისაგან თავი შეიკავა — ჯერჯერობით, ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემს ტრანსფერზე ჩემი აგენტი მუშაობსო.

ვნახოთ, რას წერენ არშავინის შესახებ რუსული სააგენტოები. ინტერნეტგამოცემა "ტვოი დენი" იუწყება, რომ "ზენიტმა" ფეხბურთელს ახალი კონტრაქტი და მრავალმილიონიანი ანაზღაურება შესთავაზა - დაუზუსტებელი ინფორმაციით, წელიწადში 5 მილიონი ევრო, რაც რუსეთის ჩემპიონატისათვის აბსოლუტური რეკორდია. 27 წლის ნახევარმცველმა პეტერბურგელები თავაზიანი უარით გაისტუმრა და დაბეჯითებით მოითხოვა ტრანსფერზე დაყენება.



ანდრეი არშავინი

"ტვოი დენი" კიდევ ერთ საინტერესო ამბავს გვაწვდის. არშავინს თურმე "ბარსელონაში" გადასვლა სურდა, მაგრამ ოჯახის წევრებთან მოთათბირების შემდეგ, ინგლისზე შეაჩერა არჩევანი. მეუღლემ ანდრეის უთხრა, რომ მათი შვილისათვის უკეთესი იქნებოდა ინგლისში ცხოვრება და შემდგომში სწავლა. ანდრეიმ ოჯახის თხოვნა ყურად იღო და "ჩელსისთან" მხოლოდ ამის შემდეგ გააჩაღა მოლაპარაკებები. თუმცა საბოლოოდ ყველაფერს კონტრაქტის ფინანსური მხარე გადაწყვეტს.

"გაზეტა რუს" ცნობით, **დიკ ადვოკაატი** ახალი ევროპული სეზონისათვის არშავინის გარეშე ემზადება. ის ფეხბურთელის გაყიდვას უკვე შეეგუა და მის შემცვლელს ეძებს. "ზენიტის" ხელმძღვანელობამ მწვრთნელს განუცხადა, რომ მას ახალი ნახევარმცველის შესაძენად არშავინის სატრანსფერო თანხის ნახევარს გამოუყოფენ. "გაზეტა რუ" იუწყება, რომ "არისტოკრატები" ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს (დაახლოებით, 15 მილიონი გირვანქა) გადაიხდიან.

ზემოთ დროგბა და ეტოო ვახსენეთ. მოდით, ეს თემა განვავრცოთ. "სანის" მტკიცებით, "ჩელსი" ფორვარდს 22 მილიონ გირვანქად აფასებს. დროგბას შეძენა "მილანს" უნდა. "როსონერი" **ემანუელ ადებაიორის** ტრანსფერზე მუშაობდა, მაგრამ "არსენალთან" შეთანხმება ვერ მოახერხა. მილანელებისათვის დიდიეს საკითხი ისევ აქტუალური გახდა.

რაც შეეხება ეტოოს, იმავე გამოცემაში ვკითხულობთ, რომ სკოლარიმ "ბარსელონას" 8 მილიონი გირვანქა და ფრანგი ნახევარმცველი **ფლორან მალუდა** შესთავაზა, კატალონიელებმა კი 18 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. ლონდონელებთან კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ, სამუელმა კვირაში 160 ათას გირვანქა მოითხოვა. "ჩელსიმ" მას 130 ათასი შესთავაზა, ამას გარდა, სოლიდურ პრემიას დაპირდა, რაც მის მიერ მოთხოვნილ თანხას თითქმის აანაზღაურებს.

# კრაუჩი პორტსმუთში ნასვლას ელოდება

## ტოტენჰემი კინს არ თმობს, მამლები ბერბატოვის საკითხის გარკვევას ელოდებიან...

"პორტსმუთის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** "ლივერპულთან" გარიგების იმედს არ კარგავს. მას **პიტერ კრაუჩის** შეძენა სურს. დღეს რედნაპი მერსისაიდელებს უკანასკნელად შეეხმიანება და 10 მილიონ გირვანქას შესთავაზებს — წინა შეთავაზებაზე ერთი მილიონით მეტს.

"ლივერპულს" ეს თანხა ისევ ეცოტავება. მათი დამრიგებელი **რაფა ბენიტესი** 15 მილიონს ითხოვს და შეღავათის გაკეთებას არ აპირებს. კრაუჩს "პორტსმუთში" გადასვლა სურს. მას თავისი სანაკრებო პერსპექტივა აშფოთებს. კრაუჩმა გასული სეზონის უმეტესი ნაწილი ლივერპულელთა თადარიგში გაატარა. ინგლისის ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელო** დუბლიორ ფეხბურთელს არ გამოიძახებს. კრაუჩს "ლივერპულთან" კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი.

მერსისაიდელების საქციელი გაკვირვებას იწვევს. თუ ისინი ფეხბურთელს სეზონის დაწყებამდე არ გაყიდიან, დიდი შანსია, იანვრის ტრანსფერებისას 10 მილიონიც კი აღარ შესთავაზონ. "პორტსმუთს" კიდევ ერთი პრობლემის გადაწყვეტის იმედი აქვს. საქმე **ნვანკვო კანუს** ეხება. კლუბმა ვეტერან ნიგერიელს კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება შესთავაზა. ფეხბურთელმა მინიმუმ ორწლიანი გარიგება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი გუნდიდან წასვლით დაიმუქრა. თუ კანუ მუქარას აასრულებს, რედნაპს კრაუჩი ჰაერივით დასჭირდება.

დავუბრუნდეთ "ლივერპულს". "დეილი მეილის" ცნობით, მერსისაიდელები **რობი კინის** შეძენას აპირებენ. ირლანდიელ თავდამსხმელს "ენფილდზე" გადასვლა სურს. ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** შეგირდს ურჩია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, "ლივერპულთან" გააფორმოს კონტრაქტი. მაგრამ ტრანსფერს "ტოტენჰემის" თანხმობა სჭირდება. კინს "მამლებთან" კიდევ სამწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს. ლონდონელები მასთან გამოთხოვებას არ ჩქარობენ.

"ტოტენჰემის" დამრიგებელმა **ხუანდე რამოსმა** ჯერაც არ იცის, როგორ გადაწყდება მისი გუნდის საუკეთესო თავდამსხმელის **დიმიტარ ბერბატოვის** საკითხი. ბულგარელ ლეგიონერს "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. გუშინდელმა "სანმა" გვაუწყა, სერ ალექსს ბერბატოვის შესაძენად 23 მილიონი გირვანქა გამოუყვესო. თუ დიმიტარ მანჩესტერში წავა, "ტოტენჰემი" კინს მით უფრო არ გაუშვებს. ასე ხომ ფაქტობრივად თავდამსხმელის გარეშე დარჩება. მათი დონის ფეხბურთელს კი თვალის დახამხამებაში ვერ იშოვის.

"მანჩესტერს", რა თქმა უნდა, სხვა ფეხბურთელების ყიდვაც შეეძლო, მაგრამ ფერგიმ სამი კანდიდატი სამი სხვადასხვა მიზეზის გამო დაიწუნა — **დავიდ ვილიაზე** თქვა, რომ ტანდაბალია, **რომან პავლიუჩენკოს** კლასი დაუწუნა, ხოლო **სამუელ ეტოოს** ფასი (ზოგიერთი წყაროს ცნობით, 30 მილიონი ევრო ღირს) და მონდომება.



პიტერ კრაუჩს პორტსმუთი სანატრელი გაუხდა

გუშინ "დეილი მეილმა" "ტოტენჰემთან" დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით გვაუწყა, რომ ბერბატოვი გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩენაზე დაიყოლიეს. ტაბლოიდი ინფორმაციის გადამოწმებას შეეცადა, მაგრამ არც კლუბს და არც ფეხბურთელს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გარიგების მოლოდინში

# მანჩესტერმა კრისტიანოს მწვანე შუქი აუნთო

## ალექს ფერგიუსონმა ცოფები ყარა, მაგრამ ბრძოლა მაინც წააგო

**კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერს მალე ალბათ საშველი დაადგება. გუშინ უკლებლივ ყველა ესპანური გამოცემა წერდა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" მეპატრონემ, ბატონმა **გლეიზერმა** პორტუგალიელი ვარსკვლავის გაყიდვა გადაწყვიტა. "ამერიკელმა მილიარდელმა კრისტიანოს მწვანე შუქი აუნთო" –ასეთი სათაურით გამოიცა გუშინდელი "დიარიო მარკა". მოგეხსენებათ, "წითელი ეშმაკების" მფლობელი წარმატებული ბიზნესმენია და რონალდოს გაყიდვა წმინდა კომერციული მოტივებით გადაწყვიტა. მისი აზრით, ის თანხა, რომელსაც მას მადრიდის "რეალი" სთავაზობს, ხელიდან გასაშვები არ არის. საუბარი ხომ 100 მილიონ ევროზეა. შესაძლოა, ეს კაცი ფეხბურთში ისე კარგად ვერ ერკვეოდეს, როგორც **სერ ალექს ფერგიუსონი**, მაგრამ მიაჩნია, რომ "მანჩესტერ იუნაიტედს" 100 მილიონი უფრო წაადგება, ვიდრე ერთი ფეხბურთელი, თუნდაც ის კრისტიანო რონალდო იყოს. "დიარიო მარკას" თუ დავუჯერებთ, გუშინ გლეიზერმა **დევიდ გილს** დაურეკა და **პრედრაგ მიატოვიჩთან** შეხვედრა დაავალა. "იუნაიტედის" თავმჯდომარე შეეცადა, კლუბის პატრონისთვის წმინდა საფეხბურთო ნიუანსები განემარტა. ოკეანისგაღმელს მან შეახსენა, რომ რონალდომ გასულ ტრიუმფალურ სეზონში უდიდესი სამუშაო შეასრულა. მისი ფანტასტიკური გოლების წყალობით "მანჩესტერმა" პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. გლეიზერმა არგუმენტები ყურადღებით მოისმინა, მაგრამ გილს მაინც არ დაეთანხმა. ინგლისური გრანდის თავმჯდომარეს ისღა დარჩენოდა, მადრიდში დაერეკა და მიატოვიჩთან შეხვედრის დაგეგმვა დაეწყო.

ეს ამბავი, ბუნებრივია, **სერ ალექს ფერგიუსონმაც** გაიგო. "წითელი ეშმაკების" მთავარი მწვრთნელი იმდენად გაცოფდა, რომ გილს შუაღამით დაურეკა და საკმაოდ მკაცრად დაელაპარაკა. სერ ალექსს არ აინტერესებს, ეგრეთ წოდებული საფეხბურთო ბიზნესი და მარკეტინგი. ის მთავარი მწვრთნელია და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სპორტულ შედეგზე ფიქრობს. ხშირად ამბობენ, რომ ერთი ფეხბურთელის სანაცვლოდ აღებული კოლოსალური თანხით რამდენიმე მაღალი დონის მოთამაშის ყიდვა შეიძლება. მართლაც, 100 მილიონით სულ მცირე სამ-ოთხ პროფესიონალს იყიდიან, მაგრამ ფერგიუსონი პირდაპირ ამბობს, რომ დღესდღეობით კრისტიანო რონალდო შეუცვლელი ფიგურაა.

"დიარიო ასი" ტაბლოიდი არასოდეს ყოფილა. ამ გაზეთში ყურმოკრულ ინფორმაციას არ ბეჭდავენ. ცნობებს ისინი სანდო წყაროებისგან იგებენ. მოკლედ, მადრიდულ გამოცემაში ერთი საინტერესო ამბავი დაიწერა. რონალდოს მენეჯერი ალექს ფერგიუსონს დაუკავშირდა და ძალიან უხეშად დაელაპარაკა. თქვენ ყველასთვის პატივსაცემი ადამიანი ხართ, მაგრამ იმის უფლება არ გაქვთ, რომ ჩემს კლიენტს თავისუფლება შეუზღუდოთო. სეუ **მენდეში** ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რონალდომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გააგრძელოს კარიერა. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში ის საკმაოდ დიდ ფულს იშოვნის. 100 მილიონიდან მას გარკვეული წილი ერგება. გარდა ამისა, "რეალის" ხელმძღვანელობა პორტუგალიელ საფეხბურთო აგენტს დახმარების სანაცვლოდ პრემიის სახით 1,5 მილიონ ევროს ჰპირდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მენდეშის აქტიურობა გასაკვირი სულაც არ არის, მაგრამ გაწიწმატებულ სერ ალექს ფერგიუსონს ყველა და ყველაფერი ფეხებზე კიდია. სად იყო გლეიზერი, როცა ის "მანჩესტერის" კეთილდღეობას ცხოვრების საუკეთესო წლებს ახმარდა? ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ფერგიუსონმა ჩხუბის მიუხედავად ვერაფერს მიაღწია. დევიდ გილმა მთავარ მწვრთნელს სიმშვიდისკენ მოუწოდა და სთხოვა, სიტუაცია არ დაძაბოს...

ევროპის ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ კრისტიანო რონალდო არდადეგებზე წავიდა. როგორც იცით, ის 10 დღის განმავლობაში სარდინიაზე ისვენებდა. შემდეგ პორტუგალიაში დაბრუნდა და ლისაბონში საგანგებოდ ჩასულ მანჩესტერელ ექიმებთან ერთად მკურნალობის მოკლე კურსი გაიარა. რონალდოს არდადეგები გრძელდება. ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პორტუგალიელი მაიამიზე აპირებდა დასვენებას. ისიც ითქვა, კრისტიანომ ლისაბონი-მაიამის რეისზე ბიზნესკლასის ყველა ბილეთი იყიდაო. ძნელი სათქმელია, ეს რამდენად უტყუარი ინფორმაციაა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ფეხბურთელმა ამერიკაში გამგზავრება გადაიფიქრა. როგორც გაირკვა, სამშობლოში დარჩენა მას საკუთარმა აგენტმა სთხოვა. მენდეში უახლოეს დღეებში პრედრაგ მიატოვიჩთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს დაიწყებს. და აუცილებელია, რომ კრისტიანო ოკეანის გაღმა არ გადაიხვეწოს. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს ისღა დარჩენოდა, მენდეშისთვის დაეჯერებინა და ბილეთები უკან ჩაებარებინა. რონალდო არდადეგებს ახლა მადეირაზე ატარებს. გადატვირთული გრაფიკისა და პროფესიულ ფეხბურთთან დაკავშირებული მომქანცველი ყოველდღიურობის გამო კრისტიანო ბავშვობის მეგობრებთან ხშირ ურთიერთობას ვერ ახერხებს. ამიტომ მან ჯიბეზე ხელი გაიკრა და მადეირაზე ერთბაშად ექვსი მეგობარი წაიყვანა. ჟურნალისტებს გაქცეულმა რონალდომ მასმედიას თავი კერძო პლაჟზეც კი ვერ დააღწია. მას ესპანელმა კორესპონდენტებმა ჩააკითხეს. ალბათ, ძალიან თავხედი ან პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული უნდა იყო, რომ უამრავ ბრძოლაგადახდილ და გადაღლილ ფეხბურთელს დასვენება ჩააშხამო და ისევ ფეხბურთზე ლაპარაკი დაუწყო. მოკლედ, "დიარიო ასის" თანამშრომლებმა არც აციეს, არც აცხელეს და რონალდოს მადრიდის "რეალის" შესახებ ჰკითხეს. ეს ყველაფერი, თურმე ძალიან კურიოზულ გარემოში მომხდარა. ფეხბურთელი წამოწოლილი იყო. მას მადრიდელი ჟურნალისტი მიეპარა მისალმების გარეშე პირდაპირ ეს კითხვა დაუსვა: "*რონალდო, მადრიდში როდის ჩამოდიხარ?*" პორტუგალიელს ისეთი რეაქცია ჰქონდა, მისი მეგობრები კინაღამ სიცილით დაიხრჩნენ. ფეხბურთელმა დაუპატიჟებელი სტუმარი საკმაოდ უხეშად მოიცილა თავიდან: ახლა ფეხბურთზე არ ვლაპარაკობ და ძალიან გთხოვთ, აქაურობა დატოვეთო.


კრისტიანო რონალდო და მისი მეგობარი გოგონა ნერეიდა გალიარდო

ნუ იფიქრებთ, რომ მივლინება უშედეგოდ დასრულდა. ჩვენი ესპანელი კოლეგა სეუ მენდეშს შეხვდა და ძალიან საინტერესო ამბები გაიგო. პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ალექს ფერგიუსონის წინააღმდეგობა გადალახულია. გლეიზერმა მთავარ მწვრთნელს კატეგორიულად დაუყენა საკითხი. მე შემადგენლობის დაკომპლექტებაში არ ვერევი, ჩემს იდეებს თავს ვერ გახვევთ და თქვენგანაც იგივეს მოველიო. ანუ, ამერიკელს იმის თქმა სურდა, რომ ბიზნესს თავისი მოთხოვნები აქვს და ბიზნესაქტივობის გარეშე წარმატებას ვერცერთი კლუბი ვერ მიაღწევს.

"რეალისთვის" კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია ის არის, რომ რონალდოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ეს ამბავი ისევ და ისევ მენდეშმა გაახმაურა. მაიამიზე მოგზაურობის ჩაშლა ალბათ, ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. კრისტიანო უბრალოდ პოლიტკორექტულობას იჩენს, თორემ სამეფო კლუბში გადასვლა რომ არ უნდოდეს, **რამონ კალდერონს** პირდაპირ ეტყოდა, თავს ნუ შეიწუხებთ, მე თქვენს გუნდში მომსვლელი არ ვარო. ასე რომ, საპნის ოპერა დასასრულს უახლოვდება. წინ მხოლოდ ბოლო რამდენიმე სერიაა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რობინიოს აგენტი რეალს აშანტაჟებს

## აბრამოვიჩი ბრაზილიელში 35 მილიონს იხდის

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კრისტიანო რონალდოს ტრანსფერი დროის საკითხია და მეტი არაფერი. "რეალში" მეგავარსკვლავის გამოჩენა სიკეთის გარდა პრობლემებსაც მოიტანს. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, პორტუგალიელი რობინიოს მადრიდულ კარიერას საფრთხეში აგდებს. მომავალ სეზონში სამეფო კლუბის მარცხენა ფლანგზე **არიენ რობენი** იასპარეზებს. მარჯვენა ფრთას სავარაუდოდ რონალდოს ჩააბარებენ. რობინიოს **გუტის** პოზიციაზე თამაშის იმედიც არ უნდა ჰქონდეს. ძნელი წარმოსადგენია, მან **რაულს** ან **ვან ნისტელროის** წაართვას ადგილი. გამოდის, სამხრეთამერიკელი სათადარიგოთა სკამზე ჯდომისთვისაა განწირული. ამას რობინიო, ცხადია, არ შეეგუება. "რეალის" მე-10 ნომერი ახლა მშობლიურ სანტოსში ისვენებს, მაგრამ მობილურ ტელეფონს ღამითაც არ თიშავს და **ვაგნერ რიბეიროს** დღეში რამდენჯერმე ელაპარაკება. ფეხბურთელის მოთხოვნით, ბრაზილიელი აგენტი მადრიდში ჩავიდა და სიტუაციაში გარკვევა სცადა. მას საიმედო ვერავინ ვერაფერი უთხრა. **შუსტერმა** სტუმარს მოახსენა, რობინიოს პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მივიჩნევ, მაგრამ ძირითადში თამაშის გარანტიას ვერავის მივცემო. მიატოვიჩმა მხრები აიჩეჩა. კალდერონთან შეხვედრის სურვილი კი უტოპია აღმოჩნდა...


რობინიო მადრიდიდან წასასვლელად ემზადება

განაწყენებულმა ვაგნერ რიბეირომ მადრიდულ სასტუმრო "რიცში" სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და ძალიან რადიკალური განცხადება გააკეთა: "*თუ ჩემი კლიენტი არ სჭირდებათ, პირდაპირ მითხრან და ჩვენს გზას მოვნახავთ. ახალი კლუბის მონახვა რობინიოს არ გაუჭირდება. ის მსოფლიო დონის ვარსკვლავია და უამრავი შემოთავაზება აქვს. სხვათა შორის, შეგვიძლია სპორტსმენთა ასოციაციის ტრიბუნალს მივმართოთ და სატრანსფერო თანხის 10 მილიონ ევროდ განსაზღვრა მოვითხოვოთ. რობინიო სამეფო კლუბში სამი წელია, თამაშობს და ფიფას რეგლამენტითაც უფლება აქვს, სხვა კლუბში გადასვლის საკითხი ერთპიროვნულად დააყენოს ისე, რომ ხელმძღვანელობას არაფერი შეუთანხმოს. ამ გზას თუ მივმართავთ, მისით დაინტერესებულ კლუბს სიმბოლური თანხის გადახდა მოუწევს. დიახ, რობინიოს კლასის ფეხბურთელისთვის 10 მილიონი სწორედ სიმბოლური თანხაა*".

რიბეიროს ამ სკანდალურ განცხადებას სამეფო კლუბის ოფისი უმალ გამოეხმაურა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით "რეალის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებას გაგაცნობთ: "*ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რა გახდა რიბეიროს გაცხარების მიზეზი. მადრიდის "რეალს" რობინიოზე უარი არასოდეს უთქვამს. ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ მაშინ, როცა პრეტემპორადაც კი არ დაწყებულა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიის მოთხოვნა სრული უპასუხისმგებლობაა. როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თითოეული ფეხბურთელი როგორ ფორმაში იქნება. იმედია, სენიორ რიბეირო ყველაფერს კარგად გაიაზრებს და ტონს შეცვლის*".

სავარაუდოა, რომ ბრაზილიელი აგენტი სპორტსმენთა ასოციაციის ტრიბუნალს არ მიმართავს. სატრანსფერო თანხის შემცირება პირველ რიგში მის ინტერესებში არ შედის, რადგან შესაბამისად, დაბალ საკომისიოს მიიღებს. ეს ალბათ შანტაჟის უსუსური მცდელობა იყო. ერთ რამეში კი რიბეირო 100 პროცენტიანია. რობინიოს რომელიმე ევროპულ გრანდში მოწყობა არ გაუჭირდება. ასე მაგალითად, გუშინ ცნობილი გახდა, რომ რობინიოს თანამშრომლობა "ჩელსიმ" შესთავაზა. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რომან აბრამოვიჩთან** შეხვედრა მოინდომა. "არისტოკრატების" მეპატრონეს უარი არ უთქვამს. ბრაზილიელმა მწვრთნელმა რუს ოლიგარქს უთხრა, "ჩელსის" გადახალისება სჭირდებაო. სკოლარის აზრით, ლონდონურმა კლუბმა განვითარების გზაზე გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგას და შემადგენლობის მნიშვნელოვნად გაძლიერებაზე იზრუნოს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აბრამოვიჩმა მწვრთნელს დახმარება აღუთქვა და იმავე დღეს თანაშემწეს მადრიდის "რეალის" ოფისში დაარეკინა. "ჩელსიმ" ესპანურ გრანდს 35 მილიონი შესთავაზა. პასუხად კი ის მიიღო, რომ რობინიო მხოლოდ 45 მილიონ ევროდ შეიძლება გაიყიდოს. სავარაუდოდ, 10 მილიონზე ვაჭრობა გაიმართება, თუმცა აბრამოვიჩი ის კაცი არ არის, ახალ მწვრთნელს ამ თანხის გამო გული დასწყვიტოს და სასურველი ფეხბურთელი "სტემფორდ ბრიჯზე" არ ჩაუყვანოს.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

გერმანიის ნაკრები

# პრობლემები გერმანელთა ბანაკში

## ბალაკი-ბირჰოფის ჩხუბმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი

ამას წინათაც ვწერდით, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, გერმანიის ნაკრების კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** და მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** ერთმანეთს წაეკიდნენ. ეს კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს და ადასტურებს იმას, რომ გერმანიის ნაკრებში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

ჩვენს გერმანელ კოლეგებს ბუნდესგუნდის ჰარმონიულობაზე ეჭვი აქამდეც ეპარებოდათ და ამ ფაქტმა ეჭვები დაადასტურა. ბირჰოფი ბუნდესნაკრებს ერთ ოჯახს, ერთ გუნდს უწოდებდა და უცებ ირკვევა, რომ ამ გუნდში სერიოზული დაპირისპირებაა. და ეს არ გახლდათ მხოლოდ ემოციური აფეთქება, რაც, მხოლოდ და მხოლოდ, ფინალის წაგებით იყო გამოწვეული. ბალაკი და ბირჰოფი ერთმანეთს კინალამ ხელით შეეხნენ.

მეტსაც გეტყვით: ბუნდესკაპიტანი ბირჰოფს დარტყმით ემუქრებოდა და მისკენ რამდენჯერმე გაიწია. რომ არა **კევინ კურანი**, რომელმაც ბალაკი დაიჭირა და იქაურობას განარიდა, მიხაელი ბირჰოფს მართლაც უთავაზებდა. ფაქტია, რომ ეს იყო საუკეთესო, რაც კურანიმ ევროპის ჩემპიონატზე გააკეთა.



მომენტი, როცა ოლივერ ბირჰოფი და მიხაელ ბალაკი ერთმანეთს წაეკიდნენ

ჩხუბის მიზეზსაც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: საფინალო სასტვენის შემდეგ, ბირჰოფმა სთხოვა, ბიჭებთან ერთად ბანერს (წარწერით: მადლობა!) ხელი მოკიდე და ფანებთან მიდითო. ბალაკმა კი მიიჩნია, რომ წაგებული ფინალის შემდეგ ეს აბსოლუტური უაზრობა იყო და უარი განაცხადა, რის შემდეგაც მოხდა კიდეც შელაპარაკება. ამას გარდა, ბალაკმა ბირჰოფს ყველაფერი პირში მიახალა, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მოსწონდა და უყვიროდა, „ივენთ-მენეჯერი" ხარ, ფეხბურთი კი ფეხებზე გკიდიაო.

ე.წ. ივენთები, წვეულებები, სხვადასხვა პიარკამპანიები და გათამაშებული სცენები ბალაკს არასდროს მოსწონდა. ასეთ საკითხებში ის აბსოლუტურად ეთანხმება **ტორსტენ ფრინგსს**, რომელიც ასევე ყოველთვის მსახიობობის წინააღმდეგია. ასე, მაგალითად, ფინალიდან მეორე დღეს ბერლინში, ბრანდებურგის კარიბჭესთან გამართული ზეიმი ბალაკმა ყველაზე ადრე დატოვა. ჟურნალისტებს განუცხადა, ზეიმის ხასიათზე ნაკლებად ვარო და ისედაც ყველამ იცის, რომ წვეულებები, დისკოთეკები და კარნავალები ბალაკს არასდროს უყვარდა.

გარდა ამისა, ბუნდესგუნდში ბევრი არმოსაწონი კანონი მოქმედებს. მაგალითად, ყველა ფეხბურთელს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ან სამწვრთნელო შტაბის გაკრიტიკება აკრძალული აქვს. აბსოლუტურად ყველა ინტერვიუს მესამე პერსონა ესწრება. ეს უკანასკნელი ხშირად ოლივერ ბირჰოფიც არის ხოლმე. ფეხბურთელებმა მოითხოვეს, რომ პიარაქციების რაოდენობა მაქსიმალურად შემცირდეს. მოთამაშეებს უკვე ყელში ამოუვიდათ სახელდობრ აი, ასეთი ფაქტები: „აჰა შენ მაჯის საათი და ვალდებული ხარ, პრესკონფერენციაზე ზუსტად ეს საათი გეკეთოს!" ასეთი ფაქტები უამრავია და ფეხბურთელებს ხან რომელი, ფირმის ჩემოდნების თრევას ავალდებულებენ, ხანა რომელი. ეს ყველაფერი კი ბუნდესფეხბურთელებს ყელში ამოუვიდათ. ბოლოს და ბოლოს, ეს საფეხბურთო გუნდია თუ პიარკოლექტივი, ამდენი გლამური ყელში ამოვიდაო, ეს ბალაკის სიტყვებია.

ვინ გაბედავდა შეწინააღმდეგებას? მადლიერი **ლემანი, მეტცელდერი** ან **ოდონკორი**, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდათ და ევროპის ჩემპიონატზე მაინც წაიყვანეს?

კონტინენტის პირველობაზე მეორე ადგილის დაკავება ძალიან კარგი შედეგია და ის, რაც გერმანიის ნაკრებში რეალურად ხდება, წარმატებით „შეიფუთა", მაგრამ ბალაკისა და ბირჰოფის ჩხუბმა ძალიან ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი...

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# პანღური ასამოას

## რუტენი არავის არაფერს აპატიებს



ფრედ რუტენმა ჯერალდ ასამოა ბურთის მოსატანად ასე გააგდო

ზედიზედ სამი დღეა, "შალკეს" ვარჯიშების შესახებ ვწერთ. მიზეზი მარტივია: გელზენკირხენული კლუბის ახალი მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** გუნდში ფაქტობრივად, რევოლუციას ახდენს. რამდენადაც რბილი იყო **მირკო სლომკა**, იმდენად მკაცრი და დაუნდობელია ჰოლანდიელი და ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ "შალკეს" სწორედ ასეთი, ძალიან მკაცრი ხელი სჭირდებოდა.

45 წლის რუტენს ყველაზე მეტად თავი **ჯერალდ ასამოამ** მოაბეზრა. ჯერ იყო და, ვარჯიშის დროს ჯიბეში ხელი ჩაიდო, რის გამოც მწვრთნელის შენიშვნა მიიღო, ამ შემთხვევის შემდეგ კი, მეორე დღეს, ასამ რუტენისგან პანღური დაიმსახურა!

გუშინ, რუტენმა ფეხბურთელები 143 წუთის (!) განმავლობაში არბენინა. ამის შემდეგ, მწვრთნელმა 12 ფეხბურთელი ორის წინააღმდეგ ათამაშა. ერთ მომენტში, როცა ფეხბურთელებს ბურთი გადაუვარდათ, მწვრთნელმა ასამოას უთხრა, მოიტანეო. 32 გრადუს სიცხეში ჯერალდს ბურთის მოსატანად გაქცევა დაეზარა და ამ დროს, რუტენმა მას პანღური ამოსცხო!..

გუშინ, „შალკეში" პირველად ივარჯიშა გუნდის ახალწვეულმა **ჯეფერსონ ფარფანმა**, რომელიც გელზენკირხენული გუნდის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირფასი შენაძენია (10 მილიონი ევრო). რუტენი ამ უკანასკნელზე უდიდეს იმედებს ამყარებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი. მზადება დაიწყო

# შააფი: ჩემპიონობა გვინდა!

## პროგრამა მინიმუმი კი სამეულია



ვერდერის თავკაცი თომას შააფი

"ბაიერნისა" და "შალკეს" შემდეგ, მომავალი სეზონისთვის მზადებას გერმანიის ვიცე-ჩემპიონი "ვერდერიც" შეუდგა. ბრემენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** პირველ ვარჯიშზე 18 ფეხბურთელი შეკრიბა. 2008/09 წლების სეზონში მუსიკოსების მიზანი სამეულში მოხვედრა იქნება, მაგრამ შააფი ასეთ რამეს ამბობს: *"ცხადია, "ბაიერნი" ისევ ნომერ პირველი ფავორიტია, მაგრამ რაკი პირველი ადგილი არსებობს, ე.ი. ჩვენც გვაქვს შანსი, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ."*

ამთავითვე ცნობილია, რომ "მუსიკოსები" სატრანსფერო ბაზარზე ძალიან არ გააქტიურდებიან. გუნდმა უკვე დაიმატა სამი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი მოთამაშე. სამიდან ორმა, პირველ ვარჯიშში მონაწილეობა მიიღო. ესენი არიან **ნიკლას ანდერსენი** და **საიდ ჰუსეინოვიჩი**. რაც შეეხება ავსტრიელ ახალწვეულ **შტეფან პრიოდლს**, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, შედარებით ხანგრძლივი შვებულება დაიმსახურა და "ვერდერს" ოდნავ მოგვიანებით შეუერთდება.

გუნდთან ერთად არ არიან ევროპის ვიცე-ჩემპიონები, **ტორსტენ ფრინგსი, პერ მერტეზაკერი** და **კლემენს ფრიტცი**. შვებულება გაუგრძელდათ **ბუბაკარ სანოგოსა** და **დიეგოსაც**. როგორც იცით, "ვერდერი" **ტიმ ბოროვსკიმ** დატოვა. ამ უკანასკნელმა „ბაიერნს" მიაშურა. ფაქტობრივად, წასულია **ივან კლასნიჩიც**, რომელიც ახალი გუნდის ძიებაშია. განათხოვრებული იყო და ალბათ, ჯერ არ დაბრუნდება **კარლოს ალბერტოც**.

ცნობილია, რომ "მუსიკოსები" თავდასხმაში აპირებენ გაძლიერებას და მინიმუმ ერთი მაღალი კლასის ფორვარდს ეძებენ. *„ზეწოლის ქვეშ ნამდვილად არ ვართ. შესაბამისად, შეგვიძლია, მშვიდად ვიმოქმედოთ და თავდამსხმელი ნელ ტემპში ვეძებოთ. თუკი ვინმეს შევიძენთ, ეს მართლა ძალიან კარგი თავდამსხმელი უნდა იყოს. პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ სასურველი ტრანსფერი საკმაოდ გვიან, მაგალითად, აგვისტოს ბოლოს განვახორციელოთ,"* – აცხადებს ბრემენელთა გენერალური მენეჯერი კლაუს ალოფსი.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# იოლი: ვან დერ ვაარტი უნდა დარჩეს!

## მაგრამ თუ მაინც წავა, ტრაგედიას არ შევქმნითო

"ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** დარწმუნებულია, რომ გუნდის ლიდერი და კაპიტანი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომელიც ჩრდილოგერმანული კლუბიდან აბარგებას გეგმავდა, "ჰამბურგში" დარჩება.

*"ამას წინათ, რაფაელს ჩემი ასისტენტი ჟელკო პეტროვიჩი ესაუბრა და ვან დერ ვაარტმა მას უთხრა, გუნდში სიამოვნებით დავრჩები, "ჰამბურგი" ძალიან მიყვარს და ამ კლუბის დატოვება ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილაო,"* – განუცხადა იოლმა საინფორმაციო სააგენტო DPA-ს და იქვე დასძინა, **პეტროვიჩი** ვან დერ ვაარტს ევროპის ჩემპიონატის დროს შეეხმიანაო.

როგორც იცით, ჰოლანდიელ პლეიმეიქერს ჩრდილოგერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2009 წლის ზაფხულში, ანუ გაისად, რაფაელს გუნდის დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლება. შესაბამისად, თუკი მას დარჩენა უნდა, გუნდის შეფებმა მომავალი სწორად უნდა განსაზღვრონ – ულირთ კი ვან დერ ვაარტის დატოვება იმის ფასად, რომ დაახლოებით 30 მილიონ ევროდ შეფასებული მოთამაშე, გაისად ფაქტობრივად, უფასოდ გაუშვან? მართალია, რაფაელი ამბობს, რომ "ჰამბურგი" ძალიან უყვარს, მაგრამ 31 აგვისტომდე, ანუ, სანამ სატრანსფერო ფანჯარა არ დაიხურება, იქნება, წასვლა-დარჩენის საკითხს მაინც ღიად ტოვებს.

*"რაფაელი გუნდის უმნიშვნელოვანესი, საკვანძო ფიგურაა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ მხოლოდ მასზე არ ვარ დამოკიდებული და გუნდის მომავლის პერსპექტივას მის გარეშეც განვიხილავ,"* – ამბობს იოლი, რომელიც 4-2-3-1 ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას.

ის თავის უმთავრეს ამოცანად გუნდის შეტევითი პოტენციალის გაუმჯობესებას მიიჩნევს. *"უპირველესი მიზანი ის არის, რომ გუნდმა გოლების გატანა ყველა სიტუაციიდან ისწავლოს. გასულ სეზონში "ჰამბურგმა" 40 გოლი გაიტანა და მეოთხე ადგილზე გავიდა. საერთოდ, გუნდები 40 გოლით მეოთხე ადგილზე არ გადიან ხოლმე,"* – აცხადებს იოლი. ჰოლანდიელი უდიდეს იმედებს ამყარებს **დავიდ იაროლიმზე, ნაიჯელ დე იონგზე, პაულო გერეროსა** და **პიოტრ ტროხოვსკიზე**. ეს ფეხბურთელები გასულ სეზონში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობდნენ. მწვრთნელი ტროხოვსკის სულაც ვან დერ ვაარტის შემცვლელის როლს უწინასწარმეტყველებს. შესაბამისად, იოლი სულაც არ მიიჩნევს აუცილებლად იმას, რომ "ჰამბურგმა" სატრანსფერო ბაზარზე დიდად იაქტიუროს. მწვრთნელი: *"ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს ვიყიდით, ეს ფეხბურთელი საუკეთესო უნდა იყოს. ჩვენ არ უნდა ვიყიდოთ ფეხბურთელი მხოლოდ იმიტომ, რომ მერე ვთქვათ: "აი, ვიყიდეთ!"*

52 წლის სპეციალისტმა ჰამბურგში უკვე მონახა სახლი, სადაც საცხოვრებლად აგვისტოს დასაწყისში გადავა. "ჰამბურგი" ახალი სეზონისთვის მზადებას ყველა ბუნდესლიგურ კლუბზე გვიან, 7 ივლისს შეუდგება. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოგერმანელები პირველ ტურში "ბაიერნს" ესტუმრებიან...

**გოტფრიდ ლენცი**



დარჩება ვან დერ ვაარტი ჰამბურგში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სერ ალექს ფერგიუსონთან

# კანტონა, ჩემი საყვარელი ფეხბურთელი

## რატომ ვერ იყიდა იუნაიტედმა პოლ გასკოინი; გუშინ სერ ალექსი კიდევ დარწმუნებული იყო, რომ კრისტიანო რონალდო მანჩესტერში დარჩებოდა...

**"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს პრესასთან ურთიერთობა არ უყვარს. მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონმა "გარდიანისთვის" გამონაკლისი დაუშვა. ტაბლოიდმა მასთან საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ გამოაცხო. თავად განსაჯეთ, მწვრთნელმა თავისი ძველი შემოსავალი გაიხსენა, სინანულით ახსენა პოლ გასკოინის ჩაშლილი ტრანსფერი და არც ყველაზე დიდი საკადრო შეცდომა დავიწყნია. "გარდიანმა" ფერგის ინტერვიუ, ტრადიციულად, მონოლოგის ფორმით მოგვაწოდა...**



სერ ალექს ფერგიუსონი

"მიყვარს ძლიერ და მოტივირებულ ფეხბურთელებთან ურთიერთობა. ბუნებით მეც მებრძოლი ადამიანი ვარ. მანჩესტერში მხოლოდ ასეთი ხალხი მუშაობს. შემთხვევითი არ არის, რომ უკვე მრავალი წელია, წარმატება ჩვენი კლუბის განუყრელი თანამგზავრია. არა მგონია, ახალ სეზონში მოტივაციის თვალსაზრისით პრობლემა გვქონდეს. ჩვენ ახალგაზრდა, ამბიციური გუნდი გვყავს. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამ ყმაწვილებს საკუთარი ძალების რწმენა შემატა. ეჭვი არ მეპარება, **ანდერსონს, რუნის, რონალდოსა** და **ნანის** კიდევ არა ერთი ტიტულის მოპოვება სურთ...

რონალდო არ წავა. დარწმუნებული ვარ, რომ ის გაისადაც ჩვენთან ითამაშებს. "რეალი" ასეთ შოუს პირველად არ დგამს. მან **ბექჰემი** და **ვან ნისტელროიც** ამავე მეთოდით გადაიბირა. შარშან კი ჩვენი ფიზმომზადების მწვრთნელი წაიყვანა. მის ფოკუსებს უკვე მიჩვეულები ვართ. მეორეს მხრივ, "რეალის" დაინტერესება "იუნაიტედის" ფეხბურთელების აღიარებაა. სამეფო კლუბიც კი აღიარებს, რომ ჩვენ მასზე უკეთესი მოთამაშეები გვყავს და ნებისმიერ ფასად ცდილობს მათ ხელში ჩაგდებას. ვიმეორებ, თითქმის დარწმუნებული გახლავართ, რომ კრისტიარო რონალდო "მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩება...

ევროპის ჩემპიონატი სატრანსფერო აქტივობას შესამჩნევად ამცირებს. არც წლევანდელი ზაფხულია გამონაკლისი. ევროს მიმდინარეობისას დიდი ტრანსფერების განხორციელება წარმოუდგენელია. ახლა, როდესაც ტურნირმა ჩაიარა, ხალხი მუშაობას შეუდგება. მწვრთნელები კლუბებში ბრუნდებიან, მოლაპარაკებების გამართვას ველარაფერი შეაფერხებს. "იუნაიტედის" სატრანსფერო გეგმები თუ გაინტერესებთ, არა მგონია, ერთზე მეტი ფეხბურთელი შევიძინოთ. კანდიდატები უკვე შეგულებული გვყავს. ახალ სეზონში განსაკუთრებულ სიახლეს არ ველოდები. დიდი ოთხეულის გარდა, სხვა კლუბებმა რამდენიმე ფეხბურთელიც არ უნდა იყიდონ, ისე ვერ გაძლიერდებიან, რომ საჩემპიონო მარათონში ჩაერთონ. "ლივერპული" რამდენიმე მოთამაშეს შეიძენს, არსენალმა, როგორც ვიცი, **ნასრი** და **რამზი** იყიდა. დანარჩენს მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ვნახავთ...

"რეინჯერსში" რომ ვთამაშობდი, ჩემი მაქსიმალური ხელფასი კვირაში 60 გირვანქა იყო. ამას გარდა, პრემიის სახით, 20 გირვანქას ვიღებდი. იმ დროს, კვირაში 80 გირვანქა ჩემთვის დიდი ფული იყო. დღეს "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა ფეხბურთელი მულტიმილიონერია, რისთვისაც დაუნდობლად აკრიტიკებენ. გოლფისა და ჩოგბურთის ზოგიერთი ვარსკვლავი უფრო მეტს შოულობს. ჩემი აზრით, ყველას იმდენი უნდა გადაუხადონ, რამდენსაც იმსახურებს. რასაკვირველია, გვხვდებიან ფეხბურთელები, რომლებიც ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ დიდ ფულს უხდიან. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ასეთი მოთამაშეები "იუნაიტედში" არ არიან...

ჩემი საყვარელი ფეხბურთელი? **ერიკ კანტონა**. მას იშვიათი უნარი ჰქონდა: ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში გოლის გატანის, ან საგოლე მომენტის შექმნის, რომელსაც მერე მისი რომელიმე თანაგუნდელი გოლად აქცევდა. ყოფილა შემთხვევები, გამიფიქრია: ღმერთო, გვაჩუქე ერთი გოლი. კანტონაც, თითქოს ჩემს გულში იჯდაო, ან თავად იტანდა, ან შედეგიან პასს აკეთებდა. ის დიდი პიროვნებაა. რა მეთქმის, ფეხბურთელების მხრივ ძალიან გამიმართლა...

გული მწყდება, რომ **გასკოინი** ვერ შევიძინეთ. თავის დროზე, ის ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. სუფთა ჰაერის ნაკადს ჰგავდა. ყოველთვის ლიმილიანი სახით თამაშობდა და მინდორზე ერთმანეთს უთავსებდა ეშმაკობასა და აგრესიულობას. ეტყობოდა, რომ ფეხბურთი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ის გამარჯვებებისთვის იყო დაბადებული. მისი შეძენის საშუალება 1987 წელს მოგვეცა. შვებულებაში გასვლამდე ერთი დღით ადრე პირადად ვესაუბრე. დამპირდა, მისტერ ფერგიუსონ, კარგად დაისვენეთ, ნუ ღელავთ, აუცილებლად "მანჩესტერ იუნაიტედში" გადმოვალო. მე ვუპასუხე, ძალიან კარგი-მეთქი და დროებით დავემშვიდობე.

ერთ დილას სასტუმროს ეზოში აუზთან ვიჯექი, სასტუმროს თანამშრომელი მოვიდა და მითხრა: *"მისტერ ფერგიუსონ, გთხოვთ ადმინისტრატორის ოთახში მიბრძანდეთ. მარტინ ედვარდსი რეკავს, თქვენთან საუბარი სურს"*. ყურმილი რომ ავიღე, მარტინმა მითხრა: *"ცუდი ამბავი მაქვს, გასკოინი "ტოტენჰემმა" წაიყვანა"*. შევიცხადე: *"ღმერთო დიდებულო, ასე როგორ შეიძლება."* მერე გავიგეთ, რომ "ტოტენჰემს" გასკოინის მშობლებისთვის ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთში სახლი უყიდია. პოლმაც მათთან გადასვლა არჩია.

მე თუ მკითხავთ, გაზამ დიდი შეცდომა დაუშვა. ის თავადაც აღიარებს, რომ "იუნაიტედში" უნდა წამოსულიყო. 19 წლის ყმაწვილებს თვალები აქეთ-იქით გაურბით. დედაქალაქში შეპირებულმა უდარდელმა ცხოვრებამ მოხიბლა. ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები ინგლისის სხვადასხვა კუთხეებიდან იყვნენ. **ბობი ჩარლტონი, ბრაიან რობსონი** და **სტივ ბრუსი** ნიუკასლიდან. **გარი პალისტერი** მიდლსბროდან. ისინი პატარაობიდანვე შრომას იყვნენ მიჩვეულნი. ამიტომ დისციპლინა სისხლში ჰქონდათ. გაზას რომ მათ გვერდით ეთამაშა, დარწმუნებული ვარ, დისციპლინის სიყვარულს მასაც გადასდებდნენ და პოლი გაცილებით მეტს მიაღწევდა...

ერთხელ რუმინეთში ვთამაშობდით. **გორდონ სტრაჩანმა** დავალება ყურადღებით მოისმინა, მაგრამ საძაგლად ითამაშა. გასახდელში რომ დავბრუნდი, გაბრაზებულმა მაგიდას ხელი ისე ძალიან დავკარი, რომ კინაღამ მოვიტეხე. მაგიდაზე ლანგარი იდო. მასზე წვენით სავსე ჭიქები იდგა. ჭიქები ჰაერში აფრინდა და წვენი კედელს შეესხა. იქვე მჯდარ **არჩი ნოქსს** (ფერგიუსონის მაშინდელი თანაშემწე) კი ჩაი გადაესხა.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი. მახსოვს, ერთხელ **ჯოკ სტიკმა** (განთქმული შოტლანდიელი მწვრთნელი) მითხრა: თუ საფუძველი გაქვს, განრისხება არათუ დასაშვებია, სასარგებლოც კი არისო. ხშირად გავბრაზებულვარ, მაგრამ შემთხვევების 70-80 პროცენტში ჩემი აღშფოთება გამართლებული იყო. ხანდახან იმიტომ გავბრაზებულვარ, რომ ფეხბურთელს უფრო გულდასმით დაეგდო ყური, ან ის ციდან მიწაზე დამებრუნებინა. ბოლო დროს გასახდელში სულ უფრო იშვიათად ვჩხუბობ. მოალერსე და გულჩვილი გავხდი (იცინის). ბუცისა და ბექჰემის ამბავი? დამიჯერეთ, ეს უბრალო შემთხვევითობა იყო...

ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა? **სტამის** გაშვება. იაპმა აქილევსის მყესის ოპერაცია გაიკეთა და ნახევარი წელი გაუცდა. მინდორზე რომ დაბრუნდა, მე და **სტივ მაკლარენმა** მაშინვე შევნიშნეთ, მისი ძველებური სისწრაფე სადღაც გამქრალიყო. გადავწყვიტეთ, ზაფხულს დაველოდებოდით და ახალი მცველი გვეყიდა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა.

მომდევნო სეზონი უსახურად დავიწყეთ. "ფულჰემთან" დამარცხების შემდეგ, "ლაციომ" სარფიანი წინადადება შემოგვთავაზა. იტალიელებმა 16.5 მილიონი გირვანქა შემოგვაძლიეს და სტამიც მათთან წავიდა. შემდეგ, როდესაც მისი თამაში ვნახე, თვალებს არ დავუჯერე: *"ეშმაკმა დალახვროს, რა კარგ ფორმაშია!"* მივხვდი, რომ შევცდი. სტამისთვის დრო უნდა მიგვეცა. ჩვენ კი ვიჩქარეთ...

ერთ შემთხვევას გავიხსენებ. **ტონი ბლერი** ბრიტანეთის პრემიერმინისტრი რომ გახდა, ვუთხარი: *"ყური დამიგდე, შენს საქმეში ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ შენი თანაპარტიელი პარლამენტის წევრები განუწყვეტლივ აქეთ-იქით დაიარებიან. თუ მოახერხებ და მათ ერთ ოთახში მოუყრი თავს, გარწმუნებ, წარმატება გარანტირებული გაქვს-მეთქი"*.

მოსალოდნელი დანიშვნა

# კეირუში, ცალი ფეხით პორტუგალიის ნაკრებში

## მანჩესტერელთა მეორე მწვრთნელს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს

"მანჩესტერ იუნაიტედს" მეორე მწვრთნელის **კარლუშ კეირუშის** დაკარგვა ემუქრება. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია მას სარფიან კონტრაქტს სთავაზობს. "ეშმაკები" კი ასეთი პირობების შეთავაზებისთვის მზად არ არიან. "იუნაიტედს" პორტუგალიელთა აქტიურობა უყურადღებოდ არ დაუტოვებია. "მენიუს" ბოსები მწვრთნელს შეხვდნენ და ხელფასის ნახევარი მილიონით მომატება აღუთქვეს. მაგრამ მათი წინადადება საგრძნობლად ჩამოუვარდება პორტუგალიური ფედერაციის მიერ წამოყენებულ პირობებს.

სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, კეირუშს წელიწადში 1.5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ინგლისური ტაბლოიდების მტკიცებით, სეუ კარლუშმა ნაკრების ჩაბარებაზე სიტყვიერი თანხმობა განაცხადა. უფრო მეტიც, "დეილი მეილმა" ასეთი ინფორმაცია გამოაქვეყნა: კეირუში **სერ ალექს ფერგიუსონს** შეხვდა და აუწყა, რომ პორტუგალიაში დაბრუნება სურს, რადგან ნაკრებში მუშაობა ძალიან მაცდუნებელი ვარიანტია. კეირუში ფედერაციის ხელმძღვანელობას უახლოეს დღეებში კიდევ შეხვდება. ფერგის კი იმედი არ დაუკარგავს, რომ კარლუშს მანჩესტერში დარჩენაზე დაიყოლიებს. პორტუგალიელ მიმომხილველებს მისი ოპტიმიზმი უსაფუძვლოდ ეჩვენებათ. მათ 55 წლის კეირუშის დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილად მიაჩნიათ.

კეირუშის საკითხს ეხმაურება "სანიც". მისი ინფორმაციით, პორტუგალიელები სეუ კარლუშს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. ოთხი წლის განმავლობაში მწვრთნელს შეუძლია, 6 მილიონ გირვანქას მოუყაროს თავი. არჩევანის გაკეთებაში გადამწყვეტი სწორედ ეს გარემოებაა — ხანგრძლივი ხელშეკრულება, რომელიც მწვრთნელს მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევს. თუმცა კეირუშს არც მანჩესტერში დარჩენის შემთხვევაში ელის იმედგაცრუება. მართალია, მეორე მწვრთნელად ყოფნისას, ასეთ სარფიან კონტრაქტს ვერ გაუფორმებენ, მაგრამ როდესაც სერ ალექსი პენსიაში გავა, ის "იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელობის რეალური კანდიდატი გახდება. ამ თანამდებობის დაკავება ნებისმიერი სპეციალისტისთვის საოცნებო პერსპექტივაა. "იუნაიტედში" მუშაობა პირადი ფინანსური კეთილდღეობის გარანტიას ნიშნავს.

კეირუში პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი დამრიგებელია. ის გუნდს 1991-93 წლებში ხელმძღვანელობდა. 1994 წელს სეუ კარლუშმა საკლუბო ფეხბურთში გადაინაცვლა. ის ლისაბონის "სპორტინგში" დაინიშნა. 1996 წელს, ამერიკას მიაშურა და რამდენიმე თვე ნიუ ჯერსის "მეტროსტარზში" გაატარა. 1996-97 წლებში მან "ნაგოია გრამპუს ეითი" ჩაიბარა, 1999 წელს არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრები. 2000-02 წლებში კეირუში სამხრეთი აფრიკის ნაკრებში დაინიშნა. 2002 წელს კი, ყველასათვის მოულოდნელად, სერ ალექსის მარჯვენა ხელად დანიშნეს.



კარლუშ კეირუში

2003 წელს კეირუშმა კიდევ ერთი მოულოდნელი შეთავაზება მიიღო. **ფლორენტინო პერესმა** ის მადრიდის "რეალში", **ვისენტე დელ ბოსკეს** ადგილზე მიიწვია. სეუ კარლუშის ესპანეთში გამგზავრებას დაემთხვა **დევიდ ბექჰემის** ტრანსფერიც. კეირუშმა სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ ცუდად დაამთავრა. ის პირველივე სეზონის შემდეგ დაითხოვეს.

კეირუში არ დაკარგულა. სერ ალექს ფერგიუსონმა მას მანჩესტერში დაბრუნება შესთავაზა. 2004 წლის ზაფხულიდან სეუ კარლუში ისევ "იუნაიტედშია" და ოთხი წელიწადია, ნაყოფიერად მოღვაწეობს. პორტუგალიის ნაკრები უმწვრთნელოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დარჩა. მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** "ჩელსისთან" გააფორმა კონტრაქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საფრანგეთი

# საბოლოო ვერდიქტი: დომენეკი თითქმის ერთხმად...



რაიმონ დომენეკი საფრანგეთს მუნდიალისთვისაც დამოძღვრავს

საფრანგეთში არაფერი იცვლება: **რაიმონ დომენეკი** ქვეყნის მთავარი გუნდის საჭესთან კიდევ ორი წლით დარჩება. ეს ამბავი მედიას იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან-პიერ ესკალეტმა** ამცნო. ამ უკანასკნელმა სამი დღით ადრე განაცხადა, დომენეკი ნაკრებში დარჩებაო. მაშინ, ეს ყველამ პრეზიდენტის ჩვეულებრივ სურვილად აღიქვა. გუშინ კი, 3 ივლისს, დაგეგმილი იყო ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელსაც მოსიე რაიმონისთვის საბოლოო ვერდიქტი უნდა გამოეტანა. ეტყობა, მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ აღმასკომი პრეზიდენტის სურვილის საწინააღმდეგოდ წავიდოდა და მწვრთნელს კარისკენ მიუთითებდა...

მაგრამ მედიის (და არა მარტო) გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაირკვა, რომ აღმასკომის 19 წევრიდან 18-მა მხარი სწორედ დომენეკს დაუჭირა და მწვანე შუქი აუნთო. როგორც ჩანს, მწვრთნელის 20-წუთიან სიტყვაში, რომელშიც მან ევროფიასკოს მიზეზები ახსნა, აღმასკომის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ეს ჭირვეული კაცი ყველაფერში ცამდე მართალი ყოფილა...

პრესკონფერენციაზე ესკალეტმა განმარტა, დომენეკისადმი ესოდენ მყარი ნდობა არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ გუნდში ყველაფერი უცვლელად უნდა დარჩესო. პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია ცვლილებების არსი, თუმც იქვე აღნიშნა, რომ დომენეკს სხვა პირობები შესთავაზეს და სანაკრებო სტრატეგიის შეცვლაც დაავალეს.

პირობებს რაც შეეხება, ალბათ, საუბარია ხელფასის შეკვეცაზე, თუმც რა დოზით, ეს ჯერ არავინ იცის. ეტყობა, უმუშევრად დარჩენას დომენეკმა ჩაყოლა ამჯობინა და შეცვლილ ტარიფზეც ამიტომ დათანხმდა. სანაკრებო სტრატეგიაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. ერთი რამ ნათელია: საფრანგეთი უნდა დარჩეს კონკურენტუნარიან გუნდად, რომელიც ყველა ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. უეჭველია, დომენეკს მეტი კომუნიკაბელურობა და ფეხბურთელებთან ურთიერთობის მოწესრიგებაც მოსთხოვეს. ცნობილია, რომ ის ნაკლებად სწყალობს პრესასაც...

ერთი სიტყვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ დომენეკს კონტრაქტი ულტიმატუმის რეჟიმში გაუგრძელეს. აწყობს კი მას ამგვარ რეჟიმში მუშაობა? ის დათანხმდა იმაზეც, რომ მისი სამწვრთნელო შტაბის ზოგიერთი წევრი შეიცვლება. ეს არ ეხება მის მარჯვენა ხელს **პიერ მანკოვსკის**. მომავალ კვირას, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას ეყოლება ახალი გენერალური მდივანი, რომელიც დომენეკს ზედმეტი ტვირთისგან გაათავისუფლებს, მწვრთნელი კი წმინდა სპორტულ საკითხებზე იქნება კონცენტრირებული.

*"ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ევროპის ჩემპიონატმა საფრანგეთის ნაკრების იმიჯი გვარიანად შელახა. რაიმონ დომენეკმა შედეგები უნდა მოგვცეს და დაამტკიცოს, რომ გუნდის მხრიდან საქმისადმი დამოკიდებულება შეიცვალა"*, - თქვა აღმასკომისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოსიე ესკალეტმა.

ინტერვიუ რობერტო ფაბიან აიალასთან

# გამიძნელდა, მაგრამ ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო...

## არგენტინა? რომ ვიცოდეთ, რაშია პრობლემა, ყველაფერს მოვიგებდით



2006 წლის მუნდიალი. რობერტო აიალა გერმანელთა კარში გატანილი გოლის შემდეგ

რობერტო ფაბიან აიალას მძიმე სეზონი ჰქონდა. 2007 წლის ზაფხულში მან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა "ვილიარეალთან", მაგრამ მაშინვე გაწყვიტა, როგორც კი "სარაგოსას" ვარიანტი გამოუჩნდა. და რა იცოდა, რომ მწარედ შეცდა: "ვილიარეალი" მეორე ადგილზე გავიდა და პირდაპირ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა, "სარაგოსა" კი... "სარაგოსა" სეგუნდა დივიზიონში გავარდა. აიალას დღესაც ასარჩევად აქვს საქმე. "რივერ პლეიტის", "მილანისა" და "ვალენსიის" ყოფილი ცენტრალური მცველი ახლა იმაზე მსჯელობს, ულირს თუ არა, რომ "სარაგოსას" აღზევებაში დაეხმაროს...

აიალა 35 წლისაა. მოთამაშისთვის ეს ის ასაკია, როცა იწყებ ფიქრს ფეხბურთისშემდგომ ცხოვრებაზე. აიალამ ნაკრებს უკვე დაუქნია ხელი, როცა შარშან, "კოპა ამერიკის" ფინალში, არგენტინამ ბრაზილიასთან 0:3 წააგო. ეს არ იყო სიურპრიზი, რადგან "ელ რატონს" ("თაგვი", აიალას მეტსახელი), ეროვნული გუნდის მაისურით 115 მატჩი აქვს ნათამაშები. მიუხედავად იმისა, რომ აიალას ნაკრებისადმი ნოსტალგია აქვს, მაინც საკლუბო ფეხბურთისკენ იხრება...

**- რობერტო, პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის სიმწარეც გამოსცადეთ. რატომ მოხდა ასე?**

- მძიმე კითხვაა და ამაზე უკვე არაერთხელ გავეცი პასუხი. პრინციპში, ეს არც არის პასუხი, რომელიც ქომაგს დააკმაყოფილებს. ბანალურად ვიტყვი: ესეც ფეხბურთის ნაწილია. რამდენიმე მწვრთნელი გამოვიცვალეთ, ჩვენც, ფეხბურთელებმაც, ყველაფერი ისე ვერ გავაკეთეთ, როგორც საჭირო იყო... მოკლედ, მიზეზი ბევრია და ამას დეტალური ანალიზი სჭირდება.

**- სად გსურთ კარიერის დასრულება?**

- სიმართლე გითხრათ, ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ესპანეთში თავს კარგად ვგრძნობ, ცხოვრების დონე აქ საკმაოდ მაღალია. პრიმერაც ფანტასტიკური ლიგაა, კონკურენტუნარიანი... ცხადია, ელიტაში დაბრუნება ძალიანაც მინდა, მაგრამ ხომ გესმით, ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ წავა საქმეები. არ მსურს შორეული გეგმების დაწყობა, რადგან წარმოდგენა არ მაქვს, რა შეიძლება მოხდეს.

**- ბევრი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი, რომელმაც ევროპაში დიდხანს ითამაშა, ბოლოს ისევ ევროპაში რჩება. თქვენს შემთხვევაში როგორ იქნება? არგენტინაში ხომ არ აპირებთ დაბრუნებას?**

- მირჩევნია, ესპანეთში დავრჩე. ფეხბურთი ჩემთვის პირველხარისხოვანი არ არის, ყველაფერზე წინ ოჯახი დგას, ასე რომ, შვილის მომავალზეც უნდა ვიფიქრო. აქ გაცილებით სტაბილური სიტუაციაა, ვიდრე არგენტინაში. თუკი ხვალ ვინმე მეტყვის, რომ ჩემი კარიერა დასრულებულია და არჩევანი უნდა გავაკეთო, დაუფიქრებლად ავირჩევდი ესპანეთს. ძნელია, ასეთ დროს არგენტინაში დაბრუნება, და კიდევ უფრო ძნელია მაშინ, როცა შვილი სხვაგან გაიზარდა, სხვა გარემოს შეეჩვია... მაგრამ ფესვებს არ ვივიწყებთ. წელიწადში ორჯერ სამშობლოში ჩავდივართ... გამომდინარე იქიდან, რომ ამდენი ხანია ესპანეთში ვარ, ოჯახს აქაურობისგან მოწყვეტა ძალიან გაუჭირდება.

**- კარიერის განმავლობაში რამდენიმე გუნდი გამოიცვალეთ. სად გრძნობდით თავს ყველაზე უკეთ? სად იყო თქვენთვის ყველაზე დიდი ვნება?**

- (პაუზა) ყველა გუნდი განსაკუთრებული იყო. იყო კარგი დროც, იყო არც ისე კარგიც, რა თქმა უნდა, ცუდიც გამოვიარე... მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, ჩემს მეხსიერებას მხოლოდ პოზიტიური მომენტები შემორჩა. თითოეული ეს გამოცდილება დამეხმარა იმაში, რომ გავზრდილიყავი, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება.

**- რას იტყვით თქვენი ქვეყნის ნაკრებზე, სადაც ასზე მეტი მატჩი გითამაშიათ? რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს თქვენს ცხოვრებაში?**

- ეს არის სიყვარული, რომელიც არასოდეს კვდება. არგენტინის ნაკრების მაისურა მეცვა ამხანაგურ მატჩებში, მსოფლიო ჩემპიონატებზე, "კოპა ამერიკაზე"... მაგრამ გული მწყდება, რომ მთავარი ჯილდოს მოგება ვერ მოვახერხე. მაგრამ ბავშვობაში, ჩემთვის ისიც ოცნება იყო, რომ მეთამაშა არგენტინის ნაკრებში და ეს ოცნება ავიხდინე, და ესეც მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს კარიერაში. ახლა, ეროვნული გუნდის მაისურას შორიდან ვუყურებ... ისღა დამრჩენია, ნაკრების ბიჭები გავამხნევო და წარმატებები ვუსურვო. მათ უნდა შესძლონ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. ჩემს სამშობლოს ეს ძალიან სჭირდება.

**- ნოსტალგიის გრძნობა არ გიპყრობთ, როცა არგენტინის ნაკრების თამაშს უყურებთ?**

- კი, რა თქმა უნდა, ნოსტალგია დიდია... დგება მომენტი, როცა გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ცხადია, ძნელი იყო, მაგრამ რაც მთავარია, ეს იყო პირადად ჩემი გადაწყვეტილება. ვიცოდი, რა გამოწვევებიც მელოდა. მინდოდა, კარიერის ბოლო სამი-ოთხი წელიწადი კლუბისთვის მიმეძღვნა. ასე რომ, ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. ვერავინ იტყვის, რომ ჩემი ქვეყნის ნაკრებისთვის ოდესმე თავი დამიზოგავს. ამ მხრივ, ვალმოხდილი ვარ.

**- გამოდის, რომ გადაწყვეტილებას არავინ და არაფერი შეგაცვლევინებთ...**

- არა, არავინ და არაფერი! ერთხელ ვთქვი, მარადონამ რომ მთხოვოს, მაშინ კი ნამდვილად დავბრუნდები-მეთქი. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, მაგრამ ეტყობა, ბევრმა სერიოზულად მიიღო.

**- ახლა, თქვენს პოზიციაზე მარტინ დემიკელისი თამაშობს. რას ფიქრობთ მასზე?**

- ის ყველაფერს ჩინებულად აკეთებს, მაგრამ უნდა იცოდეს ისიც, რომ ამ პოზიციაზე თამაშს მუდმივი პრაქტიკა სჭირდება. თანაც, არიან სხვა ფეხბურთელებიც, რომელთაც შეუძლიათ სერიოზული კარიერის გაკეთება...

**- და რჩევას მისცემდით სხვა ფეხბურთელებს, რომლებიც დაცვის ცენტრში, ესოდენ საპასუხისმგებლო პოზიციაზე თამაშობენ?**

- გარდა იმისა, რომ აუცილებელია ინდივიდუალური მონაცემები, ცენტრალურ მცველს უნდა შეეძლოს თამაშის წაკითხვა, უნდა ჰქონდეს ალღო და გრძნობდეს, თუ საიდან შეიძლება წამოვიდეს ყველაზე დიდი საფრთხე, უსიტყვოდ უნდა უგებდეს თავის მეწყვილეს, ფლანგის მცველებსა და ცენტრალურ ნახევარმცველებს... თუ ამ ყველაფერს კარგად აკეთებ, გუნდიც უფრო სოლიდური ხდება. ცენტრალური მცველები ყველაზე კარგად ხედავენ თამაშის მსვლელობას და ეს ის უპირატესობაა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენონ.

**- არგენტინის ნაკრებში თქვენთვის ყველაზე კარგად მოსაგონარი ფაქტი ათენის ოლიმპიადის ოქროს მედლებია. როგორ გაიხსენებდით იმ დღეებს?**

- ბრწყინვალე დღეები იყო, რადგან მანამდე, "ალბისელესტეს" ოლიმპიური ოქრო მოგებული არ ჰქონდა. ფეხბურთელს ნებისმიერი ტურნირის მოგება უნდა უხაროდეს, თუნდაც ოლიმპიადის, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატთან ახლოსაც ვერ მივა, მაინც საამაყო ფაქტია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ეს უნიკალური გამოცდილება იყო.

**- როგორ ფიქრობთ, ლეო მესისა და სერხიო აგუეროს თაობა შეძლებს პეკინის ოლიმპიადაზე ტიტულის დაცვას?**

- რა თქმა უნდა, მათ ეს შეუძლიათ და იმედი მაქვს, მოახერხებენ კიდეც. მაგრამ ფავორიტის ტვირთი მძიმეა. 2002 წლის მუნდიალზე ჩვენ ჯგუფიდან ვერ გავედით, თუმც ბევრი ტრიუმფს გვიწინასწარმეტყველებდა. ჩვენი ისტორიითა და მოთამაშეთა კლასით, ბუნებრივია, ამ ოლიმპიადის ფავორიტებიც ვართ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, ყველაფერი მოედანზე უნდა დაამტკიცო. თან, მხოლოდ ჩვენ არა, ბევრი ძლიერი გუნდი იქნება...

**- ამ თაობას 2010 წლის მუნდიალის მოგება თუ შეუძლია?**

- წინა მსოფლიო ჩემპიონატს მეოთხედფინალში დავემშვიდობეთ. ახლა, ვალდებულნი ვართ, მინიმუმ ერთი საფეხურით წავიწიოთ წინ. ნაკრებში არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც საოცრად სწრაფად პროგრესირებენ. თავიანთ კლუბებში ისინი უკვე დიდი ფიგურები არიან და დროა, ეს ყველაფერი ნაკრებშიც აჩვენონ.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ აღწევს არგენტინა წარმატებებს ბოლო წლებში?**

- რომ ვიცოდეთ, რაშია პრობლემა, ყველაფერს მოვიგებდით. ნამდვილად არ ვიცი. ყველა ტურნირში სხვადასხვა მიზეზია. მთელი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელები 50-მდე მატჩს თამაშობენ და როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებიან, აღარ აქვთ ის ძალა, რაც ამ ტურნირის მოსაგებადაა საჭირო. მართალია, ამ მხრივ ყველა მეტნაკლებად თანაბარ მდგომარეობაშია, მაგრამ ეტყობა, ჩვენ რაღაც მაინც გვაკლია.

**- თქვენი აზრით, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ალფიო ბასილე ყველაფერს სწორად აკეთებს?**

- "ელ კოკომ" ყოველთვის იცის, რა სჭირდება ფეხბურთელს. ის ჩინებული ტაქტიკოსი და ფსიქოლოგია...

**- და ერთ მშვენიერ დღეს აიალაც შეიძლება მწვრთნელი გახდეს?**

- ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. არც კი ვიცი, მაქვს თუ არა მწვრთნელისთვის საჭირო ყველა თვისება... იცით, ეს ასე მარტივად არ ხდება, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია, გახდეს თუნდაც საშუალო დონის მწვრთნელი. აქ მთელი რიგი კრიტერიუმებია და დარწმუნებული უნდა იყო, რომ ეს ყველაფერი გაქვს. ფეხბურთი უსაზღვროდ მიყვარს, მაგრამ ახლა, ამ მომენტში, საკუთარი თავი მწვრთნელად ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. ისე, არავინ იცის, რა გამოცდას გიმზადებს ცხოვრება... შესაძლებელი კია, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში დავრჩე, მაგრამ რა როლში, ეს ჯერ არ ვიცი... ალბათ, რაღაც საქმეს გამოვნახავ...

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**

# ლელო წარმოგიდგენთ

# საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

## ათვლა ჰელსინკიდან იწყება


დავით ციმაკურიძე


მზია ჯუღელი


რაფაელ ჩიმიშკიანი

მას შემდეგ, რაც ძველბერძნული ოლიმპიური თამაშები ფრანგი ბარონის **პიერ დე კუბერტენის** ძალისხმევით და მრავალი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ აღორძინდა, დღემდე ზუსტად 112 წელიწადი მიილია. 1896 წელს პირველი ოლიმპიადა, რაღა თქმა უნდა, იქ ჩატარდა, სადაც შორეულ წარსულში ჩაისახა – საბერძნეთში. ათენში საგანგებოდ კეთილმოეწყო მარმარილოს სტადიონი. თამაშები გაიხსნა 1896 წლის 5 აპრილს და დამთავრდა 14 აპრილს. მონაწილეობდა 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი. ეს სტატისტიკა მოვიტანეთ, რათა მკითხველმა თავად გაავლოს პარალელი და დარწმუნდეს, თუ როგორი გრანდიოზული გაქანება მიიღო ოლიმპიურმა მოძრაობამ მთელ მსოფლიოში.

### ჩვენს მკითხველებს!

ქვემოთ გთავაზობთ ვიქტორინას, რომელიც ერთგვარი ტესტია ერუდიტებისთვის. შემდეგი ჩვენი პუბლიკაცია ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით მიეძღვნება მელბურნის XVI ოლიმპიადას, რომელიც 1956 წელს გაიმართა. დღევანდელი ვიქტორინის პასუხებს სწორედ იმ სპეციალურ ოლიმპიურ გვერდში გამოქვეყნებულ საგაზეთო მასალებში ამოიკითხავთ. მაშ ასე:

**ოლიმპიური ვიქტორინა. მელბურნი, 1952 წ.**

**1. რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა XVI ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან?**

ა – 10
ბ – 12
გ – 14

**2. ვინ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი თავისუფალ ჭიდაობაში?**

ა – ვახტანგ ბალავაძემ
ბ – გიორგი სხირტლაძემ
გ – მირიან ცალქალამანიძემ

**3. ვინ არის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოდან?**

ა – გივი კარტოზია
ბ – რომან ძნელაძე
გ – ავთანდილ ქორიძე

**4. რამდენი მედალი მოიპოვეს საერთო ჯამში საქართველოს სპორტსმენებმა მელბურნში?**

ა – შვიდი
ბ – რვა
გ – ცხრა

**5. რამდენი ქალი სპორტსმენი გამოდიოდა მელბურნში საქართველოდან?**

ა – ერთი
ბ – ორი
გ – სამი

საქართველოს ათლეტები ოფიციალურად საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 1952 წლიდან მონაწილეობენ. არის ცნობები, რომ უფრო ადრე, რუსეთის ოლიმპიელთა შორის, იმპერიის სამსახურში მდგარი ქართველებიც მონაწილეობდნენ.

დავუბრუნდეთ 1952 წელს. მაშინ, ჰელსინკიში, რიგით XV ოლიმპიური თამაშები გაიმართა (15 ივლისი – 3 აგვისტო). მონაწილეობდა 63 ქვეყანა, რაც სარეკორდო მაჩვენებელი იყო. ასევე რეკორდულ მაჩვენებელს უწია მონაწილეთა რაოდენობამაც – 5 ათასს გადააჭარბა. სხვათა შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანიც საბჭოთა დელეგაცია იყო – 381 მონაწილე. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ამერიკელთა ამალა 58-ით ნაკლებს მოითვლიდა, ეს არ იყო შემთხვევითი. საბჭოეთი პირველად ჩაერთო ოლიმპიურ თამაშებში და უპირველეს მეტოქეზე, ამერიკელებზე, უპირატესობა თავიდანვე, ამ შემთხვევაში, მორალური, უკვე მის მხარეს იყო. დავძენთ, რომ საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობის რაოდენობა სულ ბოლო წუთებამდე გასაიდუმლოებული იყო.

ჰელსინკიში საქართველოდან გამოდიოდა 14 სპორტსმენი. ოლიმპიური დებიუტი ნამდვილად წარმატებული გამოდგა – მოპოვებულია ოქროს – 3, ვერცხლის – 4 და ბრინჯაოს – 3 მედალი. მედალოსანთა და მონაწილეთა პროცენტული შეფარდება, ვფიქრობ, მკითხველს არ გაუჭირდება.

ახლა ვნახოთ, ვინ როგორ გამოიჩინა თავი. თავიდანვე ის ვთქვათ, რომ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან გახდა თავისუფალი სტილის მოჭიდავე **დავით ციმაკურიძე**, საქართველოს ქალთა შორის კი იმავე ოლიმპიადაზე, თამაშების ისტორიაში ოლიმპიური ოქროს მედალს პირველი დაეუფლა ტანმოვარჯიშე **მზია ჯუღელი**. ოქროს კიდევ ერთი მედალი ჰელსინკიში ჩვენს ქვეყანას მოუტანა თბილისელმა ძალოსანმა **რაფაელ ჩიმიშკიანმა**. დავძენთ, რომ სამივე სპორტსმენი თანაქალაქელი იყო.

ვერცხლის ოლიმპიურ მედალს დაეუფლნენ კალათბურთელები **ოთარ ქორქია** და **ნოდარ ჯორჯიკია**, მძლეოსანი **ლევან სანაძე** ველომრბოლი **ოთარ დადუნაშვილი**, ხოლო ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ მძლეოსნობაში **ნადეჟდა ხნიკინა – დვალიშვილის** (რბენა 200 მ-ზე) და **ნინო დუმბაძეს** (ბადრო). დანარჩენების შედეგები ასეთი იყო. **ელენე გოკიელი** (მძლეოსნობა) – IV ადგილი, **ვლადიმერ ლავრინენკო** (ცურვა) – XXI, **აკაკი მეიფარიანი** (ფარიკაობა) – გამოეთიშა I წრიდან, **ავთანდილ ღოღობერიძე** და **ავთანდილ ჭკუასელი** (ორივე – ფეხბურთი) – მერვედფინალი.

ქულების რაოდენობას – 28,69 რომელიც საქართველოს სპორტსმენებმა დაიმსახურეს ჰელსინკიში თუ შევადარებთ ყვე[illegible]ნაწილე ქვეყნის მიღწევებს, ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდება XXIII ადგილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში გაუსწარით 40 ქვეყანას (63-დან). ახლა ვნახოთ, თუ როგორია სტატისტიკა მედლების მიხედვით. ოლიმპიურ ჩემპიონთა რიცხობრივით ჰელსინკიში ნორვეგიასთან გავიყავით X ადგილი, ვერცხლის მედლებით იყვე X ადგილი, ბრინჯაოსანთა შორის კი იაპონიასთან ერთად XVII ადგილი გავიყოფდით. აქვე ვიტყვით, რომ ამომავალი მზის ქვეყანამ მხოლოდ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა.






დაბოლოს, რომელ ადგილზე გავიდოდით სამივე სინჯის მედლების ჯამში? მეთოთხმეტეზე! ოქროს მედალი ხვდა მხოლოდ 27 ქვეყანას, ვერცხლის – 36-ს, ბრინჯაოსი – 43-ს. 20 ქვეყანა საერთოდ უმედლოდ დარჩა.

### ჰელსინკის რჩეულები

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების გმირად აღიარეს ჩეხოსლოვაკიელი მძლეოსანი **ემილ ზატოპეკი**, რომელმაც მოიგო 5 და 10 კმ-ზე რბენა და მარათონი. ამასთან, სამივე დისტანციაზე მისი შედეგი აღინიშნა ოლიმპიური რეკორდით. დავძენთ, რომ ზატოპეკს მოგებული ჰქონდა წინა ოლიმპიადა 10 კმ-ზე რბენაში.

ასევე ოლიმპიადის გმირად სცნეს რუსი ტანმოვარჯიშე **ვიქტორ ჩუკარინი**. მან მოიგო 6 ოლიმპიური მედალი – ოქროსი – 4 და ვერცხლისა – 2. საერთოდ კი ჩუკარინი მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში შევიდა იმ რვა სპორტსმენის სიაში, რომლებსაც ოლიმპიურ სარბიელზე, კაცებში, ინდივიდუალურ პროგრამაში, მოპოვებული აქვთ ყველაზე მეტი ოქროს მედალი.

**დავით ციმაკურიძე.** თავისუფალი ჭიდაობა. 1952 წელი. XV ოლიმპიური თამაშები ჰელსინკი.

**მედეა ჯუღელი.** ტანვარჯიში. 1952 წელი. XV ოლიმპიური თამაშები ჰელსინკი.

**რაფაელ ჩიმიშკიანი.** ძალოსნობა 1952 წელი. XV ოლიმპიური თამაშები ჰელსინკი.

**გივი კარტოზია.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 1956 წელი. XVI ოლიმპიური თამაშები. მელბურნი (1960 წ. რომის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი.)

**მირიან ცალქალამანიძე.** თავისუფალი ჭიდაობა. 1956 წელი. XVI ოლიმპიური თამაშები. მელბურნი.

**რობერტ შავლაყაძე.** მძლეოსნობა. 1960 წელი. XVII ოლიმპიური თამაშები, რომი (1964 წ. ტოკიოს ოლიმპიადაზე მეხუთე იყო.)

**ავთანდილ ქორიძე.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 1960 წელი. XVII ოლიმპიური თამაშები. რომი.

**ნუგზარ ასათიანი.** ფარიკაობა. 1964 წელი. XVIII ოლიმპიური თამაშები. ტოკიო.

**ვაჟა კაჭარავა.** ფრენბურთი. 1964 წელი. XVIII ოლიმპიური თამაშები. ტოკიო.

**ვიქტორ სანეევი.** მძლეოსნობა. 1968, 1972, 1976 წლების (XIX, XX, XXI თამაშები – მეხიკო, მიუნხენი, მონრეალი.) ჩემპიონი. 1980 წლის მოსკოვის XXII ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი.

**რომან რურუა.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 1968 წელი. XIX ოლიმპიური თამაშები. მეხიკო. (1964 წ. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი).

**ლევან თედიაშვილი.** თავისუფალი ჭიდაობა. 1972,1976 წლების (XX, XXI თამაშები – მიუნხენი, მონრეალი) ჩემპიონი.

**შოთა ჩოჩიშვილი.** ძიუდო – 1972 წელი. XX ოლიმპიური თამაშები. მიუნხენი. (1976 წ. მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი).

**ზურაბ საკანდელიძე.** კალათბურთი. 1972 წელი XX ოლიმპიური თამაშები მიუნხენი. (1968 წ. მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი).

**მიხეილ ქორქია.** კალათბურთი. 1972 წელი XX ოლიმპიური თამაშები. მიუნხენი. (1976 წ. მონრეალის მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი).

**ვიქტორ კრატასიუკი.** საბაიდარო ნიჩბოსნობა. 1972 წელი XX ოლიმპიური თამაშები. მიუნხენი.

**ალექსანდრე ანპილოგოვი.** ხელბურთი. 1976 წელი. XXI ოლიმპიური თამაშები. მონრეალი (1980 წ. მოსკოვის XXI ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი).

**ქეთევან ლოსაბერიძე.** მშვილდოსნობა. 1980 წელი. XXII ოლიმპიური თამაშები. მოსკოვი (1972 წ. მიუნხენის ოლიმპიადაზე მეოთხე იყო).

**ვახტანგ ბლაგიძე.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 1980 წელი. XXII ოლიმპიური თამაშები. მოსკოვი.

**შოთა ხაბარელი.** ძიუდო. 1980 წელი. XXII ოლიმპიური თამაშები. მოსკოვი.

**ნინო სალუქვაძე.** ტყვიის სროლა. 1988 წელი. XXIV ოლიმპიური თამაშები. სეული. ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი (1992 წ. ბარსელონაში მეხუთე და მეათე იყო).

**დავით გობეჯიშვილი.** თავისუფალი ჭიდაობა. 1988 წელი. XXIV ოლიმპიური თამაშები. სეული. (1992 წ. ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი).

**გელა კეტაშვილი.** ფეხბურთი. 1988 წელი XXIV ოლიმპიური თამაშები. სეული.

**ვლადიმერ გოგოლაძე.** ტანვარჯიში. 1988 წელი XXIV ოლიმპიური თამაშები. სეული.

**ვლადიმერ აფციაური.** ფარიკაობა. 1988 წელი. XXIV ოლიმპიური თამაშები. სეული.

**დავით ხახალეიშვილი.** ძიუდო. 1992 წელი. XXV ოლიმპიური თამაშები. ბარსელონა.

**კახი კახიაშვილი.** ძალოსნობა. 1992 წელი XXV ოლიმპიური თამაშები. ბარსელონა.

**ლერი ხაბელოვი.** თავისუფალი ჭიდაობა. 1992 წელი. XXV ოლიმპიური თამაშები. ბარსელონა (1988 წ. სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი).

**ზურაბ ზვიადაური.** ძიუდო. 2004 წელი. XXVIII ოლიმპიური თამაშები. ათენი

**გიორგი ასანიძე.** ძალოსნობა. 2004 წელი. XXVIII ოლიმპიური თამაშები. ათენი




### პეკინის ოლიმპიადის მონაწილენი

*ინფორმაცია 3 ივლისისთვის*

1. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა)
2. **ხათუნა ნარიმანიძე** (მშვილდოსნობა)
3. **ქრისტინე ესებუა** (მშვილდოსნობა)
4. **ილია გიორგაძე** (სპ. ტანვარჯიში)
5. **ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო)
6. **ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო)
7. **ლაშა გუჯეჯიანი** (ძიუდო)
8. **დავით ქევხიშვილი** (ძიუდო)
9. **ლომერ ჭორჭოლიანი** (ძიუდო)
10. **გიორგი ბაინდურაშვილი** ან **საბა გავაშელიშვილი** (ორივე –ძიუდო)
11. **რამაზ ნოზაძე** (ბ/რ ჭიდაობა)
12. **დავით ბედინაძე** (ბ/რ ჭიდაობა)
13. **ბადრი ხასაია** (ბ/რ ჭიდაობა)
14. **ოთარ თუშიშვილი** (თავ. ჭიდაობა)
15. **გელა სალირაშვილი** (თავ. ჭიდაობა)
16. **რევაზ მინდორაშვილი** (თავ. ჭიდაობა)
17. **გიორგი გოგშელიძე** (თავ. ჭიდაობა)
18. **ბესიკ გოჩაშვილი** (თავ. ჭიდაობა)
19. **ლუბა გოლოვინა** (ბატუტი)
20. **არსენ კასაბიევი** (ძალოსნობა)
21. **ნიკოლოზ იზორია** (კრივი)
22. **კახა ჟვანია** (კრივი)
23. **ლაშა გოგიტაძე** (ბ/რ ჭიდაობა)
24. **მანუჩარ კვირკველია** (ბ/რ ჭიდაობა)
25. **მარიამ ქევხიშვილი** (მძლეოსნობა)
26. **რაულ ცირეკიძე** (ძალოსნობა)
27. **ალბერტ კუზილოვი** (ძალოსნობა)
28. **ზაზა კედელაშვილი** (ძიუდო)
29. **ირაკლი რევიშვილი** (ცურვა)
30. **ანა სალნიკოვა** (ცურვა)
31. **გეორ-გია** (პლაჟბურთი)

იყო ასეთი შემთხვევა

### ცრუ ოლიმპიური ჩემპიონი

ეს ამბავი მოხდა 1904 წელს, სენტ-ლუისის III ოლიმპიურ თამაშებზე მაშინ ჯერ კიდევ არასაკმარისი იყო ოლიმპიური შეჯიბრებების დონე და სწორედ ამიტომ, ამ შემთხვევაში მსაჯთა კორპუსის გამოუცდელობამ მარათონულ რბენაში საქმე მიიყვანა კურიოზამდე. ამერიკელი **ფრედ ლორცი** მე-15 კილომეტრზე შეუძლოდ გახდა და ქალაქისკენ მომავალი ავტომობილის მძღოლს დახმარება სთხოვა. მერე მანქანა გამოვიდა მწყობრიდან და მორბენალი იძულებული გახდა გზა ოლიმპიური სტადიონის გასახდელისკენ სირბილით განეგრძო. სტადიონზე გამოჩნდა თუ არა, მაყურებელი ტაშით და შეძახილებით ფეხზეამდგარი შეეგება. ლორცი დაიბნა, ბევრი ამტკიცა გამარჯვებული არ ვარო, მაგრამ იმ გნიასში ვინ დაუჯერა. „ჩემპიონის" დაჯილდოება კი თვით ამერიკის პრეზიდენტის რუზველტის ქალიშვილმა ალისამ ინება. აი, აქ კი ცრუ ჩემპიონმა ნამდვილი გამარჯვებულის იერი მიიღო.

15 წუთში სტადიონზე ნამდვილი ჩემპიონი გამოჩნდა, მაგრამ ყურადღება მისთვის ალარავის მიუქცევია. ყველაფერი მეორე დღეს გაირკვა. ლორცს ოქროს მედალი და პრიზები ჩამოართვეს, ამასთან სამუდამოდ აეკრძალა სპორტულ შეჯიბრებებში ასპარეზობა.

კალათბურთი. 20-წლამდელთა ნაკრები.
ღია ვარჯიში

# ახალგაზრდული შემართებით...


დავით უსტიაშვილი

გუშინ, "დინამოს" დილმის ბაზაზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღია ვარჯიში მოეწყო. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **დავით უსტიაშვილმა** შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეკრიბა და გუნდს აგვისტოში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის სრული დატვირთვით ამზადებს. "თითქმის" იმიტომ ვიხმარეთ, რომ ნაკრებს ერთადერთი კალათბურთელი აკლია – **დიმიტრი ფაცაცია**. მწვრთნელის თქმით, იგი ამერიკიდან 7 ივლისს ჩამოფრინდება. დიმას შეყოვნების საპატიო მიზეზი აქვს – სათამაშოდ ახალ კოლეჯში გადადის. იგი გასულ სეზონში "არკანზასის" ღირსებას იცავდა, ახლა კი ფლორიდაშია და **ლაშა ფარღალავას** ყოფილ სასწავლებელ "პენსაკოლაში" გადასვლას ცდილობს. როგორც გითხარით, ფაცაცია საქართველოში 7 ივლისს ჩამოვა და საკლუბო სიახლეებზე დაწვრილებით მერე ვისაუბროთ.

ვარჯიშისას ერთი რამ იყო თვალშისაცემი – ამერიკის კოლეჯებიდან ჩამოსული კალათბურთელები ფიზიკურად საკმაოდ მოძლიერებულები არიან. კუნთების მასის მატება ეტყობა, "მიდლენდის" კოლეჯიდან ჩამოსულ გამთამაშებელ **გიორგი გაფრინდაშვილსა** და "აიდაჰოს" კოლეჯში მოასპარეზე **ირაკლი ჯგერენაიას**. ვნახოთ, როგორ კონდიციებში იქნება ფაცაცია...

კოჭის ტრავმის შემდეგ ფორმას ნელნელა იბრუნებს ლიტვის "აკადემიის" ფორვარდი **ლევან შენგელია**. კარგად გამოიყურება ასევე ამერიკამოვლილი **გიორგი შერმადინი**, რომელიც ბრონქებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ნაკრებს ორი დღის დაგვიანებით შეუერთდა. მართალია, შერმადინის მსგავსად **ბექა ნივნივაძე, ლუკა ნოზაძე, ლევან ცეკვავა, გიორგი პირველაშვილი** და **გიორგი გულისაბედაშვილი** საქართველოს ჩემპიონატის წარმომადგენლები არიან, მაგრამ აშკარაა, რომ მათ ლეგიონერებზე არანაკლები ფუნქციები ექნებათ. გუნდში ვარჯიშობს ახალგაზრდულ ჩემპიონატში თავგამოჩენილი დუეტი - **ზვიად ანთაძე-ირაკლი ივანეიშვილი**. ირაკლის უმაღლეს ლიგაში თსუ-ს მაისურითაც აქვს ნათამაშები.

არ დაგვისახელებია ერთი კალათბურთელი – **რიჩარდ მათიაშვილი**. იგი გუშინ ვარჯიშზე არ გამოცხადებულა, რადგან ქუსლი აწუხებს და მკურნალობს. როგორც თავად რიჩომ გვითხრა, ორ-სამ დღეში მწყობრში იქნება და ნაკრებსაც შეუერთდება.

ორი სიტყვა ახალგაზრდების სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ. ისინი შედარებით მსუბუქ ვარჯიშებზე დაახლოებით 12 ივლისიდან გადავლენ, 15-ში კი იტალიაში გაემგზავრებიან. იქიდან სამ დღეში, 18 ივლისს საერთაშორისო ტურნირში ჩაერთვებიან, სადაც მასპინძლების გარდა საბერძნეთისა და სლოვენიის 20-წლამდელთა ნაკრებებს გაეჯიბრებიან.

დავით უსტიაშვილის გუნდი 21 ივლისს საქართველოში დაბრუნდება და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში განაგრძობს.

კონტინენტის ახალგაზრდული პირველობა 1 აგვისტოს დაიწყება. ქართველები ჯგუფურ ეტაპზე იტალიას, თურქეთსა და ისრაელს დაუპირისპირდებიან. ქვეჯგუფში თუნდაც მესამე ადგილის დაკავება პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელებისა და ელიტაში ადგილის შენარჩუნების ტოლფასია. ასე რომ, ამ მიზნის მისაღწევად საკმარისია საწყისი სამი მატჩიდან ერთ-ერთის მოგება.

ვფიქრობთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სადღეისო მდგომარეობა და სამომავლო გეგმები სათანადოდ გაგაცანით. ახლა გუნდის მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილს მოვუსმინოთ.

**- ნაკრებში ჯანმრთელობის მხრივ რა მდგომარეობაა?**

- სიტუაცია სახარბიელო ნამდვილად არაა. კოჭის სერიოზული ტარვმა გადაიტანა ლევან შენგელიამ, რომელსაც ფეხი თაბაშირში ორი თვის განმავლობაში ჰქონდა და მწყობრში ჩასადგომად დრო სჭირდება. იგი გუნდთანაა და ვარჯიშობს. დღეს გვაკლდა რიჩარდ მათიაშვილი. მას ქუსლი აწუხებს, თუმცა ტრავმა სერიოზული არაა და იგი მალე შემოგვიერთდება. ზურგი გაუცივდა გიორგი გაფრინდაშვილს და ვარჯიშში ხელი ეშლება. მცირე ტრავმები ჰქონდათ ირაკლი ჯგერენაიასა და ბექა ნივნივაძეს... ვფიქრობ, ბიჭები დატვირთვებს გაუძლებენ და სასურველ დროს ოპტიმალურ ფორმასაც მიაღწევენ.

**- ცოტა დაგვიანებით შემოგიერთდათ გიორგი შერმადინი...**

- მას ბრონქები აწუხებდა და ორი დღის დაგვიანებით დაგვემატა. გიორგი ახლა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ემზადება.

**- შემადგენლობა თითქმის ოპტიმალურია...**

- მხოლოდ დიმიტრი ფაცაცია გავკლია. იგი ამერიკაშია, სასწავლებლის საქმეებს აგვარებს და 7 ივლისს შემოგვიერთდება. მას შესათამაშებლად საკმარისი დრო ექნება. ევროპის ჩემპიონატი ხომ პირველ აგვისტოს იწყება.

**- ამჟამად რა სქემით ვარჯიშობთ?**

- გვაქვს ორჯერადი ვარჯიშები. დილას ტაქტიკურად ვმუშაობთ, ხოლო საღამოს წვრთნას ორ ნაწილად ვყოფთ – ბიჭებს ჯერ ფიზმომზადებაში ავთო ბერიძე წვრთნის, შემდეგ ბურთით ვმუშაობთ. ამ სქემით 12 ივლისამდე მოვემზადებით, შემდეგ სამი დღის განმავლობაში მსუბუქად ვივარჯიშებთ, ხოლო 15-ში იტალიაში გავემგზავრებით.

**- ცალკე საუბრის თემაა იტალიის საერთაშორისო ტურნირი...**

- შეჯიბრებამდე გვექნება სამი დღე და იტალიაში მაღალი დონის დარბაზში მოვემზადებით. ტურნირის მსვლელობისას კი მასპინძლებს, ბერძნებსა და სლოვენიელებს დავუპირისპირდებით. ასეთი კლასის ნაკრებებთან თამაში ბიჭებს მეტ გამოცდილებასა და თავდაჯერებას შემატებს, რამაც თავი ევროპის ჩემპიონატზე უნდა იჩინოს. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ გვექნება საკმარისი დრო ყოველგვარი ხარვეზის ალმოსაფხვრელად.

**- ევროპის პირველობაზე წესით კარგად მომზადებულები უნდა ნახვიდეთ. შედეგსაც შესაბამისს მოითხოვენ...**

- ჩვენი მიზანი თავიდანვე ნათელი იყო – ელიტაში ადგილის შენარჩუნება. ჯგუფში თითოეული მატჩი რთული სათამაშო იქნება, მაგრამ ვეცდებით პირველივე ეტაპზე დადებითად გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა

| მოთამაშე | გუნდი | სმ. |
|---|---|---|
| გიორგი გაფრინდაშვილი | მიდლენდი (აშშ) | 186 |
| გიორგი გულისაბედაშვილი | დინამო | 188 |
| ირაკლი ჯგერენაია | აიდაჰო (აშშ) | 204 |
| რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 207 |
| ლუკა ნოზაძე | ვითა | 206 |
| დიმიტრი ფაცაცია | არკანზასი (აშშ) | 198 |
| გიორგი პირველაშვილი | მაკაბი | 196 |
| ლევან შენგელია | აკადემია (ლიტვა) | 205 |
| გიორგი შერმადინი | მაკაბი | 216 |
| ლევან ცეკვავა | ენერჯი | 189 |
| ბექა ნივნივაძე | ვითა | 188 |
| ზვიად ანთაძე | თბილისი | 196 |
| ირაკლი ივანეიშვილი | თსუ | 198 |

ხელბურთი. მსოფლიო უნივერსიადა

# მივდივართ ვენეციაში, გვახსოვდეს გდანსკი!

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები გუშინ ღამით იტალიის ქალაქ ვენეციაში გაემგზავრა, სადაც 5-13 ივლისს, მსოფლიო უნივერსიადაზე ითამაშებს.

ალბათ გახსოვთ, რომ 2006 წელს, პოლონურ გდანსკში გამართულ წინა უნივერსიადაზე, ჩვენმა გუნდმა ფურორი მოახდინა და ფინალში გავიდა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში, მინიმალური სხვაობით (30:31) დამარცხდა რუსეთთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ იმ უნივერსიადზე 12 გუნდი მონაწილეობდა, რომელიც ორ ექვსგუნდიან ჯგუფად დაიყო. საქართველოს ნაკრებმა ცუდად დაიწყო - პოლონეთთან 24:24 ითამაშა და უნგრეთთან 21:25 წააგო, მაგრამ მერე ერთმანეთს მიაყოლა მოგებები ჩეხეთთან (30:25), ხორვატიასა (37:28) და იაპონიასთან (36:32), რითაც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ფინალში გავიდა.

სხვათა შორის, წინა უნივერსიადაზე ნათამაშები შემადგენლობიდან, ამჟამად ნაკრებში მხოლოდ 6 ხელბურთელია - **შოთა თევზაძე, რატი მსხვილიძე, რეზო ჭანტურია, ვლადიმერ რუსია, გიორგი ნივნივაძე** და **მამია კობახიძე**. აქედან, თევზაძე და რუსია 2006 წლის უნივერსიადის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მაშინ საქართველოს ნაკრებს ეხმარებოდა **სერგო დათუკაშვილი**, რომელიც ასაკის გამო, ვენეციაში ვერ წავა (უნივერსიადაზე 28 წელს გადაცილებული ხელბურთელები არ დაიშვებიან). და თუ რამხელა ძალაა სერგო ჩვენი გუნდისთვის, ამაზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია.

წლევანდელ უნივერსიადაზე, მონაწილეთა რაოდენობა 16-მდე გაიზარდა. გუნდები 4 ქვეჯგუფში გადანაწილდნენ და თითოეულიდან მეოთხედფინალში 2-2 საუკეთესო გადის.

არსებობს შანსი, რომ რუსეთს ამჯერადაც შევხვდეთ, ოღონდ ფინალამდე. ამისათვის ჯგუფიდან გასვლა გვმართებს, სადაც ორი ნაცნობი და ერთი უცნობი მეტოქე გვყავს. იაპონიაზე ზემოთ ვთქვით, აზერბაიჯანელებს კი სტუდენტური გუნდი ჩვენსავით ეროვნული ნაკრების წევრებით ჰყავთ დაკომპლექტებული, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენს ხელბურთელებს საკლუბო დონეზეც უბურთავიათ და სანაკრებოზეც.

ჩვენი ჯგუფის ფავორიტად სერბეთის მონათვლა შეიძლება, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელბურთო სკოლა აქვს. აზერბაიჯანი აუტსაიდერად უნდა ჩაითვალოს. ამდენად, საქართველო და იაპონია ალბათ მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ. ბედის ირონიით, აზიელებს ისევ დასკვნით ტურში ვხვდებით. წინა უნივერსიადაზეც ხომ სწორედ ბოლო ტურში იაპონიასთან გამარჯვებამ მოგვაპოვებინა ჯგუფში პირველი ადგილი და ფინალის საგზური...

მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში, ვეთამაშებით რუსეთის ქვეჯგუფის პირველ ან მეორეადგილოსანს (გააჩნია, რომელი პოზიციით შევალთ მეოთხედფინალში). რუსეთის ჯგუფში კი ლატვია, მექსიკა და თურქეთი არიან.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხეულებს, A ჯგუფში ითამაშებენ ჩეხეთი, ავსტრია, იტალია და ავსტრალია, ხოლო B ჯგუფს შეადგენენ უნგრეთი, კვიპროსი, ბელორუსი და პოლონეთი.

თუ მეოთხედფინალში ვერ გავაღწევთ, შეჯიბრებას მაინც არ გამოვეთიშებით. საქმე ისაა, რომ უნივერსიადაზე ყველა ადგილი თამაშდება და მე-9-16 პოზიციებისთვის ვიბრძოლებთ.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა ირაკლი კეკელიძემ იტალიაში 13-კაციანი გუნდი წაიყვანა. მართალია, წესდების თანახმად, განაცხადში 16 ხელბურთელის შეყვანა შეიძლება, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, კეკელიძეს 13 კაცის მეტი ვერ მიჰყავს.

უნივერსიადისათვის გუნდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ვარჯიშობდა და მოსამზადებელ ეტაპზე მხოლოდ ორ საკონტროლო მატჩს დასჯერდა. კონკრეტულად, ნაკრებმა მინსკში სპარტაკ მირონოვიჩის სახელობის ტურნირზე იასპარეზა, სადაც მასპინძლებთან 25:32 წააგო, ლიტვასთან კი ფრედ (29:29) ითამაშა და პენალტების სერიაში 1:3 დამარცხდა.

დასასრულ, გთავაზობთ ჩვენი ქვეჯგუფის მატჩების განრიგსა და საქართველოს ნაკრების შემადგენლობას.

**კობა ხატისაშვილი**

**6 ივლისი**
იაპონია - აზერბაიჯანი (9:00)
საქართველო - სერბეთი (11:00)

**7 ივლისი**
სერბეთი - იაპონია (15:00)
საქართველო - აზერბაიჯანი (17:00)

**8 ივლისი**
სერბეთი - აზერბაიჯანი (9:00)
საქართველო - იაპონია (11:00)

**შოთა თევზაძე**
"ბაკაუ", რუმინეთი
მეკარე

**კორნელი ანდრიაძე**
"თბილისი"
მეკარე

**რევაზ ჭანტურია**
"მეტალურგი", მაკედონია
მარცხენა გარემარბი

**ვლადიმერ რუსია**
"დინამო", რუმინეთი
მარცხენა შუამარბი

**გიორგი ნივნივაძე**
"თბილისი"
გამთამაშებელი/ხაზის მოთამაშე

**ირაკლი ჩიქოვანი**
სტუ-"თელავი"
მარცხენა შუამარბი

**ლევან ბერძენიშვილი**
სტუ-"თელავი"
მარცხენა შუამარბი

**ილია გოგალაძე**
სტუ-"თელავი"
მარჯვენა/მარცხენა შუამარბი

**უჩა მაისურაძე**
"თბილისი"
ხაზის მოთამაშე

**გიორგი კობახიძე**
სტუ-"თელავი"
მარცხენა შუამარბი

**მამია კობახიძე**
სტუ-"თელავი"
მარჯვენა შუამარბი

**რატი მსხვილიძე**
"სტიარნანი", ისლანდია
მარჯვენა შუამარბი

**ამირან ყიფიანი**
სტუ-"თელავი"
მარცხენა გარემარბი

ჩოგბურთი

# ტატიშვილი უნგრელი ფავორიტის წინააღმდეგ

ამერიკის ქალაქ ბოსტონში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი 50-ათასიანი საპრიზო ფონდით. 18 წლის **ანა ტატიშვილის** (212) სტარტი წარმატებული გამოდგა, მან ბადეში „იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით დაშვებული ამერიკელი **მორენ დიასი** (753) დაამარცხა – 6:2, 6:1. დღეს ანას სერიოზული გამოცდა ელის, მისი მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი უნგრელი **მელინდა ცინკია** (120). ტატიშვილი 25 წლის მეტოქეს აქამდე ერთხელ შეხვდა, შარშან ჩარლსტონში უნგრელმა 6:1, 6:3 მოიგო. ანა წყვილთა ბადეს უკვე გამოეთიშა, მან და **კიმბერლი კაუტსმა სტეფანი დუბუასთან** (კანადა, 100) და **ალექსა გლატჩთან** (აშშ, 207) წააგეს – 5:7, 0:6.

## წყვილებში ყოჩაღობენ

ტურინის ჩელენჯერის სერიის ტურნირში (100 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგის პირველ წრეში **ირაკლი ლაბაძემ** და სერბმა **ილია ბოზოლიაცმა** ძალზე იოლად დაამარცხეს **ოსკარ ერნანდესისა** (ესპანეთი) და **ბორის პაშანსკის** (სერბეთი) დუეტი – 6:1, 6:1. ლაბაძე და ბოზოლიაცი ახლა იტალიელებს (**ფლავიო ჩიპოლა, სიმონე ვანიოცი**) შეხვდებიან. გამარჯვების შემთხვევაში, ირაკლი ლაბაძე მეწყვილესთან ერთად ტურნირის ნახევარფინალში გავა.

აი, **მაკა ჩახნაშვილი** (179) კი უკვე ნახევარფინალშია, ტურინიდან 150 კილომეტრით დაშორებულ კუნეოს ტურნირის (100 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგის ბადეში. მან და უნგრელმა **კირა ნადიმ** დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს იტალიელები, **კორინა დენტონი** (172) და **ვალენტინა სასი** (364) – 6:7 (2), 6:3, 10:6. ნახევარფინალში მათ პირველ ნომრად განთესილი დუეტი ელის, ესტონელი **მარეტ ანი** (95) და ჩეხი **რენატა ვორაცოვა** (110).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

# ნარიმანიძე ოცეულშია, საქართველოც

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (FITA) მსოფლიო კლასიფიკაციაში სამი ქართველი მშვილდოსანი ქალია, **ხათუნა ნარიმანიძეს** 105 ქულა აქვს და მე-17 ადგილზეა, **ქრისტინე ესებუას** ქულათა მონაგარი სულ 37-ია და ის მისთვის უჩვეულო 72-ე ადგილზეა, **ასმათ დიასამიძე** კი 14 ქულით ასეულს მიღმა, 159-ე ადგილზეა. პირველ ადგილზე იტალიელი **ნატალია ვალეევაა** 244 ქულით, რომელიც კორეელებს **ჰე იუნ ოკს** (225 ქულა) და **პარკ სუნ-ჰიუნს** (220) უსწრებს. რეიტინგში ჯერ არ არის შეტანილი მსოფლიო თასის ბოეს (საფრანგეთი) ეტაპის შედეგები, სადაც ხათუნა ნარიმანიძე მეოთხედფნალში გავიდა. გუნდურ რეიტინგში საქართველოს ნაკრები მე-11 ადგილზეა 157 ქულით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# წარუმატებლობა მოსკოვურ ეტაპზე

მსოფლიო ტურის მორიგი მოსკოვური ეტაპი წარუმატებელი გამოდგა პლაჟბურთის ქართული წყვილებისთვის. **გეორ-გია** და **საქა-რთველო** შეჯიბრებას საკვალიფიკაციო ეტაპზევე გამოეთიშნენ. ქალთა შორის **საქართველო** შვედ დებთან **ლინდკვისტებთან** ვერას გახდა და სამ სეტში დამარცხდა 21:14, 19:21, 10:15.

გეორ-გიას კი ძირითად ბადეში გზა მექსიკურმა დუეტმა მირამონტესმა და ვირგენმა გადაუღობა 0:2 (17:21, 17:21). გეორ-გია მორიგ ეტაპზე 15-20 ივლისს მარსელში იასპარეზებს. იქვე ჩაერთვებიან საოლიმპიადო ჩათვლის ბოლო ეტაპზე საქა-რთველოც. მანამდე კი ჩვენი ქალები ჰა[illegible]გში ევროპის ცემპიონატზე იასპარეზებენ, რომელიც ასევე ჩამთვლელი ქულების მომტანია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. ინტერვიუ გია გიორგაძესთან

# ქართული ჭადრაკი ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ!

**გასულ კვირას ქართულმა საჭადრაკო თემმა ახალი პრეზიდენტი აირჩია - ამჯერად ქართულ ჭადრაკს ორი წლის ვადით დიდოსტატი გია გიორგაძე უხელმძღვანელებს. მკითხველს შევახსენებ, რომ ქართულ ჭადრაკში პრეზიდენტს ორი წლის ვადით ირჩევენ, განსხვავებით ოლიმპიური სახეობებისგან. ახალი პრეზიდენტი ორშაბათიდან უკვე შეუდგა მუშაობას და მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე დღეა გასული, მასთან საუბარი ძალიან საინტერესო უნდა იყოს. გიორგაძე გამოცდილი ფუნქციონერია, მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში გახლდათ; ქუთაისის მერის მოვალეობასაც ასრულებდა. ამას გარდა ბიზნესშიც სცადა ძალები და საკმაოდ წარმატებულადაც... სწორედ ამ გამოცდილების გამო გახდა გია გიორგაძე ქართული საჭადრაკო ოჯახის დიდი ნაწილის ფავორიტი. ქართულ ჭადრაკს შველა სჭირდება და ვნახოთ, შეძლებს თუ არა წლობით ნანგრევი შენობის ფეხზე დაყენებას ახალი მესაჭე.**

**- ბატონო გია, გილოცავთ პრეზიდენტად არჩევას და, იმედია, თქვენ და თქვენი გუნდი წარმატებული იქნებით.**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. მზად ვარ სრულად დავიხარჯო ქართული ჭადრაკისთვის და ყველა ღონე ვიხმარო იმისთვის, რათა საჭადრაკო სამყარო გავაერთიანო. გასაკეთებელი ძალიან ბევრია; უამრავი პრობლემა დაგროვდა, მაგრამ გაუკეთებელი არაფერია. ამისთვის მთლიანად კოლექტივის ერთად ყოფნა და ძალისხმევაა საჭირო. თუ ერთიანი პოზიცია და აზრი არ გვექნება, შედეგს ვერ მივიღებთ. ვფიქრობ, საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება ერთი დიდი მიზნის გარშემო - დავუბრუნოთ ქართულ ჭადრაკს ძველი დიდება, სავსებით შესაძლებელია.

**- საჭადრაკო სამყარო თქვენთვის უცხო არ არის, არც ფედერაციაში მუშაობა, მაგრამ როგორც ხელმძღვანელს, ნებისმიერ სამსაურში ადაპტირება სჭირდება და გარკვეული დროა საჭირო, რომ ზუსტად შეიგრძნოს პრობლემათა არსი და დასახოს მისი ალმოფხვრის გზები. რა პრობლემები ალმოაჩინეთ, როგორია შიდა სამზარეულო და თუ შეუდექით პრობლემათა გადაჭრას?**

- ჩემი აზრით, უპირველესად საჭიროა, მათი დახარისხება და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარება. უმთავრესი ამჯერად ჭადრაკის სასახლის საკითხია, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. შენობის ყველა კუთხე-კუნჭული დავათვალიერე - დანყებული სახურავიდან სარდაფით დამთავრებული და უნდა გითხრათ, რომ გაოცებული ვარ შენობის მდგომარეობით: ჭერიდან წყალი ჩამოდის; კომუნიკაციები მოშლილია, კანალიზაცია ცუდ დღეშია, რის გამოც მეორე სართულზე დროებით გაუქმებულია სანიტარული კვანძები და სხვა მრავალი... შენობაში უამრავი ფართია გაქირავებული, რამაც სასახლეს პირვანდელი სახე საოცრად დაუმახინჯა. რა ღონისძიებებს გავატარებ ამ კუთხით, დღეს დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, მაგრამ სასახლე რომ არ მდგომარეობაში არ უნდა იყოს და მან ძველი სახე უნდა დაიბრუნოს, ფაქტია.

რაც შეეხება ფინანსებს, აქაც ძალიან ცუდი სურათია: ფედერაციის ძველი ხელმძღვანელობისგან ქართულ ჭადრაკს დღეისთვის 114 924 ლარის დავალიანება დარჩა. აქედან ქვეყნის ბიუჯეტის მიმართ ვალი 80 000 ლარს შეადგენს. არის ხელფასების, სტიპენდიების,კომუნალური ხარჯების და სანატორიუმ "ბორჯომი-ლიკანის" დავალიანებაც.სამწუხაროდ, ასეთ ცუდ სასტარტო მდგომარეობაში ვართ, მაგრამ გავიმეორებ, რომ პრობლემა გადაუჭრელი არ არის, თუ, რა თქმა უნდა, ყველა ერთად დავდგებით. მე შევხვდი თანამშრომლებს და ვთხოვე, რომ მოინდომონ და იმუშაონ ისე, როგორც პროფესიონალებს შეშვენით; მათგან ველი ინიციატივებს, საქმიან წინადადებებს, რომელსაც ერთობლივად განვიხილავთ და გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ.

**- გასაგებია, რომ დავალიანებები დიდ ტვირთად აწევს ფედერაციას, მაგრამ ახლო მომავალში უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიებებია დასაფინანსებელი - საჭადრაკო ოლიმპიადა და ასაკობრივი ევროპის ჩემპიონატი; ფედერაციას კი, როგორც ვიცი, ანგარიშზე ფული არ აქვს...**

- გეთანხმებით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება აუცილებლად უნდა შევძლოთ, მაგრამ მოგეხსენებათ, წინა ხელმძღვანელობამ წლის დასაწყისში არ გაითვალისწინა შესაბამისი ხარჯები და სპორტის დეპარტამენტს ხარჯთაღრიცხვა არ წარუდგინა. ახლა, შუა წელში, თანხების მოძიება ძალიან რთულია, მაგრამ უკვე ველაპარაკე დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გია ასანიძეს. დაიწყო ამ ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვის შედგენა. იმედია, ფინანსები გამოინახება. აუცილებლად ველით ქართველთა წარმატებულ თამაშს, ამიტომ დაფინანსება მარტო ტურნირებზე მივლინებაშიკი არ გამოიხატება, მოსამზადებელი ეტაპების დაფინანსებაზეც არის ლაპარაკი - გუნდები გაივლიან სრულყოფილ შეკრებას, რომლის დროსაც უცხოელ მწვრთნელებსაც კი მოვიწვევთ. ყველაფერი ეს მიმართული იქნება კონკრეტული შედეგისკენ და მომავალში ყოველთვის შედეგზე ორიენტირებულები ვიქნებით.



**- ქართულ ჭადრაკში არსებული დაპირისპირების გამო ბოლო დროს სულ დგას ნაკრებში საუკეთესო მოჭადრაკეთა თამაშის საკითხი. დაფინანსება ერთია, მაგრამ თუ ძლიერი მოჭადრაკე არ გვყოლა, შედეგი ვერაფრით გვქნება. ეს პრობლემა ალარ არსებობს თუ ისევ დგას დღის წესრიგში?**

- რა თქმა უნდა, ეს სერიოზული პრობლემაა. სამწუხაროდ, ამჟამად ფორსმაჟორულ ვითარებაში გვიწევს მუშაობა, რადგანაც 12 ივლისამდე ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში ნაკრები გუნდების შემადგენლობები უნდა გავაგზავნოთ. ბევრმა ქვეყანამ უკვე გამოაქვეყნა თავიანთი შემადგენლობები. მე მოვიკითხე არსებობდა თუ არა რაიმე წესი ან კრიტერიუმები, რის საფუძველზეც დგებოდა ნაკრები გუნდები. სამწუხაროდ, ჩამოყალიბებული დოკუმენტი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა, არ არის.ამის გამო, ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა შევხვდე ნაკრების ყველა კანდიდატს, მათ მწვრთნელებს, გუნდის კაპიტნებს და ასევე სასწრაფო წესით გადავჭრათ ეს საკითხი. 12 ივლისს ნამდვილად არ გადავაცდენთ და შესაბამის სიას გავაგზავნით ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში.

**- ზვიად იზორიაზე უნდა გკითხოთ, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკეა და ამჟამად ამერიკაშია. იგი ნაკრებს სჭირდება და როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია მისი დაბრუნება გუნდში?**

- ზვიადი ძალიან სერიოზული ძალაა, მისი სტილი ისეთია, რომ პარტიას იშვიათად აგებს, რაც გუნდური თამაშის დროს უმნიშვნელოვანესია. რა თქმა უნდა, ზვიადთან კონსულტაციები მიმდინარეობს და ყველანაირად ვეცდები, რომ დავაბრუნოთ ნაკრებში.

**- ქალთა შორისაც არანაკლები დაძაბულობაა, თუ მეტი არა. ასეთ სიტუაციაში როგორ ფიქრობთ სწორი გადაწყვეტილების მიღებას?**

- ამ საკითხებზეც ვიფიქრეთ და უკვე შევიმუშავეთ გეგმა: 12 ივლისისთვის გავაგზავნით სავარაუდო შემადგენლობას და გარკვეული დროის შემდეგ დავამტკიცებთ საბოლოო შემადგენლობას. საქმე ის არის, რომ ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატია გასამართი - აგვისტოს ბოლოს დაიწყება და იქ ქართველი ქალბატონებიც თამაშობენ. ამიტომ არ ვიქნებით მართლები, მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეული შედეგის მქონე ქალბატონი ნაკრებს მიღმა დავტოვოთ. საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.

**- თქვენს გუნდზეც გვითხარით რამე, - ვისთან ერთად მოხვედით ფედერაციაში და არსებული კონტინგენტის გადახალისება-შემცირებას ხომ არ აპირებთ?**

- სიამოვნებით მოგახსენებთ. ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ ზურაბ მიქაძე, რომელიც საკმაოდ კარგი მოჭადრაკე იყო და საბჭოთა კავშირის ოსტატის ნორმებაც მიიღო. ეს ძალიან მაღალი საჭადრაკო რეგალიაა. ბატონი ზურაბი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონიცაა. იგი კერძო ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელია. გამოირჩევა საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და გაწონასწორებული ხასიათით.

გენერალური მდივანია ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი ბეგლარ ჯობავა. მას საუნივერსიტეტო განათლება აქვს და ამავე დროს გააჩნია მოტივაცია, რომ კარგი ჩინოვნიკი გახდეს. მე ვთვლი, რომ ფედერაციაში მოღვაწე ადამიანმა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია უნდა მოახმაროს საქმეს; ამის გამო პარალელურ საქმიანობას უნდა შეეშვას. ბეგლარი აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდება და, ვფიქრობ, ის ჩვენთან მუშაობით უდიდეს გამოცდილებას მიიღებს, სერიოზულ და კვალიფიციურ ჩინოვნიკად ჩამოყალიბდება.

რაც შეეხება თანამშრომლებთან ურთიერთობას, არ ვაპირებ რადიკალურ ცვლილებებს.

**- თქვენი გამარჯვება საკმაოდ კარგმა დაპირებებმაც განაპირობა, - ყრილობაზეც განაცხადეთ, რომ მხარდამჭერები მრავლად გყავთ და ყველა პრობლემას დაძლევდით. ამის გამო შეიკრა თქვენს ირგვლივ ქართული ჭადრაკის დიდი ნაწილი. დაპირებები კარგია, მარამ მათი შესრულებაა უმთავრესი. ვალებში ჩაფლული ფედერაციის წელში გამართვა კი როგორ მოხერხდება?**

- რაც შეეხება დაპირებებს, უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან დამკვიდრებული იყო ასეთი ტრადიცია: ზოგი ნახევარ მილიონს პირდებოდა მოჭადრაკეებს, ზოგი რას და ზოგი რას; სწორედ ამ დაპირებებმა მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე. თქვენ და ვერც ვერავინ ვერ გაიხსენებს მეთქვას ამა და ამ თანხას მოვიტან-მეთქი. ერთადერთი დაპირება იყო: მუშაობა წარიმართებოდა კეთილსინდისიერად და ფედერაციაში ყველა, ჩემი ჩათვლით, მოჭადრაკეთა მსახურნი იქნებოდნენ.

რაც შეება იმ თანხებს, სახელმწიფოს შენევნა იქნება თუ სპონსორების - განაწილდება იმ სისტემით, რა სისტემასაც თავად პროფესიონალი მოჭადრაკეები შეიმუშავებენ. ანუ, მე ვაპირებ შევიმუშაოთ ფუნდამენტალური წესები, რისი მეშვეობითაც დავადგენთ, როგორ გაიცეს სტიპენდიები, როგორ შეირჩეს ნაკრები - რა კრიტერიუმებია ამისთვის საჭირო.

სპონსორის საკითხებს რაც შეეხება, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ დღეს ქართული ჭადრაკისთვის სპონსორის მოძიება ძალიან რთულია - აქ არსებული არაჯანსალი ვითარების გამო. ბევრია,ვისაც უყვარს ჭადრაკი, მაგრამ ინვესტიციებისგან და დახმარებისგან თავს იკავებს. თუმცა დასძენენ: თუ საჭადრაკო სამყარო გაერთიანდება, იქნება სტაბილური მდგომარეობა, წამოვლენ საქმიან ურთიერთობებზე. სწორედ ამის გამო, ვიფიქრეთშეგვექმნა ჭადრაკის განვითარების ფონდი, რომელსაც სათავეში დიდებული ქალბატონი და მოჭადრაკე ნანა იოსელიანი ჩაუდგებოდა. ქალბატონი ნანა წლებია, ძირითადად უცხოეთში ცხოვრობს და იშვიათად ჩამოდის საქართველოში. ჩვენი წინადადებით ნანა ძალიან დაინტერესდა და ფონდიც უკვე შეიქმნა. თავისთავად ნანა იოსელიანის საქართველოსკენ, ჭადრაკისკენ მობრუნება უმნიშვნელოვანესი საქმეა და მიხარია, რომ ჩვენმა ჩანაფიქრმა ხორცი შეისხა. ძალიან მალე ფონდის პრეზენტაციას ვაპირებთ, სადაც კონკრეტულად ითქმება ფონდის მიზნებსა და ამოცანებზე.

**- ყრილობაზე სპონსორები დაასახელეთ, ახლა თავს იკავებთ?**

- არა, შემიძლია დაგისახელოთ. ესენია: კომპანია "ავერსი", "აირზენა"; "სოკარ-ჯორჯია"; "ქართუ-ბანკი"...

**- თქვენ ქართული ჭადრაკის გაერთიანებაზე საუბრობთ და მოჭადრაკეების იმ ნაწილთან ვინც თქვენ არ გემხრობოდათ, როგორ პოლიტიკას გაატარებთ, - მათკენ თუ გადადგამთ ნაბიჯს?**

- მთავარია, რომ არც ერთ ახალგაზრდა მოჭადრაკეს, რომელიც მონინაალმდეგის ბანაკში იყო, ჩემთან პიროვნული დაპირისპირება არ აქვს. მათ ამჯერად ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მე მწამს, რომ ჩვენ გავერთიანდებით და საერთო საქმეს ერთად გავაკეთებთ. ახალგაზრდები ქართული ჭადრაკის მომავალია, მათაც დახმარება და ყურადღება ესაჭიროებათ. მე ვალდებულიც ვარ გამოვნახო საერთო ენა.

**- ქართული ჭადრაკის მთავარი წყარო რეგიონები იყო. ამ კუთხით რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ?**

- ფედერაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი რეგიონებში ჭადრაკის განვითარება იქნება. დღეს, სამწუხაროდ, რეგიონალური ფედერაციები ბევრგან მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. ვაპირებ ყველა რეგიონში ჩასვლას, ხელახალი არჩევნების ჩატარებას და იმ ხალხის წინ წამოწევას, ვისაც რეალურად შეეძლება საქმის კეთება. მათი მუშაობა შეთანხმებული იქნება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რადგანაც, შესაძლოა, რეგიონალური ხელისუფლების დახმარება ბევრ საქმეში დაგვჭირდეს. ჩემი მიზანია, ყველა რეგიონმა კლუბი შექმნას და სერიოზული საკლუბო ჩემპიონატი გავმართო ქვეყანაში. კლუბებში ძირითადად ნამყვანი მოჭადრაკეები დაკავდებიან, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება მათთვის.

ბავშვთა ჭადრაკის განვითარებაც აუცილებელია და ესეც ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება ფედერაციისთვის. კარგია თუ ჭადრაკს სკოლებში შევასწავლით, ამით ძალიან მოვიგებთ ჩვენც და ბავშვებიც - მათი საერთო სასკოლო მოსწრებაც მოიმატებს.

**- ჭადრაკის სკოლაში სწავლება კარგია, მაგრამ ამდენი კვალიფიციური მწვრთნელი გვყავს საქართველოში?**

- ესეც საკმაოდ დიდი პრობლემაა, მაგრამ სისტემატურად მოეწყობა მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარები, გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი; სკოლაში მუშაობის უფლებას მხოლოდ ლიცენზირებული მწვრთნელი მიიღებს.

**- ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ქართული ჭადრაკისა ის არის, რომ ნიჭიერ ბავშვებს შემდგომი ზრდისთვის შესაბამისი პირობები არ აქვთ - სასკოლო ასაკამდე წარმატებებს იხვეჭენ, შემდეგ კი უპერსპექტივობის გამო სხვა პროფესიას ირჩევენ. როგორ შეეცდებით ნიჭიერთა გადინების შეჩერებას?**

- სამწუხარო რეალობაა - 14-15 წლის ახალგაზრდა როცა ირჩევს ცხოვრებისეულ გზას, უპირატესობას იმას ანიჭებს, სადაც უკეთესი მომავალი აქვს. ფონდთან ერთად აუცილებლად შევიმუშავებთ პროგრამას, რისი მეშვეობითაც ნიჭიერ ბავშვებს ექნებათ კარგი პერსპექტივა, მათი ხელშეწყობისთვის რამდენიმენლიანი პროგრამები შეიქმნება, სადაც კონკრეტული მიზნები დაისახება, იმუშავებენ სერიოზულ მწვრთნელებთან და ყველა პირობა შეექმნებათ, რათა მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეები გახდნენ. თანამედროვე ჭადრაკში კი ასეთი დიდოსტატები საკმაოდ კარგად არიან უზრუნველყოფილნი და საზოგადოების მაღალი ფენის ნაწილად მიიჩნევენ მათ.

**- ასეთი ბავშვების თავშეყრა საჭადრაკო აკადემიის ტიპის სასწავლებლებში ხდება. საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს საჭადრაკო აკადემია, რომელიც უსახსრობის და მცირე მასშტაბის გამო არ ფუნქციონირებს. არ აპირებთ ამ რეზერვის გამოყენებას?**

- აუცილებლად, - ჩვენი აკადემია სერიოზული რეზერვია. მსგავსი ტიპის სასწავლებელი მსოფლიოში სულ ორია - დრეზდენში და სინგაპურში, ჩვენ მესამენი ვართ. აკადემიას აქვს შესაძლებლობა, გასცეს საერთაშორისო ლიცენზია - როგორც მწვრთნელზე, ისე მსაჯობაზე. ჩვენი სურვილია, მსაჯთა რაოდენობაც გავზარდოთ, რათა დიდ საერთაშორისო ტურნირებს ღირსეულად ვუმასპინძლოთ. გარწმუნებთ, ყოველწლიურად საქართველოში მინიმუმ ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ამაზე ვმსჯელობთ, ოღონდ შესარჩევია საერთაშორისო კალენდარში ისეთი დრო, როცა მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებს ექნებათ ჩამოსვლის საშუალება.

მაღალი დონის ტურნირის ჩასატარებლად ასტრონომიული თანხები არ არის საჭირო. მე შევისწავლე აზერბაიჯანისა და სომხეთის გამოცდილება - ისინი უმაღლესი კატეგორიის ტურნირებს ატარებენ და ამის შემდეგ მივედი ასეთ დასკვნამდე. თავად სომხებიც და აზერბაიჯანელებიც დიდი სიამოვნებით გვეწვევიან - მათი საჭადრაკო სკოლა ძალიან ძლიერია, თუმცა ჩვენ მსგავსი ნაბიჯებით ვეცდებით წლების წინ არსებული მდგომარეობა დავიბრუნოთ, როცა კავკასიის რეგიონშიც პირველები ვიყავით და მსოფლიოს მოწინავე საჭადრაკო ქვეყნადაც ვიწოდებოდით.

**- აქ უკვე დგება საკითხი თანამედროვე ტექნოლოგიებზე. დღესაც სადემონსტრაციო დაფებით გავდივართ ფონს; საქართველოში არ არსებობს კომპიუტერული მომსახურება და ელექტრონული დაფები; არასაკმარისი რაოდენობით არის თანამედროვე ელექტრონული საათები. ძალიან ჩამოვრჩით, და რა გეგმები გაქვთ ამ მხრივ?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით და ამ საკითხსაც მალე გადავჭრით. მსოფლიოს უდიდესი კომპანიის "მაიკროსოფტის" ოქროს პარტნიორი საქართველოში კომპანია "ბიტია" (ბიზნეს ინტელექტუალური ტექნოლოგიები), ვისი მეშვეობითაც მოხდება ფედერაციის კომპიუტერიზაცია. ტურნირების დროს დიდ ეკრანზე პირდაპირი რეპორტაჟები მოეწყობა, რომელსაც კომენტარებს დიდოსტატები გაუკეთებენ. ამას გარდა, შევქმნით ფედერაციის ვებ-გვერდს, რომელიც ყოველდღიურად განახლებადი იქნება და ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას და რუბრიკას იხილავს მკითხველი. ჩატარდება კონკურსები... წლის საუკეთესო პარტიას კი კომპანია უახლესი კომპიუტერით დააჯილდოებს.

ერთი სიტყვით, ძალიან ბევრ რამეს ვგეგმავთ და კიდევ ერთხელ გამოვთქვამ იმედს, რომ ქართული საჭადრაკო ოჯახი გამთლიანდება და ყველანი ერთად გავაკეთებთ საერთო საქმეს.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი. უიმბლდონი

# უილიამსებმა საოჯახო ფინალი გაჩარხეს



დასასრულს მიუახლოვდა საჩოგბურთო სეზონის მესამე დიდი ტურნირი – უიმბლდონის ჩემპიონატი, რომლის ქალთა ბადეში უკვე ორივე ფინალისტი გამოვლინდა - ჩემპიონის წოდებისთვის ერთმანეთს ამერიკელი დები – **ვენუს** და **სერენა უილიამსები** შეხვდებიან.

უიმბლდონის ფინალში უილიამსებს ერთმანეთის წინააღმდეგ უკვე ორჯერ აქვთ ნათამაშები და ორივე შემთხვევაში (2002 და 2003 წლებში) ჩემპიონი სერენა გახდა. 2000 წლიდან მოყოლებული დებმა საბალახო სლემ-ტურნირი ექვსჯერ მოიგეს. აქედან ოთხი ტიტული ვენუსის ანგარიშზეა (2000, 2001, 2005 და 2007 წლებში), ორი კი – სერენასი. სულ ისინი 15-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აქედან 8 შეხვედრა სერენას მოუგია. დიდი სლემის ტურნირების ფინალებშიც უპირატესობა უმცროს უილიამსს ეკუთვნის, რომელმაც ექვსიდან ხუთი მოიგო. ამასთან, მას შემდეგ, რაც ვენუსი 2001 წელს აშშ-ის ღიას ჩემპიონი გახდა, დიდი სლემის ტურნირების ფინალებში მათი ზედიზედ ხუთი დუელი სერენას გამარჯვებით დასრულდა.

*"ვენუსი ყველაზე ძლიერი ჩოგბურთელია მათ შორის, ვისთანაც ოდესმე მითამაშია. მიხარია, რომ ფინალში მასთან შეხვედრა კიდევ ერთხელ მიწევს",* - ამბობს სერენა, რომელმაც გუშინ, წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყვეტილი შეხვედრა ორ სეტში მოუგო ტურნირის ჩინელ სენსაცია **ძი ჭენს**.

*"ყოველთვის მიხარია, როცა ვგებულობ, რომ ჩემი და მომდევნო ეტაპზე გადის. მნიშვნელობა არ აქვს, მასთან მომიწევს თუ არა თამაში. მთავარია, რომ მან მორიგი მატჩი მოიგოს. ახლაც ასეა. ბედნიერი ვარ, რომ ისევ ჩვენ შორის გაირკვევა ჩემპიონი",* - ამბობს ვენუსი, რომელმაც ფინალის საგზურისთვის შეხვედრაში რუსი **ელენა დემენტიევა** ორ სეტში დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ სერენას ანგარიშზე დიდი სლემის რვა ტიტული ირიცხება, ვენუსს კი ორით ნაკლები აქვს მოპოვებული. ამასთან, სერენას ყველა ტურნირი ერთხელ მაინც აქვს მოგებული. ვენუსს კი თავისი ტიტულები მხოლოდ ლონდონსა და ნიუ იორკში აქვს დაგროვებული (შესაბამისად, ოთხი და ორი).

სერენას და ძის შეხვედრის დასაწყისშივე, ამერიკელმა ბრეიკი მოიპოვა და მალე 5:2 დაწინაურდა. მერე კი გაწვიმდა, რამაც ჩოგბურთელები მცირე ხნით გაყარა, კორტზე დაბრუნებულებმა კი სეტი მალე დაამთავრეს – უილიამსმა სეტს მეორე ბრეიკის აღებით, სულ რაღაც 28 წუთში დაუსვა წერტილი.

მეორე ხელში ძი გაცილებით უკეთ ათამაშდა. მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს (ჩინელმა პირველი ბრეიკ პოინტი მეექვსე გეიმში მიიღო და ის ქულად აქცია) და როცა ანგარიში 5:5 (40:30 ჩინელის მოწოდებაზე) იყო, კიდევ ერთხელ გაწვიმდა. ამჯერად, ამინდით გამოწვეული პაუზა 82 წუთს გაგრძელდა. თამაში რომ განახლდა, ორივე ჩოგბურთელმა თავისი გეიმი მოიგო (არადა, მე-12 გეიმში ძის კიდევ ერთი ბრეიკ პოინტი ჰქონდა) და სეტმაც ტაიბრეიკზე გადაინაცვლა, სადაც ამერიკელმა გამარჯვების ქულა მეტოქის ორმაგი შეცდომის წყალობით მოიპოვა.

თითქმის იმავე ანგარიშით მოიგო ვენუსმაც. ამერიკელმა რუს მეტოქეს პირველ ხელში ოდენ ერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა. მეორე ხელშიც ვენუსმა დასაწყისშივე შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება. თითქოს, ბრძოლას ვერც ამჯერად ვიხილავდით, მაგრამ დემენტიევამ გაიბრძოლა და მესამე გეიმშივე შეძლო საპასუხო ბრეიკის აღება, რაშიც მას ბადე მიეშველა.

აქედან მოყოლებული, ორივე ჩოგბურთელი მხოლოდ თავის სერვის-გეიმებს იგებდა, რამაც სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა. იქ კი რუსმა, ვინც უიმბლდონის ნახევარფინალში პირველად ითამაშა, შეცდომებს უხშირა და ტურნირის მოქმედ ჩემპიონს თითქმის უბრძოლველად ჩააბარა გამარჯვება.

გუშინვე დასრულდა მამაკაცთა ერთი მეოთხედფინალური შეხვედრა, რომელიც წინა დღეს, წვიმის გამო, რამდენჯერმე შეწყდა და საბოლოოდ, სიბნელის გამო გადაიდო. მასში კი გერმანელმა **რაინრ შუტლერმა** ხუთსეტიან პაექრობაში აჯობა ფრანგ **არნო კლემანს**.

*"ძალიან საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა. არ ვიცი როგორ, მაგრამ გამარჯვება მე მოვიპოვე. ისე კი, მოგებას არნოც ჩემზე არანაკლებ იმსახურებდა",* - შეხვედრის შემდეგ განაცხადა შუტლერმა, ვისაც კლემანის დასამარცხებლად ხუთი საათი და 16 წუთი დასჭირდა (წვიმის პაუზების ჩაუთვლელად).

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები. მეოთხედფინალი**

რაინერ შუტლერი (გერმ)-არნო კლემანი (საფრ) 6:3, 5:7, 7:6(6), 6:7(7), 8:6

**ქალები. ნახევარფინალი**

**ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-ელენა დემენტიევა (რუს, 5) 6:1, 7:6(3)

**სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-ძი ჭენი (ჩინ) 6:2, 7:6(5)

ვარსკვლავი

# არასოდეს თქვა არასოდეს



თვეზე მეტი გავიდა იმ დღის მერე, რაც ბელგიელმა ჩოგბურთელმა **ჟუსტინ ანენმა** დიდი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. მიუხედავად ამისა, ჩოგბურთის მოყვარულებს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებთ: მათ ბელგიელისგან სიტყვა "არასდროს" არ გაუგიათ და აინტერესებთ, დაბრუნდება თუ არა ქალთა ტურში ანენი?

*"მართლაც, არასოდეს მითქვამს, რომ საბოლოოდ დავტოვე ჩოგბურთი და იქ აღარ დავბრუნდები. უბრალოდ, არ მინდა წარმოვთქვა სიტყვა "არასდროს". მაგრამ ვინც კარგად მიცნობს, მან იცის, რომ თუ რამეს ვამბობ, შემდეგ მას 200 პროცენტით ვასრულებ",* - განაცხადა ჟუსტინმა სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

*"ძალიან რთულია, იყო პროფესიონალი სპორტსმენი. ეს საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს. უნდა იფიქრო ჩოგბურთზე, უნდა იცხოვრო ჩოგბურთით და შესწირო მას მთელი შენი თავისუფალი დრო... მე ამას 20 წლის განმავლობაში ვაკეთებდი.*

*რაღაც მომენტში ყველაფერი თავდება. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩოგბურთიდან ჩემი წასვლის მიზეზი ტრავმა არ იქნებოდა. უბრალოდ, მე არჩევანი გავაკეთე",* - აგრძელებს ანენი.

*"ის, რომ უიმბლდონი ვერცერთხელ ვერ მოვიგე - უდიდესი იმედგაცრუებაა ჩემს კარიერაში. ეს ლეგენდარული ტურნირია, მიყვარს უიმბლდონი, მაგრამ ჩემი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა მის დასაპყრობად. შესაძლოა, ბალახზე თამაშისას თავდაჯერებულობა მაკლდა.*

*ძველებურად მიმაჩნია, რომ ბალახის კორტების საუკეთესო სპეციალისტი ვენუს უილიამსია. წელს, სწორედ ის არის ჩემი ფავორიტი",* - ამბობს ანენი.

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი. პეკინი 2008

# ყველა ცნობილია

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იმ მოთამაშეების სრული სია გამოაქვეყნა, რომლებიც პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. მამაკაცთა და ქალთა ერთეულთა თანრიგი 64-64 ჩოგბურთელით იქნება წარმოდგენილი. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც 1988 წელს ჩოგბურთი ოლიმპიურ პროგრამაში დააბრუნეს, ასეთი ძლიერი შემადგენლობა თამაშებზე არასოდეს შეკრებილა.

საკმარისია აღინიშნოს ის, რომ ATP-ის რეიტინგის საუკეთესო ოცეულიდან 17 მოთამაშე მიემგზავრება პეკინში. WTA-ს რეიტინგს რაც შეეხება, აქ Top20-ის 18 მოთამაშე იბრძოლებს ოქროს მედლისთვის.

ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი 10 აგვისტოს დაიწყება.

### კაცები

**შვეიცარია**
როჯერ ფედერერი (1), სტანისლას ვავრინკა (8)

**ესპანეთი**
რაფაელ ნადალი (2), დავიდ ფერერი (5), ნიკოლას ალმაგრო (11), ტომი რობრედო (17)

**სერბეთი**
ნოვაკ ჯოკოვიჩი (3), იანკო ტიპსარევიჩი (30)

**რუსეთი**
ნიკოლაი დავიდენკო (4), მიხაილ იუჟნი (16), დმიტრი ტურსუნოვი (24), იგორ ანდრეევი (28)

**აშშ**
ჯეიმს ბლეიკი (6), სემ კუერი (32), რობი ჯინეპრი (43)

**არგენტინა**
დავიდ ნალბანდიანი (7), ხუან მონაკო (18), ხუან-იგნასიო ჩელა (35), გილერმო კანიასი (37)

**ბრიტანეთი**
ენდი მარეი (9)

**ჩეხეთი**
ტომას ბერდიხი (10), რადეკ შტეპანეკი (14), ივო მინარი (52)

**საფრანგეთი**
ჟო-ვილფრიდ ცონგა (12), პოლ-ანრი მატიო (15), ჟილ სიმონი (23), გაელ მონფილსი (27)

**ჩილე**
ფერნანდო გონსალესი (13), ნიკოლას მასუ (60)

**ხორვატია**
ივო კარლოვიჩი (19), ივან ლუბიჩიჩი (22), მარიო ანჩიჩი (34), მარინ ჩილიჩი (41)

**კვიპროსი**
მარკოს ბაღდატისი (20)

**ფინეთი**
იარკო ნიემინენი (21).

**ავსტრალია**
ლეიტონ ჰიუიტი (25)

**იტალია**
ანდრეას სეპი (26), სიმონე ბოლელი (36), პოტიტო სტარაჩე (42)

**გერმანია**
ნიკოლას კიფერი (29), ფილიპ კოლშრაიბერი (31), დენის გრემელმაირი (47)

**შვედეთი**
რობინ სოდერლინგი (33), ტომას იოჰანსონი (50), იონას ბიორკმანი (58)

**ლატვია**
ერნესტ გულბისი (38)

**ბელგია**
სტივ დარცისი (39), ოლივიე როხუსი (48)

**კორეა**
ჰიუნ-ტაიკ ლი (40)

**ჰოლანდია**
რობინ ჰაასე (44)

**ეკვადორი**
ნიკოლას ლაპენტი (45)

**ისრაელი**
დუდი სელა (46)

**ბრაზილია**
ტომას ბელუჩი (49), მარკუშ დანიელი (56)

**სლოვაკეთი**
დომინიკ ჰრბატი (51)

**რუმინეთი**
ვიქტორ ჰანესკუ (53)

**ტაივანი**
იენ-ჰსუნ ლუ (54)

**ავსტრია**
სტეფან კუბეკი (55)

**ს. აფრიკა**
კევინ ანდერსონი (57)

**იაპონია**
კეი ნიშიკორი (59)

**ბელარუსი**
მაქს მირნი (61)

**ჩინეთი**
სუნ პენგი (62)

**ტოგო**
კომლავი ლოგლო (63)

**სალვადორი**
რაფაელ არევალო (64)

### ქალები

**სერბეთი**
ანა ივანოვიჩი (1), ელენა იანკოვიჩი (3)

**რუსეთი**
მარია შარაპოვა (2), სვეტლანა კუზნეცოვა (4), ელენა დემენტიევა (3), დინარა საფინა (8)

**აშშ**
სერენა უილიამსი (6), ვენუს უილიამსი (7), ლინდსი დავენპორტი (20)

**სლოვაკეთი**
დანიელა ჰანტუხოვა (9), დომინიკა ციბულკოვა (25)

**შვეიცარია**
პატი შნიდერი (10), ტიმეა ბაშჩინსკი (56)

**პოლონეთი**
აგნიეშკა რადვანსკა (11), მარტა დომახოვსკა (54)

**უნგრეთი**
აგნეს შავაი (12)

**ბელარუსი**
ვიქტორია აზარენკა (13), ოლგა გოვორცოვა (30)

**საფრანგეთი**
ალიზ კორნე (14), ტატიანა გოლოვინი (17), ვირჟინ რაზანო (21), მარი პირსი (22)

**იტალია**
ფრანჩესკა სკიავონე (15), ფლავია პენეტა (18), კარინ კნაპი (34), სარა ერანი (51)

**ჩეხეთი**
ნიკოლ ვაიდიშოვა (16), ლუსი საფაროვა (40), ივეტა ბენეშოვა (41), კლარა ზაკოპალოვა (45)

**ისრაელი**
შაარ პეერი (19)

**ავსტრია**
სიბილ ბამერი (23), ტამირა პაჩეკი (48)

**უკრაინა**
ალიონა ბონდარენკო (24), ტატიანა პერებიინისი (52), მარია კორიტცევა (57)

**დანია**
კაროლინ ვოზნიაჩკი (26)

**ინდოეთი**
სანია მირზა (27)

**ესტონეთი**
კაია კანეპი (28)

**ესპანეთი**
ანაბელ მედინა გარიგესი (29), კარლა სუარეს ნავარო (42), ნურია ლაგოსტერა ვივესი (59)

**ავსტრალია**
სამანტა სტოსური (31), კეისი დელაკუა (36), ალისია მოლიკი (61)

**საბერძნეთი**
ელენი დანილიდუ (32)

**იაპონია**
აი სუგიამა (33), აიუმი მორიტა (60)

**ბულგარეთი**
ცვეტანა პირონკოვა (35)

**არგენტინა**
ხისელა დულკო (37)

**ჩინეთი**
იან ჟი (38), ნა ლი (39), შუაი პენგი (44), ჟიე ჟენგი (50)

**ვენესუელა**
მილაგროს სეკერა (43)

**პოლონეთი**
მიხაელა კრაიჩეკი (46)

**უზბეკეთი**
აკგულ ამანმურადოვა (47)

**შვედეთი**
სოფია არვიდსონი (49)

**ახ. ზელანდია**
მარინა ერაკოვიჩი (53)

**რუმინეთი**
სორანა კრისტეა (55)

**ტაივანი**
იუნ-იან ჩანი (58)

**ტუნისი**
სელიმა სფარი (62)

**ლიხტენშტეინი**
სტეფანი ფოგტი (63)

**ზიმბაბვე**
კარა ბლეკი (64)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

# ფელპსმა გადაწყვიტა



ფელპსი მორიგი გაცურვისთვის ემზადება

აშშ-ის მოცურავეთა ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირი, რომელსაც შტატ ნებრასკას ქალაქი ომაჰა მასპინძლობს, ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მოცურავე **მაიკლ ფელპსმა**, თავისი საპეკინე პროგრამა უკვე შეადგინა. მან ის დისციპლინები შეარჩია, რომლებზეც პეკინში ოქროს მედლების მოპოვების მეტი შანსი ექნება, რითაც სახელოვანი თანამემამულის, **მარკ სპიცის** მიღწევის გამეორებას ეცდება.

შეგახსენებთ, რომ მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე სპიცმა ოქროს შვიდი მედალი მოიპოვა. ფელპსმა ამ რეკორდის გამეორება ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, ათენში სცადა, მაგრამ "მხოლოდ" ექვს ოქროს შესწვდა და შესაბამისად, სპიცის მიღწევის გამეორებამდე ერთი ოქრო დააკლდა.

ამ ეტაპზე, ფელპსს პეკინის ოთხი საგზური აქვს გარანტირებული. ამ ოთხიდან სამი (400 მეტრი ინდვიდუალური შერეული, 200 მეტრი თავისუფალი და 200 მეტრი ბატერფლაის სტილით) ინდივიდუალურია, ერთი კი – გუნდური (4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა). მას ორი ინდივიდუალური საგზურილა (200 მეტრი ინდივიდუალური შერეული 100 მეტრი ბატერფლაის სტილით) დარჩა მოსაპოვებელი და ორიც ესტაფეტებში (4x100 მეტრი თავისუფალი და 4x100 მეტრი ინდ.შერეული სტილით). ამ ორიდან ერთ ესტაფეტაში მან საგზური, პრაქტიკულად, გაინაღდა – გუშინწინ თავის მუხლზე ასი მეტრი 47.92 წამში გაცურა, რის შემდეგაც ესტაფეტის შესარჩევში მონაწილეობის გაგრძელება აღარ ისურვა – ის სულ მეექვსე მოცურავეა, ვინც ეს დისტანცია 48 წამზე ნაკლებში გაცურა და ძნელად წარმოსადგენია, რომ მას ომაჰაში ოთხმა კაცმა აჯობოს. თუ ფელპსი ხვალ 100 მეტრზე ბატერფლაის მოიგებს, მაშინ მეორე ესტაფეტის საგზურიც გარანტირებული ექნება.

აღსანიშნავია, რომ შესარჩევ ტურნირზე ფელპსმა განაცხადი ცხრა დისტანციაზე შეიტანა, თუმცა იმთავითვე ცხადი იყო, რომ ყველაზე მაინც არ იასპარეზებდა. მოგვიანებით, მან გადაწყვეტილება თავისი შესაძლებლობებისა და ოლიმპიური ტურნირის განრიგის შესაბამისად მიიღო.

კითხვაზე, თუ რატომ გააკეთა ფელპსმა ომაჰას ტურნირზე ცხრა განაცხადი, მისი მწვრთნელი **ბობ ბაუმანი** შემდეგ პასუხს იძლევა: *"ამას ბევრი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, თავი დავიზღვიეთ იმ შემთხვევებისთვის, თუ ტურნირის დროს რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდებოდა და მაიკლი რომელიმე ფავორიტ დისტანციაზე საგზურს ვერ მოიპოვებდა. მერე გამოჩნდა, რომ სჯობს, ზუსტად იმდენ სახეობაში იასპარეზოს, რამდენშიც ოქროს მოპოვების რეალური შანსი აქვს".*

რაც შეეხება ომაჰას ტურნირის სხვა მონაწილეებს, მათ შორის თინეიჯერი **კეიტი ჰოფი** ბრწყინავს, რომელმაც გუშინ აშშ-ის ორი რეკორდი განაახლა. ჰოფმა ჯერ 200 მეტრზე თავისუფალ სტილში, აშშ-ის მისივე რეკორდი გააუმჯობესა (1:55.88), შემდეგ კი თავისი ქვეყნის რეკორდი 200 მეტრზე ინდივიდუალურ შერეულშიც მოხსნა (2:09.71). სხვათა შორის, ეს რეკორდი მანამდე **ნატალი კაფლინს** ეკუთვნოდა.

ფინალური გაცურვის პირველ ორ სახეობაში (ბატერფლაი და გულაღმა) კაფლინი დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ, ჰოფის სპეციალობების – თავისუფალი სტილისა და ბრასის ჯერი დადგა და მანაც თავისი შანსი გამოიყენა.

ნაფინიშევს, ჰოფმა ყველაზე მეტი ქება კაფლინისგან დაიმსახურა: *"200 მეტრი თავისუფალი და შერეული სტილით, ეს ნამდვილი მიღწევაა. მგონი, ქალებში მსგავსი დუბლი აქამდე არავის შეუსრულებია".*

მოკლედ, ჰოფმა უკვე ოთხი ინდივიდუალური საგზური მოიპოვა. 200 მეტრზე თავისუფალი და შერეული სტილის გარდა, პეკინში ამავე დისციპლინებში 400 მეტრზეც იასპარეზებს. ამასთან, 200 მეტრზე თავისუფალში ტრიუმფის წყალობით, 4x200 მეტრზე თავისუფალის ესტაფეტის საგზურიც მოიპოვა. ახლა ის 100 და 800 მეტრზე თავისუფალში ასპარეზობასაც გეგმავს და თუ აქაც მოიგო, ფელპსის მსგავსად, პეკინში შვიდი ოქროს მოპოვების შანსი ექნება. უფრო მეტიც, ის სხვა ესტაფეტებში გამოსვლის უფლებასაც მოიპოვებს.

აღსანიშნავია, რომ ომაჰას ტურნირზე ჰოფის გეგმა 4 700 მეტრის გაცურვას (ჰიტებიანად) ითვალისწინებს. შედარებისთვის, ფელპსის პროგრამის საერთო სიგრძე "მხოლოდ" 3 000 მეტრია. ოღონდ, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან ოთხ დისტანციაზე გამოსვლისგან თავი შეიკავა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# TV სპორტი

**4 ივლისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. სელტიკი-მილანი.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
**18:15** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
**20:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** FUTBOL MUNDIAL
. საფეხბურთო ჟურნალი.
**20:55** ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
**23:30** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-ბორდო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**06:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
**08:20** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიგა დე კიტო (ეკვადორი).
**10:05** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. დალასი-სან ხოსე.
**12:35** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.
**15:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სიენა-რომა.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**18:15** სპორტდოსიე.
**18:40** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. არსენალი-ჩელსი.
**20:35** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**21:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**22:35** კრივი. რინგ-საიდი.
**00:05** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. დალასი-დეტროიტი.
**01:40** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიგა დე კიტო (ეკვადორი).
**03:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სიენა-რომა.
**05:10** სპორტდოსიე.
**05:35** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. არსენალი-ჩელსი.

**EUROSPORT**

**10:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-აშშ. პოლონეთი.
**11:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. ტაილანდი (LIVE).
**13:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-გერმანია. ვიეტნამი.
**14:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. კუბა-გერმანია. ტაილანდი (LIVE).
**16:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/4 ფინალი. რუსეთი (LIVE).
**17:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-იაპონია. მაკაო (LIVE).
**19:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. რუსეთი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**20:15** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. ტაილანდი.
**21:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა.
**22:30** ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ავსტრია. გერმანია (LIVE).
**00:30** პოკერი.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა.
**03:00** ექსტრემალური სპორტი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ისრაელი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. ტაილანდი.
**16:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ნორვეგია-ესტონეთი. საფრანგეთი (LIVE).
**18:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. თურქეთი-ინგლისი. საფრანგეთი (LIVE).
**19:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რუსეთი-ჰოლანდია. საფრანგეთი (LIVE).
**20:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. საფრანგეთი-აზერბაიჯანი. საფრანგეთი (LIVE).
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
**22:15** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**23:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. საფრანგეთი-აზერბაიჯანი. საფრანგეთი.
**00:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. ტაილანდი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. IV ტური. რუსეთი-კუბა.
**02:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ნორვეგიის თასი** | |
| სპარტა-ვოლერენგა | 2:3 |
| ული-ფრედრიკსტადი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| მალმიო-ლიუნგსკილე | 2:1 |
| ერებრუ-აიკ | 1:4 |
| ჰელსინგბორგი-გაის | 1:0 |
| **ისლანდიის თასი** | |
| ბრეიდაბლიკი-ვალური | 1:0 |
| რეიკიავიკი-ფრამი | 2:0 |
| კეფლავიკი-ჰაფნარი | 3:1 |

მძლეოსნობა. ოლიმპიადის წინ

# პაუელი გაის ლონდონში შეხვდება

ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** არ მალავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონ **ტაისონ გაისთან** ოლიმპიადამდე შეხვედრა სურს და ასე განსაჯეთ, შეხვედრის ადგილიც კი დაუნიშნავს – ლონდონი.

ლონდონის დიდი პრიზი 25 ივლისს გაიმართება და პაუელი იმედოვნებს, რომ შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე (ოსაკა, იაპონია) გაისგან ნაწნევი მარცხისთვის რევანშს აიღებს. რევანში რევანშად, მაგრამ ლონდონში გაის დამარცხება იამაიკელ სპრინტერს საპეკინოდ საკუთარი ძალების რწმენას გაუძლიერებს.



*"ძალიან მინდა, ოსაკაში ნაწნევი მარცხისთვის რევანში ავიღო. მართალია, რეკორდსმენი ვიყავი, მაგრამ როგორც მსოფლიო ჩემპიონს, ხალხი მაინც გაის ჩემზე მაღლა აყენებს. ისინი ამბობენ – ასაფას გაის დამარცხება არ შეუძლიაო. ჰოდა, მინდა, რომ ლონდონის შემდეგ მათ სხვა რამეები ილაპარაკონ"*, - იამაიკის ტელევიზიასთან საუბრისას განაცხადა პაუელმა, ვინც შარშან ოსაკაში ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მართალია, პაუელს მსოფლიო რეკორდსმენის წოდება ცოტა ხნის წინათ მისმა თანამემამულე **უსაინ ბოლტმა** ჩამოართვა, მაგრამ სამაგიეროდ, ასაფა ერთადერთი სპრინტერია, ვისაც ასი მეტრი 9.8 წამზე ნაკლებში ხუთჯერ აქვს ნარბენი.

*"უსაინს გაი უკვე დამარცხებული ჰყავს. ჰოდა, ახლა ჩემი ჯერია და ამის შემდეგ, პეკინზეც ვიფიქრებ"*, - დასძენს ასაფა, ვისაც ოსაკამდე, ამერიკელი სპრინტერი ხუთჯერ ჰყოლია დამარცხებული.

შეგახსენებთ, რომ პაუელის მსოფლიო რეკორდი 9.74 წამი იყო, ბოლტის ახლანდელი რეკორდი 9.72 წამია, რამდენიმე დღის წინათ კი გაიმ ასი მეტრი (დასაშვებზე ორჯერ ძლიერი ზურგქარის დახმარებით) 9.68 წამში გაირბინა, რაც ყველა დროის აბსოლუტური საუკეთესო შედეგია. მაგრამ ეს დრო რეკორდად არ დაფიქსირდა. გაის კარიერის ოფიციალური საუკეთესო შედეგი კი 9.77 წამია. დაკიდევ, პაუელს ასი მეტრი ათ წამზე ნაკლებში 36-ჯერ აქვს გარბენილი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჰოკეი. NHL ტრანსფერები

# ჰოსა დეტროიტს დარჩა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გამალებით მიმდინარეობს თავისუფალ აგენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება. უკონტრაქტო მოთამაშეების ბაზრის პირველ დღეს, 28 გარიგება განხორციელდა და გუნდების გენერალური მენეჯერების სრულმა დანახარჯმა კი, 300 მილიონი დოლარი შეადგინა.

რაც მთავარია, ბაზრის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა, სლოვაკმა **მარიან ჰოსამ** ახალი კლუბი იპოვნა. გასული პლეი ოფის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, სტენლის თასის მფლობელ "დეტროიტ რედ უინგზთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც 7.4 მილიონ დოლარს მიიღებს.

სლოვაკი თავდამსხმელი გასულ სეზონს "ატლანტაში" ინყებდა და ამ გუნდის რიგებში ჩატარებულ 60 მატჩში 56 ქულა (26+30) დააგროვა. ამის მერე, გაცვლის შედეგად ჰოსა "პიტსბურგში" გადაბარგდა და ყველაზე დიდი წილი დაიდო იმაში, რომ ამ გუნდმა სტენლის თასი ფინალში ითამაშა (წააგო "დეტროიტთან"). პლეი ოფის 20 მატჩში მარიანის მონაგარმა 26 ქულა (12+14) შეადგინა.

"პიტსბურგი" ყველანაირად ცდილობს შარშანდელი შემადგენლობის შენარჩუნებას და ამავდროულად, სახელფასო ფონდში ჩატევას. ამიტომაც, "პინგვინებმა" ჰოსას 7 მილიონი შესთავაზეს, მაგრამ სლოვაკმა ეს წინადადება უარჰყო.

სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთი საინტერესო ფიგურაა 37 წლის **მატს სუნდინი**. ვეტერან ფორვარდზე ოთხი კლუბი აცხადებს პრეტენზიას. ამ კვარტეტიდან, შვედ მოთამაშეს ყველაზე სარფიანი კონტრაქტი "ვანკუვერმა" შესთავაზა - 20 მილიონი 2 წელიწადში. მაგრამ, სუნდინს ჯერ არ გადაუწყვიტავს, გააგრძელებს თუ არა მოთამაშის კარიერას.



მარიან ჰოსა

აქვე გთავაზობთ პირველ დღეს განხორციელებული კონტრაქტების სიას:

**აილენდერსი**: შტრაიტი (20.5 მილიონი, 5 წელი);
**ანაჰაიმი**: პერი (26.6 მლნ. 5);
**ბაფალო**: ლალიმი (2 მლნ, 2);
**ბოსტონი**: რაიდერი (12 მლნ, 3);
**ვანკუვერი**: უელვუდი (997 ათასი, 1), ჰორდიჩუკი (2 წელი), ჯონსონი (2,4 მლნ, 2);
**ვაშინგტონი**: გრინი (21 მლნ, 4), ტეოდორი (9 მლნ, 2);
**დეტროიტი**: სტიუარტი (15 მლნ, 4), კონკლინი (750 ათასი, 1), ჰოსა (7.4 მლნ, 1);
**კაროლინა**: ბაბჩუკი (1 მლნ, 1);
**კოლამბუსი**: კომოდორი (18,7 მლნ, 5);
**კოლორადო**: რეიკროფტი (800 ათასი, 1), ტაკერი (4,5 მლნ, 2);
**მინესოტა**: ბრუნეტი (7 მლნ, 3), უილერი (600 ათასი, 2);
**მონრეალი**: ა. კოსტიცინი (9,7 მლნ, 3);
**ნიუ ჯერსი**: სალვადორი (11 ,6 მლნ, 4), პანდოლფო (7,5 მლნ, 3), კლარკსონი (1,6 მლნ, 2), ტელეკსონი (?), როლსტონი (20,2 მლნ, 4), ჰოლიკი (2,5 მლნ, 1);
**ოტავა**: ოლდი (2 მლნ, 2);
**პიტსბურგი**: დუპუი (4,2 მლნ, 3), იტონი (4 მლნ, 2), გოდარი (3,25 მლნ, 3);
**რეინჯერსი**: ვოროსი (?), რისმილერი (?), როჟსივალი (20 მლნ, 4), რედენი (39 მლნ, 6), ვალიკეტი (?);
**ტამპა ბეი**: ვრბატა (9 მლნ, 3), ჰოლი (1,8 მლნ, 3), კიოლციგი (1,5 მლნ, 1), კოსი (525 ათასი, 1);
**ტორონტო**: ფინგერი (3,5 მლნ, 4), ჯოზეფი (700 ათასი, 1), ჰაგმანი (12 მლნ, 4);
**ფილადელფია**: ვაანანენი (1 მლნ, 1), მეტროპოლიტი (2 წელი), რადუნსი (1 წელი);
**ფინიქსი**: სოიერი (7 მლნ, 4), ფედორუკი (3,1 მლნ, 3);
**ფლორიდა**: სტილმანი (10,6 მლნ, 3);
**ჩიკაგო**: იუე (22,54 მლნ, 4), ბ. კემპბელი (56,8 მლნ, 8).

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი

# ვიაგრაც აიკრძალება?

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) აკრძალული სტეროიდების რიცხვში ვიაგრას შეტანას აპირებს. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ექიმის აზრით, სპორტსმენები ამ პრეპარატს მხოლოდ საწოლში გამარჯვებებისთვის არ იყენებენ.

დღეისთვის, მერივუდის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი **კენეტ რანდელი,** WADA-ს შეკვეთით კვლევას ატარებს იმის დასადგენად, პოტენციის ასამაღლებელი ვიაგრა დადებით გავლენას ახდენს თუ არა სპორტსმენების შედეგებზე. კვლევის შედეგები მომდევნო წლის დასაწყისში გახდება ცნობილი. მანამდე კი, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს.

სპორტულ წრეებში ვიაგრამ უკვე დიდი ხანია მიიღო სახელი - "ვიტამინი V". მას ბევრი ათლეტი რეგულარულად ბა იმ სპორტსმენებზე, რომლებიც ამ პრეპარატს იყენებენ. იტალიელი ველომრბოლი **ანდრეა მოლეტი** თავისმა გუნდმა შეჯიბრებიდან იმის გამო მოხსნა, რომ ჯირო დ'იტალიას მსვლელობისას, მამამისს 82 ტაბლეტი ვიაგრა უპოვნეს. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი კვლევის (სადაც ველომრბოლლები იყვნენ მიწვეულნი) თანახმად, ვიაგრას გამოყენება 15 პროცენტით ამცირებს დროს, რომელიც 6 კილომეტრი მანძილის დაფარვას სჭირდება. თუმცა ეს ექსპერიმენტი მთებში ტარდებოდა, ამიტომაც პანამერიკული სპორტული ორგანიზაციის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელს, **ედუარდო დე როსას** მიაჩნია, რომ ამით შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება არ შეიძლება: *"მეცნიერულად არის დამტკიცებული, რომ ვიაგრას გამოყენებას სიმაღლეზე აქვს დადებითი*

კრისტიან აიოტი კი, ამ საკითხში სპორტსმენების მხარეს იჭერს: *"დიახ, ჩვენ ვპოულობთ ვიაგრას ისევე ხშირად, როგორც ასპირინსა თუ სხვა ნებისმიერ ანტიბიოტიკს. მაგრამ იქნებ, სპორტსმენები მას დოპინგის გამო არ იყენებენ და იქნებ არ სურთ იმის გამხელა, რომ ამ პრეპარატის მომხმარებლები არიან. ეს უბრალოდ, დამამცირებელი იქნება მათთვის".*

ვიაგრას გამო ატეხილი აჟიოტაჟი საშუალებას გვაძლევს, სხვა თვალით შევხედოთ სპორტში დოპინგის პრობლემას, კერძოდ კი, დავსვათ შეკითხვა - აქვთ თუ არა სპორტსმენებს პირადი ცხოვრების უფლება? სექსუალური სფერო - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და წესით, WADA-ს არ უნდა აინტერესებდეს, როგორ გართობას ანიჭებენ სპორტსმენები უპირატესობას შეჯიბრებების შემდეგ.



ილებს. მონრეალის ანტისადოპინგო ლაბორატორიის ხელმძღვანელი **კრისტიან აიოტი** აღიარებს: *"თითქმის ყოველთვის, როცა სპორტსმენის სხეულში რომელიმე აკრძალული ნივთიერების კვალს აღმოვაჩენთ, მასთან ერთად, აუცილებლად ვიაგრას კვალიც იკვეთება".*

სკანდალურად ცნობილი ლაბორატორია Balco-ს ყოფილი შეფი **ვიქტორ კონტე** აცხადებს, რომ მისი ლაბორატორიის ყველა კლიენტი იღებდა ვიაგრას, რადგან ის *"უკეთესია, ვიდრე კრეატინი"*. კრეატინი - კუნთების მასის გასაზრდელი პრეპარატია და ის აკრძალული სტეროიდების რიცხვს არ განეკუთვნება.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ვიაგრას გამოყენება ეფექტურია იქ, სადაც სპორტსმენს ე. წ. "ფეთქებადი ძალა" ესაჭიროება, მაგალითად, სპრინტში. გარდა ამისა, მას შეუძლია ორგანიზმის ამტანობის უნარი აამაღლოს. ეს ბოლო ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ათლეტებს რთულ კლიმატურ პირობებში უწევთ გამოსვლა. მაგალითად, პეკინის ოლიმპიადაზე სიცხისა და მაღალი ტენიანობის გარდა, ზედმეტად დაბინძურებული ჰაერიც პრობლემა იქნება.

მართალია, ვიაგრა ჯერ არავის აუკრძალავს, მაგრამ უკვე დაიწყო ნადირო- *ეფექტი, ამიტომაც დღეისთვის ის დოპინგად არ ჩაითვლება".*

ისრაელის სამხედრო მფრინავები ლეგალურად იღებენ ვიაგრას ტაბლეტებს - პილოტირების ხარისხის ასამაღლებლად. არგენტინელმა ექიმებმა დაამტკიცეს, რომ ხანგრძლივი გადაფრენების დროს, თახვები ვიაგრას დახმარებით, ორჯერ უფრო სწრაფად გადიან ადაპტაციას ახალ პირობებში. სპორტსმენები თახვები არ არიან, მაგრამ მათაც ბევრი ფრენა უწევთ.

დე როსას ინფორმაციით, მართალია ფეხბურთს ევერესტზე არ თამაშობენ, მაგრამ ფეხბურთელებს შორის ვიაგრას პოპულარობა საკმაოდ მაღალია. 2004 წელს, "ჩელსის" მოთამაშე **ადრიან მუტუ** კოკაინის მიღებისთვის შვიდთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ფეხბურთელის ადვოკატი ირწმუნებოდა, რომ მუტუ პოტენციის ასამაღლებლად, სხვადასხვა პრეპარატებზე, მათ შორის ვიაგრაზე ექსპერიმენტებს ატარებდა.

არსებობს სპორტსმენის მიერ ვიაგრას გამოყენების სხვა ვერსიაც. ცნობილია, რომ აკრძალული სტეროიდების გამოყენება, ხშირ შემთხვევებში იმპოტენციას იწვევს და "ვიტამინი V" სწორედ ამ ნეგატიური ეფექტის კომპენსაციისთვისაა საჭირო.

თუ ათლეტები კანონს არღვევენ და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ (ნარკოტიკების მიღებას ვგულისხმობთ), მაშინ ეს პოლიციის საქმეა და არა ანტისადოპინგო სააგენტოსი.

სპორტსმენები გაუთავებელი ვარჯიშებით, საკუთარ ორგანიზმს უმძიმეს მდგომარეობაში აყენებენ და მოკლებულნი არიან ნორმალურ ცხოვრებას. მაგალითად, ჩინელი მოცურავე **ოუიან კუნპენი** სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს იმის გამო, რომ დოპინგტესტის დროს, კლენბუტეროლის კვალი აღმოუჩინეს. ეს ნივთიერება ღორების საკვებად გამოიყენება და ის შეიძლება მოცურავის ორგანიზმში იმ დროს მოხვედრილიყო, როცა მან პეკინის ერთ-ერთ რესტორანში ღორის ხორცის კერძი შეუკვეთა.

მოკლედ, WADA-ს ბრწყინვალე პერსპექტივები ეხსნება. თუ დოპინგთან ბრძოლის საკითხს ასე ფართოდ განვიხილავთ, გამოდის, რომ სპორტსმენის ამტანობაზე შეიძლება დადებითად იმოქმედოს არა მარტო საკვების დანამატებმა, არამედ წყალმაც. და სხვათა შორის, ჟანგბადიც ხელს უწყობს კუნთების უკეთ მუშაობას.

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი

# დაბრუნება ტრაგედიის შემდეგ



ამ წყვილში მარტოა ერთია ცოცხალი - სანდრა კლემენშიტცი (მარჯვნივ)

ავსტრიელი **სანდრა კლემენშიტცი** ივლისში განაახლებს WTA-ს ტურში გამოსვლას. როგორც ცნობილია, წყვილთა თანრიგში თამაშის სპეციალისტს, კუჭის კიბოს უიშვიათესი ფორმა დაუდგინეს. სხვათა შორის, აპრილში, ამავე ავადმყოფობით მისი ტყუპისცალი და მეწყვილე, **დანიელა კლემენშიტცი** გარდაიცვალა.

ავსტრიული ბად გაშტაინის ტურნირის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ კლემენშიტცს უაილდ-ქარდი გამოუყვეს და ავსტრიელი გერმანელ **მარლენ ვაინგარტნერთან** ერთად ითამაშებს წყვილთა თანრიგში. ამ უკანასკნელმა 2006 წელს გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ და ახლა დიდ სპორტში დაბრუნებას ცდილობს.

*"მოხარულები ვართ, რომ შეგვიძლია სანდრას კორტებზე დაბრუნებაში დახმარება გავუწიოთ, განსაკუთრებით, მისთვის ასეთ მძიმე პერიოდში"*, - აცხადებს ავსტრიული ტურნირის დირექტორი **სანდრა რაიხელი**. ბად გაშტეინში შეჯიბრი 14 ივლისს დაიწყება.

**გია თვალაბეიშვილი**

კრივი

# ბრიუსტერი კარიერას გააგრძელებს



WBO-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ლემონ ბრიუსტერმა** პროფესიული კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა.

სავარაუდოდ, ამერიკელის მორიგი ბრძოლა 30 აგვისტოს, ქალაქ ცინცინატიში გაიმართება. მისი ორგანიზატორები იქნებიან ადგილობრივი ბიზნესმენი **ენდრიუ უილიამსი** და ბრიუსტერის კუთვნილი პრომოუტერული კომპანია. ჯერჯერობით უცნობია, ვის წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა ყოფილ ჩემპიონს.

ბრიუსტერმა კარიერა შარშან, ივლისში შეწყვიტა, როცა IBF-ის ტიტულისთვის ბრძოლისას, მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით **ვლადიმერ კლიჩკოსთან** წააგო.

ბრიუსტერმა 2006 წელს, ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩთან** დათმო საჩემპიონო ქამარი. სხვათა შორის, იმ ბრძოლაში ამერიკელმა თვალი დაიზიანა და მკურნალობისთვის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა.

**გია თვალაბეიშვილი**

საფეხბურთო ისტორიები

# ისევ გენიოსების შესახებ...



ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა **ფაბიო კანავარო** "ნაპოლიში" ბოლ-ბოის მოვალეობებს ასრულებდა.

ერთხელ, **დიეგო მარადონამ** და **ჩირო ფერარამ** წაიკამათეს. არგენტინელს წესად ჰქონდა ვარჯიშზე ერთი კალათა ფორთოხლის მიტანა. ის იმით ერთობოდა, რომ ბურთის ნაცვლად ფორთოხლებს კენწლავდა ან ჯარიმებს ასრულებდა. შეკამათების არსი კი, შემდეგში მდგომარეობდა: ჩირომ დიეგოს უთხრა - ფორთოხლით ყველა სულელი გაიტანს ჯარიმას და იქნებ, გოლფის ბურთებით გეცადა იგივეს გაკეთებაო. მარადონაც "ავარდა" და უპასუხა - "შევძლებ". დადეს სანაძლეო. საფეხბურთო გენიოსს, საჯარიმოს რკალიდან ცხრიანში გოლფის ათი ბურთი უნდა გაეტანა. მოკლედ, დიეგომ ამის გაკეთება ვერ შესძლო - სანაძლეო ფერარამ მოიგო (მარადონამ ვერც ერთი ვერ გაიტანა) და შემდეგ, დიდი ხანი გაფხორილი დადიოდა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. კანავარო "პარმაში" **რობერტო ბაჯოს** თანამოგვარესთან, **დინოსთან** ერთად თამაშობდა. ფაბიომ მას ფერარასა და მარადონას ისტორია მოუყვა. ეს ამბავი რობერტოს ყურამდეც მივიდა და ერთხელ, ისე მოხდა, რომ სეზონისწინა შეკრებაზე "ბრეშა" (მაშინ ბაჯო ამ გუნდში თამაშობდა) და "პარმა" ერთ საწვრთნელ ბანაკში მოხვდნენ. პირველივე საღამოს, რობერტო ვარჯიშზე გოლფის ბურთებით სავსე ტომრით მივიდა, ათი ცალი საჯარიმოს რკალზე განალაგა და მეთოდურად, ერთიმეორის მიყოლებით გაუშვა ისინი ცხრიანში.

მცირე პაუზის შემდეგ, ბაჯომ ფაბიოს გასძახა, რომელიც სხვა ფეხბურთელებთან ერთად, გვერდითი ხაზიდან ადევნებდა თვალს ამ სასწაულს: *"ნეაპოლში დარეკე - იქ აუცილებლად ეცოდინებათ მარადონას ტელეფონის ნომერი. ჰკითხოთ, როგორ უნდა ფორთოხლების გატანა - ციტრუსებით არაფერი გამომდის. სანაცვლოდ კი, მოუყევით, გოლფის ბურთებით როგორ უნდა გაიტანოს".*

**გია თვალაბეიშვილი**